ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხედარი

ქართველ მხედართა ორგანო

# MKEDARI

Revue militaire Géorgienne

N° 21

მაისი

PARIS

1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველ მხედართა ორგანო

# MKEDARI

Revue militaire Géorgienne

N° 21

მაისი

PARIS

1937

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

სხვა და სხვა შეკითხვების გამო საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველთ სამხედრო ლიტერატურის საერთო დანიშნულება და მის მუშაობის სახე. ამ საქმის განხილვის დროს, ისე როგორც სხვა დარგებშიც, ვეცდებით ჩვენ განსაკუთრებულ პირობათა მოთხოვნილებების განმარტებას, რომელნიც ჩვენ გამოცემას თავის უშუალო სახეს ადებენ.

იყო დრო, როდესაც ცხოვრების ტეხნიკური განვითარება მარტივ საფეხურზე იდგა და ძლიერ ნელი ნაბიჯით მიმდინარეობდა. ამის გამო გამოწვეული მცირე ცვლილებანი ძლიერ ადვილ და მარტივ მოთხოვნილებებს უყენებდენ სამხედრო განივითარებას. ძლიერ ხშირად რამოდენიმე ათეული და ხშირად ასეული წლებიც შეიარაღების ტეხნიკური მხარე ან სრულიად უცვლელი რჩებოდა, ან სულ მცირე განახლებას განიცდიდა. იმ დროს მხედრობის უმეტესი ნაწილი თავის სიცოცხლეში ერთ სამხედრო სასწავლებელს ათავებდა და ამ განათლებით გადიოდა იგი თავის ცხოვრების სარბიელს. დანარჩენ ცნობებს იგი უშუალოდ პრაქტიკიდან იღებდა. დაახლოვებით ეს ტრადიციული შეხედულობა დარჩა მხედრობაზე არამხედართა წარმოდგენაში თითქმის დღევანდლამდე.

მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან ცივილიზაციის განვითარებამ ძლიერ დიდი სიჩქარით იწყო წინსვლა, ხოლო საერთაშორისო ომის შემდეგ, ამ სიჩქარემ პირდაპირ თავსბრუ დამსხმელი სახე მიიღო. ამ განვითარებამ თავის მოთხოვნილებანი უშუალოდ და უმკაცრესი სახით სწორედ მხედრობას წაუყენა. სხვა და სხვა დარგის სპეციალისტებს ცხოვრება მხოლოდ საკუთარი დარგის განსაზღვრულ ცნობებს მოსთხოვს; მათ ყველა ტეხნიკური სრულყოფა საქმის ახალ გამაადვილებელ საშუალებათ ევლინებათ. მხედრობის ვითარებაში კი სრულ წინაუკმო სურათსა ვხედავთ. ცხოვრება მოსთხოვს მხედრობას, რომ იგი დაწვრილებით და უშუალოდ იცნობდეს საერთო განვითარების ყველა დარგს, იცნობდენ ყოველმხრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იცნობდეს მთელ მათ კრებულს; იცნობდეს ისე, რომ შეეძლოს ყველა ამ მოვლენათა გამოყენება, გამოთვლა, თავის მოქმედებათა ანგარიშში მიღება და ყველა საშუალებათა მიზანშეწონილი მოხმარება. ეს მოთხოვნილება შეეხება მეცნიერების და ტეხნიკის ყველა დარგს ყოველგვარ გამონაკლისთა გარეშე. ყველა ეს მოვლენანი ერთი მხრივ მხედრობას ელობებიან წინ, როგორც მძიმე გადასალახი დაბრკოლებანი და სიკვდილის მქადებელი ნესტარი მოწინააღმდეგისა, მეორე მხრივ, როგორც საკუთარი საშუალებანი ერის დასახული მიზნის მისაღწევად.

ამ გარემოებამ ძირიან ფესვიანად შესცვალა მხედრობის განათლების საკითხი. მდგომარეობა მოითხოვს, რომ მხედრობის განათლება ყოველ წუთს შეესაბამებოდეს ცხოვრების განვითარების უკანასკნელ სიტყვას... ამის გამო აღარა კმარა განათლების ერთ სასწავლებლის კედლებით შეზღუდვა. დღეს ყველა სახელმწიფოში ყოველ სამხედრო დარგს თავის სპეციალობის რამოდენიმე სხვა და სხვა საფეხურის სასწავლებლები აქვს, რომ ყოველ მხედარმა, ყველა შემდეგ მაღალ ხარისხის მიღების წინ, სათანადო განათლება მიიღოს და შეავსოს თავის ცნობები. ესეც არ კმარა. ყველა სასწავლებლის გათავების წუთშივე მოპოებულ ცნობათა საგრძნობი ნაწილი უკვე მოკლებულია ხოლმე აქტუალობას*). აქ უკვე ყოველ მხედარმა თითონ უნდა იმუშაოს თავის განათლების გაღრმავებაზე და თვალყური ადევნოს ცხოვრების საერთო და მხედრობის განვითარებას. აი ეს ცნობები კი მხედრობას სამხედრო ლიტერატურამ უნდა მიაწოდოს.

რა გვარი ცნობები მოეთხოვება სამხედრო ლიტერატურას?

იმ სახელმწიფოებში, სადაც მხედრობის განვითარების საქმე ნორმალურ ნიადაგზე სდგას, საქმე შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ყველა დარგს აქვს თავის ორგანო, რომელიც ემსახურება თავის სპეციალურ საკითხების გაშუქებას და თვალყურს ადევნებს ამ დარგის განვითარებას უცხოეთში.. (მაგალითად, ქვ. ჯარის, ცხ. ჯარის, არტილერიის, საინჟინერო, კავშირის, საინტენდანტურო და ფრენოსანთა დარგების);

---

*) გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ რა ცვლილებები მოხდა ამ ნომერში მოთავსებულ მოხსენების წაკითხვის და მის დაბეჭდვის დროთა განსხვავების განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ერთი საერთო მაღალ ხარისხის ორგანო, რომელიც განიხილავს საოპერაციო და სტრატეგიულ საფეხურის საკითხებს;

3. ერთი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს და აწვდის მკითხველებს უცხოეთის ზემოხსენებულ საფეხურის აზროვნებას და მის განვითარებას.

გარდა ამისა, მხედრობამ უნდა მიაწოდოს ფართო საზოგადოებას ყველა ის ცნობები, რომელიც მას დასჭირდება ომის წარმოების დროს; მაგალითად თავდაცვა მტრის ფრენოსნობის თავდასხმის და გაზების მოხმარების შემთხვევაში და სხვა. ეს ცნობები, რასაკვირველია, მარტო სამხედრო სპეციალისტთათვის მისაწვდენ ორგანოებში არ დაიბეჭდება, არამედ საერთოდ გავრცელებულ ჟურნალ-გაზეთებში უნდა იქმნენ მოთავსებულნი. ბოლოს ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც კი სახელმწიფოებრივ ხარისხებით მსჯელობს, უნდა ეცნობოს ის მინიმუმი სამხედრო უზრუნველყოფის, რომელზედაც ემყარება მის სახელმწიფოს არსებობა. როგორ ხდება ამ უკანასკნელ ცნობების მიწოდება — ეს სხვა საკითხია. ამას სხვა და სხვა სახელმწიფოებში სხვაგვარად ანხორციელებენ. აქ გავიხსენებთ მხოლოდ ზოგიერთ ოპოზიციის იმ წინამძღოლთა მოქმედებას, რომელთაც თავიანთი ცხოვრების შემდეგ განვითარებაში, ბედმა ერის პასუხისმგებელ მთავრობის წევრობა დააკისრა. დეე მკითხველმა თითონ შეადაროს ყველა ის, რაც ტროცკის უთქვამს და გაუკეთებია შეიარაღებეულ ძალების წინააღმდეგ, სანამ იგი კონსპირატორი და რევოლუციონერი იყო, იმასთან, რაც მან გააკეთა და როგორც იგი მოქმედებდა სამხედრო კომისარის როლში. დეე მკითხველმა მოიგონოს მაკდონალდის ქრონიკული შეკითხვები საერთაშორისო ომის წინ, როდესაც იგი ოპოზიციის წარმომადგენელი იყო: „აქვს ინგლისს სამხედრო კავშირი საფრანგეთთაან თუ არა“-ო. მაშინ იგი ამ გვარ კავშირის წინააღმდეგი იყო და მის საიდუმლო არსებობას მთავრობის საწინააღმდეგო არგუმენტად გამოყენებას სცდილობდა. შემდეგ დამახასიათებელი იყო მისი წინააღმდეგობა სინგაპორის გამაგრების საკითხში და ბოლოს მისი პასუხი თავის მეორე პრემიერობის პირველ კვირაში: „მე როგორც პრემიერს მაქვს მოვალეობა ვიყო სხვა აზრის, ვიდრე როგორც ოპოზიციის მეთაურს“-ო. ეს ცვლილებები ნაკარნახევნი იყვნენ მხოლოდ იმით, რომ აღნიშნული პირები უშუალოდ ეცნობოდენ იმ გადაულახავ სამხედრო პირობებს, რომელზედაც ემყარებოდენ მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ მართულ სახელმწიფოთა არსებობა და თავიანთ პოლიტიკურ ღირსებით ამ მოვლენათა შეგნების სიმაღლეზე აღმოჩნდენ.

აი ამ სამხედრო მოთხოვნილებებს ცხოვრება თანაბარ სიმკაცრით უყენებს ყველა იმ ერს, რომელსაც კი თავის თავისუფალი არსებობა სურს და სწამს. ეს გარემოება ნათლათა ხაზავს ამ მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ქართველ მხედრობის მოვალეობათა სილუეტს. ვგრძნობთ რა, რომ ეს ერთი იმ სარბიელთაგანია, რომელზედაც შეგვიძლია უშუალოდ ვემსახუროთ ჩვენ მრავალტანჯულ ერს — ქართველი მხედრები სიამაყით ვეწევით ამ მუშაობას, იმ სიძნელეთა და დაბრკოლებათა სრული შეგნებით, რომელნიც ჩვენ განსაკუთრებულ მდგომარეობიდან გამომდინარეობენ. აი ეს არის მიზანი ჩვენი ორგანო „მხედარი"-ს არსებობისა.

როგორ გამოიყურება ამ საქმის ტეხნიკური განხორციელება ჩვენ, სპეციფიურ მდგომარეობით გაძნელებულ პირობებში?

ყველასათვის ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენთვის შეუძლებელია და უაზროც იქნებოდა სამხედრო ლიტერატურის ჩამოთვლილ ყველა დარგის ორგანოთა გამოშვება. ამისათვის ყველა ზემოხსენებულ დარგთა ცნობებს ვათვსებთ ერთ გამოცემაში. აქედან გამომდინარეობს შინაარსის ერთგვარი გარეგნული სიჭრელე, სადაც მკითხველი მაღალ საოპერაციო შინაარსის წერილის გვერდით ჰნახავს რომელიმე დარგის განსაზღვრულ ჩარჩოების წერილს. (მაგალითად, სახელმწიფოს თავდაცვა და ჰიპოლოგიური შინაარსის წერილი). საუბედუროთ, ეს ერთად ერთი გამოსავალია ჩვენ ამოცანიდან და იგი უცვლელი დარჩება. გვაქვს იმედი, რომ ჩვენი საზოგადოება ლმობიერად შეხედავს ჩვენ მდგომარეობით ნაკარნახევ ამ იძულებით ნაკლს.

როგორც წერილების საერთო რიცხვის უბრალო შეყენებიდანვე სჩანს, „მხედრი"-ს ფურცლბზე აშკარა უპირატესობა აქვთ სახელმწიფოს საერთო თავდაცვის ხასიათის და ოპერაციულ სიმაღლის შინაარსის წერილებს. ამას შემდეგი მოსაზრებანი გვიკარნახებენ: პირველ კატეგორიის წერილები აწვდიან ქართველ საზოგადოების არა მხედართა ნაწილს იმ ცნობებს, რაც აუცილებელია ყველა იმ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის, რომელნიც საქართველოს და კავკასიის სახელმწიფოებრივ კატეგორიებით აზროვნობენ. ამ ცნობებს მათ სხვა ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მიაწვდის. ყველა ერს ეს ცნობები თავის საკუთარ სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა და პირობების თანახმათ აქვთ შემუშავებული და მხოლოდ მათ განსა-

ზღვრულ ეროვნულ მდგომარეობას შეეფერებიან. თვით საბჭოთა კავშირის მიერ განმზადებული მოსაზრებანი კავკასიის დაცვისა არ შეესაბამებიან დამოუკიდებელ კავკასიონის თავდაცვის პირობებს. ვინაიდან საბჭოებისათვის კავკასიის დაცვა მთელ წითელ რუსეთის ფარგლებში განხილულ ომის საკითხია, ჩვენთვის კი მარტო კავკასიის საშუალებებით წარმოებულ თავდაცვითი ომის საქმეა. ამ საკითხების ეროვნულ სახით ჩამოყალიბება მხოლოდ ქართულ და საერთოდ კავკასიის მხედრობის საქმეა. აი ამისათვისაა, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „მხედრის" ფურცლებზე. აქ სპეციალურად მხედველობაში ის გარემოება არის მიღებული, რომ ეს დარგი არა-მხედართათვისაც არის საჭირო, რის გამოც ენა და შინაარსი ისეთ სახით არის შერჩეული, რომ ყველასათვის გასაგები იყოს, რაც შესაძლებელია სპეციალისტთა თვალში, ჩვენი გამოცემის, კიდევ ერთ ნაკლად იყოს ცნობილი.

დაახლოვებით ზემოთ აღნიშნული მოსაზრებანივე გვიკარნახებენ, რომ ამის შემდეგ მთავარი ყურადღება სამხედრო ხელოვნების მეცნიერების საოპერაციო საფეხურს მივაქციოთ. ეს დარგი სრულიად იკეტება ჩვენ მომავალ სახელმწიფოს ეროვნულ საზღვრების შემძლებლობაში; ვერც ამ საფეხურის რეცეპტის მოწოდებას შესძლებენ სხვა უცხო სახელმწიფონი. როგორც წითელი ჯარის, აგრეთვე სახელმწიფოს შტაბები, გინდ განირჩევდენ კავკასიის საკითხს, ამ საფეხურსაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ შემძლებლობის და საჭიროების თვალსაზრისით მიუდგებიან. ამ საფეხურსაც საქართველოს და კავკასიის ფარგლებში მკვიდრი მოქცევა და ამ სახით შესწავლა სჭირია, ე. ი. აუცილებელია მის მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე შესწავლა. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: საჭიროა სამხედრო ხელოვნების და მეცნიერების ჩვენ ეროვნულ სახის შესწავლა და აღდგენა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ქართველ და კავკასიელ მხედრობის შემძლებლობა და მოვალეობაა. ამ საქმის სათანადოთ დასაყენებლად კი აუცილებელია ორ ხანის გადამუშავება; სახელდობრ: აწმყოსი და წარსულისა. აქ უკვე უახლოვდებით ჩვენ უძნელეს საკითხს — ისტორიას. სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის უშუალოთ სახელმძღვანელო ცნობებს მხოლოდ წარსული იძლევა და ამ წარსულს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენათაც იგი მახლობელ ხანას ეკუთვნის. კავკასიის სამხედრო მეცნიერებისათვის დღეს უშუალო სამხედრო მნიშვნელობა სამ ხანას

აქვს: კავკასიის უკანასკნელ დამოუკიდებლობის დროის სამხედრო მოქმედებებს, შამილის ხანას და მეფე ერეკლეს ხანას. აი ამ დროთა დაწვრილებითი შესწავლით და იქ დაშვებულ შეცდომების სრული შეგნებით შეგვეძლება მომავალში მათ შთამომავალ ჯინშის შეცდომათა შედეგების თავიდან აცდენა. როგორ გამოიყურება ცხოვრებაში ამ საკითხების შესწავლის საქმე? სხვა და სხვა ომების და ბრძოლების შესწავლის დროს ძლიერ ხშირად ვხედავთ, რომ ბრძოლა, რომელიც შემსრულებელთა ხარისხის მხედრების მიერ სასაპელო გმირობით იყო წარმოებული ერის სიამაყეს და სულიერ განძს წარმოადგენს ხოლმე; იგივე ბრძოლა შესწავლილი მის ოპერაციულ წარმოების საფეხურზე უსახსრობის უთავბოლობის მიუბაძავ მაგალითს წარმოადგენს ხოლმე. როგორ ეპყრობიან ამ გვარ მაგალითს? ამ გვარ მოვლენათა უყურადღებოდ დატოვება აზრათ არავისაც არ მოსდის. მით უფრო საჭიროთაა ცნობილი ამ გვარ მაგალითების შესწავლა. ის რაც სასახელო და ყველასათვის მისაწვდეხელია, გადადის ერის საგანძეულოში, და თავის საანეგდოტო ვარიანტებით დედა ენის და ბუნების კარის ფურცლებზე გადადის. (ძოგეხსენებათ ყველა ერს აქვს ამ საფეხურის სახელმძღვანელები). ის კი, რაც ნამდვილ გამოცდილებას და განძს წარმოადგენს და უშუალოდ არის გამოსაყენებელი, დაწვრილებით შესწავლილი და ყოველმხრივ გაშუქებული, გადადის მხედრობის იმ ნაწილის ხელში, რომელიც ამ ცნობათა მოხმარების საფეხურზედა სდგას. საკითხის ესეთ მეგნებისათვის საჭიროა საზოგადოების სათანადო სახელმწიფოებრივი განვითარება. რასაკვირველია, გულახდილად უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ საზოგადოებას აკლია ესეთი მომზადება. ეს არ არის არავითარი შეურაცყოფა. ეს მოვლენაა, რომელსაც უნდა ვიცნობდეთ და ანგარიშში ვიღებდეთ. მხედრების მოვალეობაა, რომ თავი არ მოიტყუოს და სიმართლეს მთელი შეგნებით და შეუპოვრობით ჩახედოს თვალებში. ჩვენ ამავე საზოაადოების წევრებათ ვგრძნობთ თავს და ვხელმძღვანელობთ რა ძველ ქართულ ანდაზით: „ავია თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო“, სწორედ აი ამ ქართულ საზოგადოებას ვემსახურებით, მიუხედავათ მის ნაკლებისა და ამაში ვხედავთ ჩვენ მხედრულ მოვალეობას. დახვედრილი სიძნელენი ჩვენთვის მოულოდნელი არ იყვნენ. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ამ საკითხის შესწავლას სხვა და სხვა თვალსაზრისით ერთგვარი აურზაური მოჰყვებოდა და ეს წინდაწინვე აღვნიშნეთ, შეუდექით თუ არა საისტორიო ნაწილის დამუშავებას. (იხილეთ „მხედარი“ ნომერი 2, 1932 წლის სექტემბერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ დახვდა ამას ჩვენი საზოგადოება?

ზოგმა ამ წერილებში მიცვალებულთა შეურაცყოფა დაინახა, ზოგმა ავტორთა პირადი თავის ქება, ზოგმა პირადათ, ქართულათ, გულის მოფხანა მოისურვა და ზოგმა თავის მართლება. ზოგმა „საქმის სიკეთისათვის", საჭიროდ სცნო ამ საკითხის მიტოვება და მიყრუება.

აქ ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღვნიშნოთ ჩვენ არამხედართა საყურადღებოთ: დღემდის დედამიწის ზურგზე არც ერთი ბრძოლა არ გათამაშებულა ისე, რომ იგი სარდლობის, მეტ თუ ნაკლებ, შეცდომათა და ნაკლთა ჩარჩოებში არ ყოფილიყოს წარმოებული, იმის და მიუხედავათ, რა გინდ ბრწყინვალე გამარჯვებითაც კი არ დამთავრებულიყოს იგი. ამ მოვლენას გამოუკლებლივ ექვემდებარებიან ყველა იმ ბრძოლების, მსვლელობა, რომელნიც დღეს, არა ერთ ერის, დიდებას წარმოადგენენ, და რომელთა პასუხის მგებელი სარდლებიც დღეს გენიოსთა გვირგვინით არიან დაჯილდოვებულნი. ამ ბრძოლათა კრიტიკის თვალით გარჩევა და შესწავლა არავის არ მიაჩნია დანაშაულათ და ვისმეს შეურაცყოფათ. დეე ნურც ჩვენ ვეცდებით ამ საქმის ორგინალურ და გამოუცდელ ნიადაგზე გადატანას, ვინაიდან ეს, საკუთარ სარბიელზე მოპოებული გამოცდა, ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირია. მახლობელ წარსულის შესწავლას მხედრობისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ექიმებისათვის გვამების კვეთას. (აქაც კაცობრიობის ერთი ნაწილი შეურაცყოფის თვისების ცოდვას ხედავდა).

1918 — 1921 წლების სამხედრო მოქმედებათა შესწავლას შეუძლია მოგვცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. რა უდიდეს შედეგების მიღწევა შეიძლებოდა იმ ძალებით, რომელიც ამ ხანაში მოეპოებოდა საქართველოს და კავკასიას;

2. რა ძალების შექმნა შეეძლო და შეუძლია საქართველოს და კავკასიას;

3. რა უდიდეს შედეგების მიღწევა შეიძლებოდა ამ ძალებით იმ პირობებში.

ამ საკითხების გამორკვევა მათემატიკურ საფუძველს მისცემს სათანადო საფეხურზე მდგომ, ქართულ მომუშავე მხედრობის შემდეგ მუშაობას.

ამ საფეხურზე ეს საკითხი არ არის სპეციალურად დაინტერესებული დაბალ ხარისხოვან შემსრულებელთა პირადი გაარჩლებით. მათ ცნობებიდან ადვილად მოხერხდება საჭირო მასალის ზუსტი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარკვევა. ვხედავთ, ბატონებო, რომ ეს საკითხი არ წარმოადგენს ემიგრაციის განუსაზღვრელ საკუთრებას, უფრო მეტი. იგი მარტო დღევანდელ თაობას არ ეკუთვნის და თუ ამ თაობამ არ მოისურვა ამ საქმის შეგნება, ამას მომავალი თაობა დააფასებს და გამოიყენებს უშუალოდ. აი რისთვისაა, რომ ვერ ვიღებთ მხედველობაში იმ კომპეტენციის სპაციალისტთა აზრს, რომელნიც ამ საკითხების დაკარგვას და მიყრუებას გვირჩევენ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს საქმე უკვე უახლოვდება თავის ბოლოს.

ჯერჯერობით ხელუხლებელია ორი დანარჩენი ხანა — შამილისა და მეფე ერეკლესი. აქ ჩვენ ვთხოვთ ყველა ქართველს, რომ ამ საქმეში შეიტანოს თავის წვლილი და მოგვაწოდოს სათანადო ნედლი მასალა. ამ თხოვნით სპეციალურად მივმართავთ ჩვენ პატივცემულ ისტორიკოსებს. რასაკვირველია, მხედველობაში გვაქვს არა დედაენის საფეხურის ცნობები, არამედ ამ ხანის პოლიტიკურ და სამხედრო მოვლენათა ცნობების სრული კრებული, მისი მარცხების და ტრაღიკულ დღეთა გამოუკლებლივ.

ამ გვარ საქმისათვის საჭიროა შესწავლა ერთ მხრის მოქმედებების, შემდეგ მის მოწინააღმდეგის მოქმედებების: შემდეგ შესწავლა ომის ასპარეზის და თითოობლივ ბრძოლის ველისა. რასაკვირველია, ჩვენთვის ეს შეუძლებელი იქნება და თავის თავად ჩვენ მუშაობას უდიდეს ნაკლად დააჩნდება. მიუხედავათ ამისა, ეს მუშაობა მომავალ სრულყოფილ ნაწარმოების გარდამავალ საფეხურად მაინც გამოდგება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარ საკითხების გარჩევის დროს იძულებულნივართ მკითხველთ ნედლი მასალა „მხედრის“ ფურცლებზედვე მივაწოდოთ. თუმც ეს ეწინააღმდეგება სამხედრო ორგანოს საერთო ხასიათს, მაგრამ აუცილებელია, რომ ყველა თანამშრომელს მივცეთ საშუალება დამოუკიდებელ მუშაობისა.

ნათლად აღვნიშნავთ ჩვენ გამოცემის სიძნელეებს და აქედან გამომდინარე ნაკლებს, რომ მით უფრო დავაახლოვოთ ამ მუშაობასთან ყველა ის პიროვნებანი, რომელნიც ჩვენ მხედრობის ეროვნულ განვითარებას საქართველოს საკითხად სთვლიან.

**
*

ᲛᲮᲣᲓᲐᲠᲘ №21

# საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალა

ნახაზი №1


ᲑᲐᲠᲔᲜᲪᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲙᲐᲠᲐᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲨᲣᲠᲛᲐᲜᲡᲙᲘ
ᲐᲠᲮᲐᲜᲒᲔᲚᲡᲙᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ
ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ
ᲠᲘᲒᲐ
ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ
ᲡᲛᲝᲚᲔᲜᲡᲙᲘ
ᲛᲘᲜᲡᲙᲘ
ᲙᲘᲔᲕᲘ
ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ
ᲡᲐᲛᲐᲠᲐ
ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ
ᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘ
ᲡᲐᲛᲐᲠᲙᲐᲜᲓᲘ
ᲤᲘᲠᲣᲖᲐᲜᲑᲘ
ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ
ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲘ
ᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲨᲣᲠᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲐᲜᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲧᲣᲠᲬᲔᲚᲘ
ᲛᲝᲚᲣᲜᲚᲔᲜᲘ
ᲘᲐᲛᲡᲙᲘ
ᲠᲝᲮᲝᲤᲡᲙᲘ
ᲠᲝᲮᲝᲤᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲐᲚᲓᲔᲜ
ᲘᲐᲣᲤᲡᲙᲘ
ᲐᲘᲐᲜ
ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ
ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲘᲡᲙᲘ
ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ
ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲘᲡᲙᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 1920 წ. აჯანყება განჯაში

## მდგომარეობა 22-28.V

ნახაზი №1




### ახსნა

- რეგულარული ნაწილები
- პარტიზანული ნაწილები
- პარტიზანების მაშველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხედარი №21

1920 წ. აჯანყება ყანჯაში

მდგომარეობა 2.VI.20 წ.

ნახაზი №2



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1920 წლის აჯანყება განჯაში

(ნახაზები № № 1 — 2)

დიდი სიამოვნებით ვათავსებთ ჩვენს გამოცემაში ამ წერილს, როგორც აღწერას კავკასიის ერთ ერთ ერის დიდების ფურცლებისა. ამას ჩვენ უყურებთ არა როგორც პლატონიურ თანაგრძნობის გამომწვევ მოვლენას, არამედ, თანახმათ ჩვენ მიერ არა ერთხელ აღნიშნულ რწმენისა, რომ კავკასიის ერთა სამხედრო ვითარება ერთ მთლიან და განუყოფელ მოვლენას წარმოადგენს — ვხედავთ მასში საკუთარ ერის ისტორიას, რომლის ახალი თავიც განგებამ განჯის, ტაბახმელის და ერევნის მწარე, მაგრამ ბრწყინვალე დღეებით გადაგვიშალა.

რედაქცია.

მაისი კავკასიის ერთათვის საუკუნოებრივ მონობიდან განთავისუფლების და დამოუკიდებლობის გამოცხადების თვე არის. განსაკუთრებლივ ძვირფასია იგი ადარბეიჯანისათვის. ამ თვემ ადერბეიჯანს მიუძღვნა არა მარტო მონობიდან განთავისუფლება და დამოუკიდებლობის მოპოება. ამავე თვეში იფეთქა განჯის აჯანყებამ 1920 წელში, რომელმაც მთელის სიმკვეთრით გამოხატა ადერბეიჯანის ფართო მასების შეურიგებელი წინააღმდეგობა ამავე წლის აპრილში რუსეთის მიერ ახლათ დადებულ ბორკილების წინაშე. ამ აჯანყებამ ცხად ჰყო ხალხის თვალში მთელი სიყალბე ბოლშევიკების რწმუნებისა, რომ მათ „წითელი ლაშქრის საშუალებით გაანთავისუფლეს ადერბაიჯანი დასავლეთის იმპერიალისტთა ბატონობიდან და ამით დიდი ბედიერება მიუძღვნეს სამუსულმანო ქვეყნიერებას“. ამ აჯანყებამ გააბათილა მათ მიერ ფლიდი ცბიერებით ვრცელებული საექსპორტო ლოზუნგი: „თანას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორუფლიანობა და დამოუკიდებლობა ყველა, მეფის მონობიდან განთავისუფლებულ ერს", და დაუმტკიცა მთელ სამუსულმანო ქვეყნიერებას, რომ მის არსებობის უდიდეს საფრთხეს და უსასტიკეს მტერს სწორეთ ეს ბოლშევიკები წარმოადგენენ. ყველაფერი ეს საკმარისი საბუთია, რომ ყურადღება არ დავიშუროთ და ხსენებული აჯანყება მოკლეთ განვიხილოთ.

ქალაქი განჯა მდებარეობს თითქმის ცენტრში ადერბაიჯანის რესპუბლიკისა. ამის გამო იგი მუდამ დიდ ისტორიულ როლს თამაშობდა ერის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნების განუზომელი სიმდიდრენი ანდამატურის ძალით ეწეოდენ აქეთკენ არაბების, სპარსელების, მონგოლების და ოსმალების აგრესივობას. ამავე მიზანმა მოიზიდა აქეთკენ რუსეთის წნევა, რომელიც საქართველოში გაბატონების შემდეგ 1800 წელშივე შეუდგა ადერბეიჯანის განცალკევებულ სახანოების დაპყრობას, და 1804 წელს მიადგა განჯას. განჯის უკანასკნელი მფლობელი ჯავათ ხანი პირადათ ხელმძღვანელობდა ბრძოლას, იბრძოდა უკანასკნელ საშუალებამდის და ბოლოს თავის შვილთან ერთად გმირულად დაიღუპა ქალაქის კედლებზე. განჯის დაპყრობით რუსეთი გაბატონდა ადერბეიჯანის გულში; ხოლო თვით ქალაქს, თავიანთ დედოფლის საპატივცემოთ „ელიზავეტპოლი" დაარქვეს; ამის მიუხედავათ ადერბეიჯანელთათვის განჯა მაინც განჯად დარჩა და ახალი სახელი არ შეითვისა. (წითელი რუსეთიც მეფის რუსეთის კვალს გაჰყვა და განჯა ახლად გადანათლეს და ადერბეიჯანელთა უდიდეს მწამებელის სახელის აღსანიშნავად მას ახლა „კიროვაბადი" დაარქვეს). ამ სახით რუსეთმა ნაწილობრივ ბრძოლით თითოობრივ სახანოებთან დაიპყრო მთელი ადერბეიჯანი. ეს დაპყრობა სპეციალურად გაადვილებული იყო ადერბეიჯანის ხანების განცალკევების და საერთო ეროვნულ ომის განცალკევებულ თითოობლივ ბრძოლებათ გაფანტვის გამო.

**თითქმის 100 წელი** იბატონა რუსეთმა ამიერ კავკასიაში. და აი 1918 წლის 28 მაისს იწყება ადერბაიჯანის ახალი ერა: რუსეთის რევოლუციის მსვლელობაში კავკასიის ერნი ჰპოვებენ თავიანთ თავისუფლებას და 28 მაისს ადერბეიჯანი აცხადებს თავის დამოუკი-

---

*) აღსანიშნავია, რომ არც ერთ კავკასიელ ერმა არ შეითვისა სხვა და სხვა ქალაქების გადარუსებული სახელები: როგორც განჯა ისე გუმბრი კავკასიელ ერთა ტერმინოლოგიაში ძველებურ სახელ ქვეშ იგულისხმებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლობას. ორგანიზაციული შემოქმედება და მტკიცე სახელმწიფოებრივ საფუძვლის ჩაყრა, რომელიც ერმა ამ ხანაში გამოიჩინა, მაჩვენებელია მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი ტრფიალისა. უკვე 1919 წლის გაზაფხულზე ვხედავთ სრულის სიმტკიცით ჩამოყალიბებულ სახელმწიფო აპარატს და საუცხოვო თანამედროვე ღირსების ჯარს. სახელმწიფოთა უმრავლესობა სცნობს ადერბეიჯანს ფაქტიურად და იურიდიულად. მაგრამ წერა სხვა ბედს უმზადებს ადერბეიჯანს. ახალგაზრდა სახელმწიფო უკვე უშუალოდ ჰგრძნობდა წითელ საფრთხეს. 1920 წლის გაზაფხულის დასაწყისში ადერბეიჯანში განიარაღებულ იქმნენ დენიკინის ლაშქრის ნაშთები. 27 აპრილს, წითელი ლაშქარი მუხანათურად შემოდის ადერბეიჯანში „მუსულმანთა დასავლეთის იპემრიალისტებისაგან გასათავისუფლებლად", და მოულოდნელ მოკლე ბრძოლის შემდეგ იკავებს ბაქოს. ცხადდება დამოუკიდებელი „საბჭოთა ადერბეიჯანი. გაბატონების რამოდენიმე დღის შემდეგვე იწყებენ წმინდა ბოლშევიკური სახის მართვა გამგებლობას: საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა დატუსაღება, ბინების ჩხრეკა, რეკვიზიციები, რელიგიურ გრძნობების და ტაძრების შელახვა, — ყველაფერი ეს ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა. ადერბეიჯანის ჯარი შეჰყავთ წითელ ჯარის მე-11-ტე ლაშქრის შემადგენლობაში, რომელიც მათი აგიტაციის თანახმათ **ანტანტის საწინააღმდეგოთ, ოსმალეთის დასახმარებლათ მიეშურებოდა.** მდიდარი და აყვავებული სახელმწიფო ორ კვირაში გააჩანაგეს და უდაბნოს დაამგზავსეს. ამ შევიწროებებით და ტერორით გაბეზრებული ხალხი ჭმუნვით დაეძებდა გამოსავალს ამ აუტანელ მდგომარეობიდან. განჯაში მდგომი ჩემი ხელქვეითი მე-3-მე პოლკი ვერ ურიგდება ამ მდგომარეობას და ღელავს, სურს იარაღით ხელში შეებრძოლოს გაბატონებულ ძალადობას. მე და ჩემი ოფიცრები ძლივს ვაკავებთ ჯარისკაცებს ამ ნაბიჯისაგან. ამ მდგომარეობას ზედმეტად ამწვავებს „შარიათის პოლკი". ეს პოლკი რუსეთში იქმნა შექმნილი საეჭვო ღირსების მუსულმანთაგან, ხოლო მისი შემადგენლობა უხვათ იყო შევსებული რუს წითელ არმიელებით. ამ პოლკის უფროსი ვინმე ზულფუგარი მთელი ამალით დააჭენებს ქალაქში და აფრქვევს პროვოკაციულ სიტყვებს. ემუქრება ყველას და სიკვდილს ჰპირდება, ვინც არ შეურიგდება ბოლშევიკების დებულებებს. (აჯანყების დროს იგი გაწეწა გამწარებულ ხალხმა). განჯაში მდგომი წითელი დივიზია ყოველ დღე ახდენს თავის ძლიერების დემონსტრაციებს, თავის განუწყვეტელი აღლუმებით და ცერემონიალებით. ყოველ შემთხვევას იყენებენ ადგილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივ მცხოვრებთა ეროვნულ და რელიგიურ გრძნობათა შესალახავად. ჩეკა აწარმოებს თავის საჯალათო მოღვაწეობას და მზაკვრული სიფლიდით აბამს თავის ქსელში საუკეთესო მამულიშვილებს. ბოლშევიკების დივიზიის უფროსობა, რომლის შემადგენლობაშიც მე-3-მე პოლკი შეიყვანეს, ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ ეს პოლკი დაასუსტოს და მას საბრძოლო ვარგისობა აჰყაროს: ყოველ დღე მოდის ბრძანებები, რომ პოლკმა შესავსებათ გადასცეს დივიზიის დანარჩენ პოლკებს ხან თოფები, ხან ტყვიის მფრქვეველები, ხან ცხენები და ხან ურმები. მე-3-მე პოლკში მიავლინეს მთელი აპარატი პოლიტიკურ კომისრების, რომელნიც შეუდგენ ტერორის წარმოებას პოლკის ოფიცრების და ნაცვლების მიმართ. ცდილობენ სხვა და სხვა გამოგონილ მიზეზებით მე ბაქოში გამისტუმრონ, რაც ჩემს აუცილებელ დახვრეტას ნიშნავდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ.

ამასობაში სწარმოებს სამხედრო მოქმედებანი საქართველოს და „საბჭოთა“ ადერბეიჯანის შორის. (აქ უნდა აღვნიშნო, რომ შემოვიდენ თუ არა ბოლშევიკები ბაქოში, „საბჭოთა ადარბეიჯანის“ სახელით გამოუცხადეს ომი საქართველოს. დასაწყისში ამ ფრონტის უფროსათ მე ვიქმენ დანიშნული, რომლის თანამდებობაზედაც ვიმყოფებოდი 10 მაისამდე ე. ი. სანამ მე-11 ლაშქრის მთავარი ძალები ყაზახში გადავიდოდენ). მთელი ადერბეიჯანი ღელავს, როგორც მშვიდობიანი მცხოვრებნი, ეგრეთვე ჯარი, რომლის მთავარი ნაწილიც ამ დროს ყარაბაღში იმყოფებოდა. აგდამაში და ტერტერში დაიწყო ნაწილობრივი შეტაკებები ადგილობრივ მცხოვრებთა და ბოლშევიკების შორის. წითელი ლაშქრის მთავარი ნაწილი საქართველოს ფრონტზე იმყოფება და თბილისზე გასალაშქრებლად ემზადება.

ამ პირობებში საბჭოთა ჯარის მდგომარეობა ამიერ კავკასიაში ვერ ჩაითვლება ფრიად ხელსაყრელათ: წინ მას საქართველოს ფრონტი უდგას, ხოლო ზურგში მტრულად განწყობილი ერი თავის, ჯერ ისევ განუიარაღებელ ჯარით, რომელიც მზათაა ყოველ წუთს იარაღით ხელში შეებრძოლოს მას და გადაუჭრას ყოველივე კავშირი თავის საბრძოლო ბაზასთან. ეს მდგომარეობა მიკარნახებს მე დასკვნას, რომ აქტიურათ შევებრძოლო საბჭოთა ჯარს, მოვიპოვო კავშირი საქართველოს მომქმედ ლაშქართან, განვაიარაღო განჯაში მდგომი წითელი დივიზია, შევუერთდე ყარაბაღში მდგომ ადერბეიჯანის დანარჩენ ჯარსა (ამ დროს ადერბეიჯანის ჯარის მთავარი ნაწილი ყარაბაღში იყო განწესებული აჯანყებულ სომხების დასამშვიდებლათ). და ქართველ ლაშქართან შეთანხმებული მოქმედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით განვწმინდო ქვეყანა რუსეთის ძალებიდან და აღვადგინო ნორმალური მდგომარეობა. თუ მხედველობაში მივიღებთ მე-11-ტე ლაშქრის სუსტ შეიარაღებას და მის მოუწყობელ ჩაცმა - საზრდოობას, დავინახავთ, რომ ამ გეგმის განხორციელება სრულიათ შესაძლებელი იყო. ამ გარემოებას ზედ ემატებოდა კიდევ ის ფაქტი, რომ საბჭოებს შიგნით ჯერ კიდევ მრავალი ფრონტები და სიძნელეები ჰქონდათ; ხოლო მე-11-ტე ლაშქარს აკლდა 25 — 30 პროცენტი პირად შემადგენლობის და 50 პოცენტამდის შეიარაღებისა. ლაშქრის სარდლობა ამ ნაკლების შესრულებას ადერბეიჯანის წყაროებიდან ლამობდა. ამ ჯარის ნივთიერი მდგომარეობა იმდენათ უნუგეშო იყო, რომ წითელი არმიელები თითოობლივ და ჯგუფობრივ სახლიდან სახლში დადიოდენ და მათხოვრობით სცდილობდენ თავიანთ გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. მგონი ეს ილუსტრაცია სრულიათ საკმარისია იმ ჯარის საბრძოლო ვარგისობის შეფასებისათვის, რომელმაც თითქმის უბრძოლოთ დაიპყრო მთელი ადერბეიჯანი. ამ დროს განჯაში მდგომარეობა იმდენათ გამწვავებული არის, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია მცხოვრებთა ბოლშევიკებთან შეხლა. დიდი ცდილობა და შრომა გვჭიროდა, რომ ჯარისკაცები და მცხოვრებლები როგორმე შეგვეკავებინა უპასუხისმგებლო და განცალკევებულ გამოსვლებიდან. ამ მდგომარეობის გამო, რომ ინიციატივა არ დაგვეკარგა, გადავწყვიტე შეუდგე ჩემ აზრის განხორციელებას. აქტიურ გამოსვლის დღეთ ვნიშნავ 22 მაისს.

ქართულ ჯართან კავშირის გასაბმელათ და მოქმედების შესათანხმებლათ ვგზავნი თბილისში არალეგალურათ განჯაში მყოფ ორ ქართველ ოფიცერს — პოლკოვნიკ ს. ე. და მაიორ ე. (დღეს ორივე ემიგრაციაში იმყოფება). რასაკვირველია, მათ დაწვრილებით ვაცნობ ჩემ გეგმას.

ყარაბაღში მდგომ ჯართან კავშირის გასაბმელათ ვგზავნი ორ ჩემ ოფიცერს სათანადო ინსტრუქციებით, რომელიც შეკის მე-3მე ცხენოსან პოლკის უფროსისათვის უნდა გადაეცათ. ეს პოლკი აგდამის და ტერტერის რაიონში იდგა, სადაც უკვე რამოდენჯერმე ჰქონდა ალაგი ჩვენ ასკერების და მოსახლეობის შეტაკებას ბოლშევიკებთან. მოსალოდნელი იყო, რომ ეს პოლკი, თვით შექმნილ მდგომარეობის კარნახით, გამოეშურებოდა განჯისაკენ ჩემ პოლკის დასახმარებლად და ამით ყარაბახის ჯარის წინა-სპათ იქცეოდა. გავგზავნე რა ოფიცრები კავშირის გასაბმელად, ბოლშევიკების თვალების ასახვევათ ვაძლიერებ პოლკში მეცადინეობას. ესე მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევენ დღეები ერთი მეორეს დაჭიმულ ნერვებით გამწვავებულ ატმოსფეროში. მე პირადათ მთელ დღე და ღამეს ათასეულებში და გუნდებში ვატარებ. დღითი დღე ვრწმუნდები, რომ პირდაპირ უზომოა ოფიცრების და ასკერების პატრიოტული სიმზადე ყოველგვარ მსხვერპლისათვის.

22 მაისს საუცხოო დღე დადგა. კაცს უნებურათ აგონდება 1919 წელი, როდესაც ამ დღეებში მთელი ადერბეიჯანი სიხარულით გატაცებული ემზადებოდა 28 მაისს, დამოუკიდებლობის პირველი წლის საზეიმო გადახდისათვის. მაგონდება ბრწყინვალე აღლუმების და მთელი ერის სილაღე და სიხარული. დღეს?! ვერ უჯერებ სინამდვილეს და გარემო საშინელებას. ნუთუ ჩვენ ადერბეიჯანელები ესე ადვილათ, უწინააღმდეგოთ და უპროტესტოთ დავუთმობთ ჩვენ ლამაზ, მდიდარ და აყვავებულ სახელმწიფოს? ნუთუ არ ვეცდებით ამ სამარცხვინო მონობის უღელის მოგლეჯას?! ნუთუ ესე უბრძოლველათ დავემორჩილებით ამ ბარბაროსებს? სად არის ჩვენი თავმოყვარეობა? სად არის ჩვენი ნამუსი? აი ის მღრღნელი კითხვები, რომელნიც ნათლათ გამოიყურებოდენ ყოველ ადერბეიჯანელ ოფიცრის, ჯარისკაცის და მცხოვრებლის დაღვრემილ სახიდან.

16 საათზე ვიწვევ სხდომაზე განჯაში მყოფ გავლენიან საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს. ჩემ წინადადებას აქტიურ გამოსვლის შესახებ ყველანი დიდის ენტუზიაზმით იღებენ და მპირდებიან დახმარებას. დადგენილ იქმნა, რომ პირველ თოფის დაცლისათანავე ყოველი უბანი შეადგენს პარტიზანულ რაზმს და მიეშველება ჯარს.

18 საათზე ვიწვევ განრიგებაზე ათასეულის უფროსებს, რომელზედაც მოქმედების შემდეგი საერთო გეგმა იქმნა გამომუშავებული: — ერთი ათასეული პარტიზანულ ნაწილთა დახმარებით გარს შემოერტყმის წითელ დივიზიის მიერ დაკავებულ რაიონს და მოულოდნელი მედგარ კვეთებით მას იარაღს აჰყრის; მეორე ათასეული განაიარაღებს „შარიათის“ პოლკს, არტილერიის დივიზიონს და დაიკავებს ქალაქის სომხურ ნაწილის მნიშვნელოვან პუნქტებს: ფოსტას, ტელეგრაფს, სამხედრო საწყობებს და სხვა*).

20 საათზე ათასეულები ატუსაღებენ მათ რაიონებში მყოფ პოლიტიკურ კომისრებს და სრულ საბრძოლო განმზადებით მიე-

---

*) პოლკის მესამე ათასეული ამ დროს ყარაბაღში იმყოფებოდა.

შურებიან აღთქმულ ალაგთა დასაკავებლად, საიდანაც იწყობენ თავიანთ ამოცანათა შესრულებას.

პირველ თოფის დაცლისათანავე მთელი მამაკაცური მოსახლეობა, შეიარაღებული რითაც შეიძლებოდა, და რაც კი ხელში მოხვდა, ქუჩაში გამოდის და მიეშურება უკვე ბრძოლაში ჩაბმულ პოლკის დასახმარებლათ. გზა და გზა იარაღს ჰყრიან შეხვედრილ პატარა ნაწილებს და წითელ არმიის უფროსებს.

23 საათზე თითქმის მთელი წითელი დივიზია თავის უფროსობით, „შარიათის" პოლკი და არტილერიის დივიზიონი უკვე იარაღ აყრილი იყო და ქალაქის ციხეში იქყვნენ მოთავსებული.

22 — 23 მაისს ღამეს განჯა, ეს ძველი სიმაგრე ადერბეიჯანის ეროვნული სულისა, უკვე უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყებულ პატრიოტთა ხელში იმყოფებოდა. პირველი ნაწილი მოქმედების გეგმისა ბრწყინვალეთ იქმნა შესრულებული. ეხლა მეორე ნაწილის განხორციელების რიგი დადგა — საჭიროა აღდგენა ადგილობრივ ეროვნულ ხელისუფლებისა, კავშირის დამყარება საქართველოს მომქმედ ლაშქართან და ყარაბაღში მყოფ ჯართან და ქალაქის მომზადება მე - 11 - ტე ლაშქრის მოსალოდნელ შემოტევის დასახვედრათ.

23 მაისს დილის 6 საათზე ვიწვევ თათბირს, რომელზედაც ვპატიჟობ ქალაქში მყოფ გენერლებს: შ. და მ. მ. თათბირი საერთო ხალმძღვანელობას და ხელისუფლების ორგანიზაციას გენერალ მ. მ. ავალებს, გენერალ შ. აკისრებს წართმეულ არტილერიის ორგანიზაციას, მე მევალება ჩემ პოლკის და პარტიზანულ ერთეულების უფროსობა.

23 და 24 მაისი გადიან გახურებულ ორგანიზაციულ მუშაობაში.

25 მაისს დილის 10 საათზე იწყება სომხურ - რუსულ ნაწილების შემოტევა სამხრეთ - დასავლეთიდან, გერმანელთა ახალშენ ცელენდორფი მხრიდან. ამ მიმართულებაზე სდგას განჯის პოლკის პირველი ათასეული, რომელსაც თან ერთი ბატარეა ახლავს. ეს ათასეული აჩერებს მოწინააღმდეგის შემოტევას, შემდეგ გადადის კონტრიერიშზე, აყენებს მტერს დიდ ზიანს და უწესრიგო გაქცევაზე აიძულებს მას. ამასობაში ირკვევა, რომ მტერი ჩრდილოეთ - დასავლეთიდანაც უტევს ქალაქს: აშმხორის მიმართულებიდან, განჯიდან 1 კილომეტრის სიშორეზე, საბრძოლო წყებით, მოეშურება ქალაქისაკენ ქვეითი ჯარის კარგა დიდი ნაწილი. ეს გარემოება მაიძულებს შევწყვიტო დევნა ელენდორფთან დამარცხებულ მტრი-

სა. ამ მიმართულებაზე ვტოვებ გამაგრებულ პოზიციებზე ერთ გუნდს 4 ტყვიისმფრქვეველით, ხოლო დანარჩენ ძალებს მივმართავ მე-2-რე ათასეულის დასახმარებლათ, რომელიც ახლათ შედგენილ ბატარეიით და ტყვიისმფრქვეველთა ორი ათასეულით გამაგრებულ პოზიციებზე იდგა ქალაქის ნახევარ — ერთ კილომეტრით ჩრდილოეთ - დასავლეთით.

16 საათი იქნებოდა, როდესაც ველზე გამოჩნდა პირველი შარი მოწინააღმდეგისა. ჩვენი არტილერია და ტყვიისმფრქვეველები ეგებებიან მას ძლიერი ცეცხლით; მტერი უწესრიგოთ იხევს და დაჭრილ - დახოცილებს ბრძოლის ველზედა სტოვებს. დაახლოებით 19 საათზე მტრის არტილერია ძლიერ ცეცხლს უშენს ქალაქსა და ჩვენ პოზიციებს. ამ დროს მსუბუქათ სჭრიან გენერალ შ.-ს. მაგრამ ჩვენი, ჯერ ისევ ორი დღის წინ შედგენილი ბატარეია, რომელსაც პოდპოლკოვნიკი სტანკევიჩი მეთაურობს (ჩამომავლობით პოლონელი), პოულობს მტრის არტილერიის სადგომს და მიზნიან ცეცხლით მალე აჩუმებს მას. 21 საათისათვის ბრძოლა ყუჩდება და ნელნელა ქრება. ამ დღეს ავად ხდება გენ. მ. მ. ამით თავდება 25 მაისი. (იხილეთ ნახაზი, ნომერი 1).

26 მაისს მტერი გათენებიდანვე უტევს ქალაქს. ერიშები მიაქვს სხვა და სხვა მხარედან. მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ აღწევს. ამ დღეს მამაც აჯანყებულთა მიერ 7 ერიში იქმნ მოგერებული.

27 მაისს მტერი მთელი დღე ზარბაზნებს უშენს ქალაქს და უშედეგოთ სცდილობს შემოიჭრას ელენდორფია და სადგურ მამედლის მიმართულებიდან. შველა კი არაიდან სჩანს. მოწინააღმდეგის აქტივობა უფრო და უფრო იზრდება. აჯანყებულთა მდგომარეობა კი დღითი დღე ძნელდება; ამის გამო ასკერებს და მოსახლეობას ერთგვარი უნუგეშობა ეტყობათ. აუცილებელი ხდება აჯანყებულთა აღფრთოვანება და ბრძოლის ჟინის და მსხვერპლის გაღების სურვილის გაღვივება. ამ მიზნით მივმართავ სათანადო მოწოდებით ასკერებს და მოახლეობას და საოლქო სასამართლოს შენობაში ვიწვევ გავლენიან მოქალაქეთ შეიხ - ულ - ისლამის მეთაურობით. ვაცნობ მათ საერთო მდგომარეობას და ვთხოვ აღმომჩინონ დახმარება მებრძოლთა და მოქალაქეთა გამხნევებაში. როგორც ახლა მაგონდება, მივუთითე მათ, რომ ხვალ, 28 მაისია, დღე ადერბეიჯანის განთავისუფლებისა. დეე, ეს დღე ჩაწერილ იქმნეს ჩვენ ისტორიაში არა მარტო როგორც სიხარული და ზეიმისა, არამედ კიდევ როგორც დღე მამულის დიდებისათვის მის სამსხვერპლოზე უდიდეს განწირვისა და სისხლის გაღებისა. დეე, 28 მაისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწეული მედგარი წინააღმდეგობა მამულის ააუკუნოებრივ მტრისადმი, იქცეს სიმბოლოთ ჩვენი ეროვნული სულიერი ღირსების და მორალური გამარჯვებისა.

ჩემი სიტყვა დიდის ენტუზიაზმით იქმნა მიღებული და სხვა და სხვა ვარიანტებით გაიმეორეს განარჩენ მოლაპარაკეებმა. ბოლოს შეიხ - ულ - ისლამის წინადადებით კრებამ ერთხმათ გადამიხადა მადლობა და ჩამაბარა მთელი ძალაუფლება ქალაქში.

28 მაისს განსაკუთრებლივ მშვენიერი დღე დდგა. თითქოს თვით ბუნებაც კი ულიმოდა ამ დღეს და თავის თანაგრძნობით ეალერსებოდა უსწორო ბრძოლაში ჩაბმულ აჯანყებულ ერს. მტერი გათენებიდანვე იწყობს ენერგიულ მოქმედებას; ყოველი მხიდან ზარბაზნების გრიალი მოისმის. მოწინააღმდეგე ჩვენს პოზიციებს უეშნს. ყუმბარების დიდი რიცხვი სკდება შუა ქალაქში. დილის 7 საათზე მე-1-რე ათასეულის უფროსი მახსენებს, რომ შამხორის ახლოს გამოჩნდა ფეხოსან ჯარის დიდი ნაწილი. მა მაშინათვე გავეშურე ამ ათასეულის უფროსის სადგომზე და მის უფროსს გაუზენთან ერთად (ჩამომავლობით გერმანელი) შეუდექი მტრის ზვერვას. შევამჩნიე, რომ ცხენოსანი ჯარი საიერიშო წყობას იღებდა. საჭირო მომზადება იყო მოწინააღმდეგის სათანადო შეგებებისა. გავეცი ბრძანება, რომ შეეწყვიტათ ცეცხლი და ყველა, განკარგულებაში მყოფი ტყვიისმფრქვეველი ამ სახიფათო ადგილისაკენ მიემართათ. ასკერებს და პარტიზანებს სასტიკათ ავუკრძალე თოფის გასროლა უბრძანებოთ. ველით!

უკვე დაიძრა მოწინააღმდეგის იერიში. უკვე მკვეთრათ მოსჩანს მისი საიერიშო წყობა — გვიტევს ოთხ ეშელონით, ორ-ორ ესკადრონით თითო ეშელონში. გვიახლოვდებიან ჩორთით... გადადიან ოთხზე... უკვე მოჰქრიან საიერიშო ნავარდით... მანძილი თანდათან მოკლდება და მტერი ყოველ წამით გვიახლოვდება... რჩება მხოლოო 8000 მეტრი... 7000!.. 6000!.. და ბოლოს ვაძლევ ბრძანებას: „ცეცხლი!“ იგრიალა ტყვიის ქარიშხალმა. 5 ზარბაზანი კარტეჩით უშინ მოწინააღმდეგეს; ამას ზედ ერთვის 22 ტყვიისმფრქვეველის, თითქმის ორ ქვეითა ათასეულის და პარტიზანულ ნაწილთა ცეცხლი. ეს გრიალი ჰკაფავს მოწინააღმდეგის რიგებს და ჩვენ პოზიციების წინ მთელ ველს დაჭრილ-დახოცილ ადამიანთა და ცხენების გვამები ჰფარავენ. მარტო თითოობრივი მხედრები ახერხებენ ცეცხლის სივიდან გასვლას. იერიში მოგერებულია!

შემდეგში გამოირკვა, რომ ეს ცხენოსანი დივიზია ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახოცილთა რიცხვის მიხედვით დივიზია შეგვეძლო განადგურებულათ ჩაგვეთვალა.

12 საათზე მოდის ცნობა, რომ მტერი ახლათ გვიტევს ელენდორფის და სადგურ თერანის მხრიდან. აქ უკვე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი მოქმედებს. ამ სახიფათო რაიონისაკენ ვგზავნი, იქ მყოფ 1 ათასეულის გუნდის და პარტიზანული ჯგუფის დასახმარებლად მთელ დანარჩენ 1 ათასეულს და მე-2-რე ათასეულის ორ გუნდს. (ამაში ტყვიისმფრქვეველთა გუნდს). ეს იერიშიც მოგერიებულ იქმნა მოწინააღმდეგის დიდი ზარალით. 16 საათზე ბრაზმორეული მტერი ქალაქს მძიმე და მსუბუქ ზარბაზნებს უშენს. 20 საათზე ბრძოლის ველზე შედარებით სიწყნარე ვარდება, რაც დაქანცულ მებრძოლთ აძლევს საშუალებას ცოტათი მოისვენონ და სული მოითქვან. ამ დღეს დახვრეტილი იქმნა 15 კაცი, რომელთაც მოასწრეს ელსმენის ხაზების გაფუჭებაზე, სადესტრაქციო პროპაგანდაზე და პროკლამაციების გავრცელებაზე.

ასე გადის 1920 წლის 28 მაისი, მეორე წლისთავი ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ეს დღე ყველაზე მძიმე იყო აჯანყების მთელ განმავლობაში. ძველმა განჯამ ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავისი გმირული სული და უხვათ მორწყო თავის ველები მტრის და საკუთარ შვილთა სისხლით.

საქართველოს ფრონტიდან და ყარაბაღიდან კი არავითარი ცნობები არ მოდის. რამდენჯერმე გაგზავნილი შიკრიკები თითქოს დედამიწამ ჩაყლაპა. ვაზნები და ყუმბარები დღითი დღე ცოტავდება. მტრის აქტივობა თან და თან მატულობს, მას ყოველ დღე ახალი მაშველი მოსდის, და თუმც მისი მრავალი იერიშები მოგერიებულ იქმნენ, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ მტერი ამ იერიშებს განაახლებს ახალი ძალებით და თუ ჩვენ საიდანმე შვება არ მივიღეთ, გაგვიძნელდება ქალაქის შერჩენა.

ღამე 28 — 29 მაისს მოდის პირველი ცნობა, რომ უკვე რამოდენიმე დღეა, რაც ბოლშევიკებმა დროებითი ზავი შეჰკრეს საქართველოსთან და საქართველოს ფრონტზე არც ერთი წითელი არმიელი აღარ მოიპოვება. ეს ცნობა აჯანყებულებს საშინელ უბედურებათ გვატყდება თავზე. მთელი ჩვენი იმედი საქართველოს და ადერბეიჯანის შეთანხმებულ მოქმედებაზე იყო დამყარებული.... და ეს იმედი გაჰქრა.

სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიკებმა დიდი გაშჭრიახობა და მოხერხებულობა გამოიჩინეს: მოახერხეს ზავის შეკვრა, როდესაც ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ, რომ 9 თვის შემდეგ ომის გამოუცხადებლივ, მიუხედავათ საერთაშორისო უფლებათა და მიღებულ ვალდებულებებისა, — დინჯის გულით შესდგომოდენ საქართველოს დაპყრობას განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში.

მდგომარეობა უიმედო ხდება. უკვე უშუალოდ განვიცდით საბრძოლო სურსათის ნაკლულოვნებას, განსაკუთრებით საარტილერიო ყუმბარებისა. იძულებული ვართ ყაირათი გავსწიოთ ყოველ თითოულ ვაზნის და ყუმბარებისა. მაშინ როდესაც მოწინააღმდეგე ახალ შევსების შემდეგ სწორეთ ეხლა უდგება დაუდეგარ აქტიურ მოქმედებას.

28 — 29 მაისს მოწინააღმდეგე მთელი ღამე აწუხებს ჩვენს ხაზს მოქმედებს ყოველ მხრიდან, მაგრამ განსაკუთრებით ელენდორფის მიმართულებიდან. 29 მაისს გათენებისას მოწინააღმდეგეს არტილერია იწყობს მძლავრ ცეცხლს, იგი უკვე თვით ქალაქს უშენს.

8 საათზე იძვრება მტრის შემოტევა. მას ელენდორფის მიმართულებიდან მჭიდრო ხაზებით მოაქვს იერიში 1-ლ ათასეულის სადგომზე. ამ დღეს ეს ათასეული გაძლიერებულია 1 ბატარეით, ტყვიამფრქვევთა 2 გუნდით და პარტიზანთა რაზმით. ათასეული იგერიებს მოწინააღმდეგის იერიშების მთელ რიგს. ამ იერიშების დროს გმირთა სიკვდილით იღუპებიან ათასეულების უფროსები: — მირიზადე, პოლკ. გაუზენი და პოლ. სტანკევიჩი.

30 მაისს 1-ლი ათასეული მოწინააღმდეგის დიდი ძალების წნევის ქვეშ უკან იხევს და მტერი ქალაქის სომხურ ნაწილს იპყრობს. ამავე დროს მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ უტევს მე-2-რე ათასეულის პოზიციებსა, მაგრამ აქ ყველა იერიში მოგერიებულ იქმნა. ესეთივე მდგომარეობა გრძელდება 31 მაისს და 1 ივნისს. მტერი განუწყვეტლივ უტევს ქალაქს ყოველ მხრიდან, რომელსაც უკვე ყოველ მხრიდან აქვს შემორტყმული ალყა და ეს რკინის რკალი თან და თან ვიწროვდება მტრის მასიური იერიშების წნევით. ზარბაზნების და ტყვიისმფრქვეველების განუწყვეტელი გრიალი, რომელიც განუწყვეტლივ მოისმის ქალაქის ყოველ მხრიდან; ხშირი სხვა და სხვა ყალიბის ყუმბარების ფეთქვა შუა ქალაქში, თითოულ ასეულების და პარტიზანულ ჯგუფების შეუწყვეტელი გადაგზავნ - გადმოგზავნა ფრონტის ერთ გაჭირვებულ ნაკვთიდან მეორეზე, შეიარაღებულ ქალების პოსიციაზე გამოჩენა, რომელნიც თავიანთ მაგალითით ამხნევებენ უმოწყალოთ დაქანცულ მებრძოლთ — ყველა ეს აუწერელ შთაბეჭდილებას ჰქმნის.

ფოილოს ხიდთან ბრძოლის შეწყვეტის და საქართველოს მიერ

ზავის შეკვრის ცნობის შემდეგ, ჩემთვის სრულიად ცხადი იყო ბრძოლის უნუგეშობა. ცხადი იყო, რომ განუწყვეტელი ბრძოლით საშინლად მოქანცულ ჯარით და უკანასკნელ საშუალებამდის შეზღუდულ საშუალებებით ქალაქს დიდ ხანს ვეღარ შევირჩენდით. ნუ გადავივიწყებთ, რომ ამ დროს განჯის გარნიზონ სდგას რუსეთის მე-11 ლაშქრის მთავარი ძალები. საერთოთ 28 მაისის შემდეგი ბრძოლა მხოლოდ ჯანყების სულთბრძოლა ღა იყო, ერთი ღა დარჩა: რომ მდგომარეობიდან ღირსეულათ გამოვსულიყავით და რომ მტერს თავის გამარჯვება ძვირათ დასჯდომოდა.

1 ივნისს ღილით ფრონტზე შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. ვისარგებლე ამით და ერთ ერთ მეჩეთში მოვიწვიე მოქალაქეთა წარმომადგენელნი. ავუხსენი მათ მდგომარეობის უნუგეშობა, ვინაიდან ვაზნები და ყუმბარები მხოლოდ ერთი ღღის ბრძოლის სამყოფი ღა მოგვეპოვებოდა და წარვუყენე წინადადება ქალაქის გახიზვნისა. ვიცოდი, რომ მათ მტერი განუკითხავ სისასტიკით მოეპყრობოდა და ამიტომ განვაცხადე, რომ ვისაც სურს, შეეძლება ქალაქი დასტოვოს ჯარის საბრძოლო დაფარვის ქვეშ. გახიზვნა დავნიშნე 2 ივნისის გათენებაზე. გახიზვნისათვის შემდეგი გეგმა შევიმუშავე: ორი მსროლელთა, ერთი ტყვიამფრქვევთა გუნდი და პარტიზანთა ჯგუფი ამოეფარება მდინარე განჯას და მოწინააღმდეგეს გააჩერებს ქალაქის სომხურ ნაწილში. დანარჩენი ძალებით ვეკვეთები მტრის რკალს და გავარღვევ მას ჩრდილოეთ - დასავლეთის მიმართულებით; დავიკავებ ამ მიმართულებით ქალაქიდან 2 — 3 კილომეტრის მანძილზე მდებარე სიმაღლეებს, აქედან ავიღებ მოწინააღმდეგეს ფრთულ ცეცხლის ქვეშ და ამით მივცემ მშვიდობიან მცხოვრებთ ქალაქის დატოვების საშუალებას. შემდეგ დავფარავ მათ მგზავრობას.

გეგმა მთელ თავის შემადგენლობით იქმნა განხორციელებული. მოიერიშე ნაწილმა ჩემი პირადი ხელმძღვანელობით, მოულოდნელი დაკვრით გაარღვია მტრის ხაზი. მოწინააღმდეგე უწესრიგო განგაშით სტოვებს ამ მიმართულებას. დაკავებულ სიმაღლეებიდან დავუშინეთ მოწინააღმდეგის ფრთებს ცეცხლის ქარიშხალი, რამაც მის ბანაკში პანიკა გამოიწვია. ფრონტის გარღვეულ ნაწილს ეხეთქება მცხოვრებთა განუწყვეტელი ტალღა, რომელიც სტოვებს ქალაქს და სოფლებს აფარებს თავს.

ჩვიდმეტ საათზე ჩვენს ჯარს უერთდება ის ნაწილი, რომელიც მთელ ამ ხანს აჩერებდა მტერს ქალაქის სომხურ ნაწილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარი იხევს მცხოვრებთა კვალით.

2 — 3 ივნისს ღამეს ვანთავისუფლებ პარტიზანებს და განჯის მესამე პოლკის ნაშთებს.

(იხილეთ ნახაზი № 2).

ჯ. ქაზუმ - ბეგი

---

## საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალა*)

ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ ბევრი რამ ითქვა და იწერება წითელ ლაშქარზე. ევროპის პრესა სავსეა ერთი მეორის საწინააღმდეგო აზროვნებით და დასკვნებით ამის შესახებ. ზოგიერთნი წითელ ლაშქარს ომის უძლიერეს მანქანათ სთვლიან, ზოგნი კი გამოუყენებელ ურდოთ. რომ ამ ლაშქარზე, სინამდვილესთან დაახლოებული წარმოდგენა მივიღოთ, საჭიროა მისი ობიექტიური და ზედმიწევნითი შესწავლა, ამ საწინააღმდეგო აზროვნებათა უკუგდებით. რომ, შეძლების დაგვარათ, უშეცდომოთ შევაფასოთ ამ ლაშქარის საომარი ვარგისობა და მის შემძლებლობა თანამედროვე

---

*) აქ მკითხველთა ყურადღებას ერთ გარემოებას მივაქცევთ: ეს მოხსენება 1935 წელს იქმნა წაკითხული და ყველა მოყვანილი რიცხვები ამ წლის აქტუალური რიცხვები არიან. მაგრამ, შეიარაღებული ძალები ცოცხალ და ძლიერ ფაქიზ არსებას წარმოადგენენ, რომელნიც უშუალოთ განიცდიან ცხოვრების ყოველ მოვლენის და, განსაკუთრებით კი მის პოლიტიკურ, ეკონმომიურ და ტეხნიკურ ვითარების გავლენას. ცხოვრების ამ მხარეთა ყოველგვარ ცვლილებას, შეიარაღებული ძალა იმ წამსვე თავის სათანადო ცვლილებით უპასუხებს ხოლმე. ამ მოვლენის გამო აქ მოყვანილი რიცხვები დაბეჭდვის დროს, თითქმის ყოველ დარგში, გადალახულნი არიან. ამისთვის ამ ცნობებს უმატებთ იმ ცვლილებებს, რომელთაც ალაგი ჰქონდათ მათ დაბეჭვდამდის. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი ცნობებიც ბევრი ხანი არ შეირჩენენ თავიანთ აქტუალობას.

( რედაქცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახის ომის წარმოებაში, ამისათვის საჭიროა განვიხილოთ ჯერ მისი დღევანდელი ორგანიზაცია და შემდეგ მისი ღირებულება.

## I

## წითელ ლაშქრის ORგანიზაცია

დღეს საბჭოთა რუსეთს 21. 176. 000 კვ. კილომეტრი სივრცე უკავია. საბჭოთა ბრძანების ქვეშ მყოფ მცხოვრებთა რიცხვი — 166. 000. 000 აღემატება და მოსახლეობის სიხშირე 7, 8 კაცს უდრის ერთ კვ. კილომეტრზე. ეს უზარმაზარი სივრცე უკავია ს. ს. რ-თა კავშირს, რომლის შუაგულსაც წარმოადგენს ველიკორუსეთის (დიდი რუსეთის) რესპუბლიკა მის ირგვლივ მდებარე შემდეგი ქვეყნებით: (იხილეთ ნახაზი № 1)

უკრაინა,
ბიალორუსეთი (თეთრი რუსეთი),
ამიერ კავკასია,
თურქესტანი,
უზბეკისტანი და
ტაჯიკისტანი.

ამ ათასფეროვან ერთა ძალით საერთო კალაპოტში მოქცევით, საბჭოთა რუსეთი ზედმიწევნით დაემზგავსა რომანოვთა ხელოვნურად შებლანდულ იმპერიას.

სამხედრო თვალსაზრისით საბჭოთა ტერიტორია 11 ოლქათაა დაყოფილი. ამ რიცხვიდან ევროპაში იმყოფება 7 ოლქი შემდეგ საოლქო ცენტრებით: —

მოსკოვის ოლქი — ქ. მოსკოვი,
ლენინგრადის — ქ. ლენინგრადი,
ვოლგის — ქ. სამარა,
უკრაინის — ქ. კიევი,
ბელორუსეთის — ქ. სმოლენსკი,
ჩრდილო კავკასიის — ქ. როსტოვი,
ამიერ კავკასიის — ქ. თბილისი.

დანარჩენი 4 ოლქი იმყოფება აზიაში. სახელდობრ: —

ცენტრალურ აზიის — ქ. ტაშკენტი,

ციმბირის — ქ. ნოვოსიბირსკი,
აღმოსავლეთის — ქ. ხაბაროვსკი,
ყაზახთა — ქ. ალმა - ატა.

რუსეთის სალაშქრო ოლქი საფრანგეთის კორპუსის ოლქს ეფარდება. მშვიდობიან დროს ოლქის უფროსი განაგებს თავის ოლქში მდგომ ერთეულთა სამსახურს და სამხედრო და პოლიტიკურ აღზრდა - გაწრთვნას.. ომის დროს, იგი ავტომატიურათ სდგება ოლქის მიერ შედგენილ საველე ლაშქრის სათავეში.

## სამხედრო ბეგარა.

საბჭოთა პროლეტარიატზე განწესებული სამხედრო ბეგარა და სხვა სამხედრო სახის ვალდებულებანი, გაცილებით უფრო მძიე ხასიათის არიან, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოს, ეგრეთ წოდებულ, კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული სამხედრო სისტემები. 1928 — 29 წლებში, სამხედრო ბიუჯეტი საერთო ბიუჯეტის 12 პროცენტს შეადგენდა. მიუხედავათ იმისა რომ ამ თანხაში არ შედის ხარჯი ყაზარმების აგებისა, სპეციალურ ნ;წილების შენახვის, პროპაგანდის და საექიმო სამსახურის, იგი გაცილებით აღემატება საფრანგეთის ამ ხანის 11 მილიარდ ფრ. ბიუჯეტს. 1929 წლიდან ზემოხსენებული თანხა თან და თან იზრდება და 1929 — 34 წლებში საერთო ბიუჯეტის 20 პროცენტს აღწევს*). 1935 წ. გაღებული იქმნა 6. 5 მილიარდი, რაც ფრანგულ ამ წლის 65 მილიარდ ფრანკს უდრის.

წითელი ლაშქრის არსებობის კანონები წარმოიშვენ საბჭოთა ფინანსიურ, შინაგან და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობათა ზეგავლენის ქვეშ. ამისთვის, თანამედროვე ორგანიზაციის გასაგებად, საჭიროა გადავხედოთ მის წარსულს.

1918 წელს დაევალა ტროცკის ბოლშევიკურ წითელ-გვარდიელთა ბრბოთა დაჯარისკაცება. ძალაუფლების მიღებისათანავე მან უკუაგდო რევოლუციის მიერ წარმოშობილი მოხალისეთა და მილიციონერთა რაზმების სამხედრო ქმნილება და მათ ნაცვლათ შეუდგა მუდმივი ჯარის შექმნას, უცხო სახელმწიფოთა ნიმუშით.

ტროცკის მიერ დაწესებული დებულებანი 1922 წლამდის უც-

---

*) ეს მხოლოდ ოფიციალური სამხედრო ბიუჯეტია. ნამდვილი არაოფიციალური თანხა სამხედრო ბიუჯეტისა, მთელ ამ ხნის განმავლობაში, საერთო ბიუჯეტის 35 — 40 პროცენტს უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლელათ განაგებდენ საბჭოთა ჯარის არსებობას (ე. ი. საბჭოთა მიერ რუსეთის იმპერიის საზღვრების აღდგენის თარიღამდე). ამ სისტემის მრავალ დადებითი თვისებათა მიუხედავათ, ფინანსიური გაჭირვების გამო, ჯარში, სამსახურში გაწვეულთა მხოლოდ მცირე ნაწილი ირიცხებოდა. ამ მდგომარეობიდან თავის დასახწევათ, და არსებულ რეჟიმის სათანადო ძალებით გასამტკიცებლათ, მოსკოვის ხელის უფლებამ ფრიად ორგინალური სისტემა შემოიღო, სადაც ვხედავთ რეგულიარულ ჯართან ერთად მილიციურ ჯარის თანარსებობას. ამ გვარათ რეგულიარულ დივიზიათა ერთი ნაწილი ტერიტორიალურ დივიზიებათ იქმნენ გარდაქმნილი.

1928 წლის 8 აგვისტოს კანონით დაწესებული იქმნა სამსახურის ვადა და ამ ორ სახიან ჯარის თანამუშაობის შემდეგი დებულებანი: —

ა. რეგულიარული ჯარის მოვალეობაა აღზარდოს ჯარის კაცები, ნაცვლები და ოფიცრები, რომელნიც მობილიზაციის დროს შეავსებენ მის რიგებს. ომის დასაწყისში რეგულიარული ჯარის ნაწილი ჰფარავს საზღვრებს და ამით უზრუნველ ჰყოფს სახელმწიფოს შიგნით მობილიზაციის გატარებას.

ბ. ტერიტორიალური ჯარი შესდგება მუდმივ კადრებიდან, რომელნიც არსებობენ მუდმივ და მაშველ ერთეულებიდან, რომელნიც არსებობენ მხოლოდ გაწვეულთა წრთვნის დროს. კადრებისმიზანია გაწრთვნა ამ მაშველ ერთეულების და მათი, ვინც ჯარში გაწვევამდე პირველ დაწყებითი სამხედრო მომზადება გაიარეს, ხოლო რეგულიარულ ჯარში კი ვერ მოხვდნენ მობილიზაციის გამოცხადებისას; მაშველი ჯარები შეავსებენ ტერიტორიალურ ჯარის მუდმივ რიგებს.

გ. ისინი, ვინც არც რეგულიარულ და არც ტერიტორიალურ ჯარში არ ირიცხებიან, სამხედრო აღზრდას იღებენ ჯარის გარეშე ამისთვის არსებულ სპეციალურ კადრების ხელმძღვანელობით*).

---

*) საბჭოთა ჯარის ორსახიანობა დროებით და გარდამავალ საშუალებას წარმოადგენდა, რომელმაც მხოლოდ 1935 წლის ბოლომდის გასტანა. 1936 წლიდან საბჭოთა შეიარაღებული ძალა ამ სისტემის აჩქარებულ ლიკვიდაციას აწარმოებს და უახლეს წლებში მიაღწევს საშუალებას ჯარში გაწვეულთა მთელ კონტინგენსის რეგულირულ ერთეულების რიგებში გაწრთვნისას.

(რედაქცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით სამხედრო ბეგარა საკმარის მძიმე სახისაა. რეგულიარულ ჯარში სხვა და სხვა დარგების და მიხედვით, იგი გრძელდება არა ნაკლებ 2 წლისა. აგრეთვე ტერიტორიალურ ნაწილებში დროგამოწვევითი და განმეორებითი დაბრუნებანი რიგებში საკმაოთ ხშირათ ხდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო ბეგარის სიმძიმე არ არის განაწილებული დემოკრატიული პრინციპით. იარაღის ხელში აღების პატივი მხოლოდ მუშებს და გლეხებს ეძლევათ და მათ შორის კი, უპიოატესობანი და საუკეთესო პიროვნები, რასაკვირველია, კომუნისტებს ეძლევათ.

სამხედრო სამსახური სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის დღიდან 20 წლის შესრულებისა და გრძელდება იგი 21 წელი, ე. ი. ცხოვრების 40 წლამდე; ჯარში გაწვევა ხდება ყოველ წლის გაზაფხულზე. ჯარში სამსახური მოხალისეთა სახით შეუძლიათ აგრეთვე ქალებსაც. დღეს წითელ ლაშქარში ქალების 2 პოლკი არსებობს; გაწვეულთა ჯარში ჩარიცხვა ხდება ფიზიკურ აგებულების და ოჯახის სოციალურ მდგომარეობისა და განსაკუთრებით პოლიტიკურ აზროვნების მიხედვით.

ჯარში გასაწვევთა ყოველწლიურ კონტინგენსის რაოდენობა 1. 300. 000-ის აღწევს. ამ რიცხვიდან უნდა გამოითვალოს 400.000 კაცი, როგორც ნორმალური რაოდენობა ფიზიკურ ნაკლულოვნებათა გამო, სამხედრო სამსახურისათვის გამოუყენებელ გაწვეულთა. დანარჩენ 900. 000 გაწვეულთაგან რეგულიარულ ჯარში ირიცხება 270. 000 — 280. 000; ტერიტორიალურ ჯარში — 250. 000. როგორც ვხედავთ, წლიურ კონტინგენსიდან რიგებს გარეშე რჩება 350. 000 — 400. 000 კაცი; ამ ნაწილის სამხედრო აღზრდა ევალებათ ცნობილ ᲝᲡᲝᲐᲕᲘᲝᲮᲘᲛᲡ და ზემოხსენებულ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ. ზემოთ მოყვანილი ფიზიკურ ნაკლულოვნებათა გამო გამოუყენებელთა რიცხვის შედარებითი სიდიდეს, თვით წითელი ექიმები, არსებულ რეჟიმის მიერ შექმნილ გაჭირვების გამო, შთამომავლობის ფიზიკურ დავარდნით ხსნიან. მაგალითად, ჭლექიანების რიცხვი გასამკეცდა 1913 წელთან შედარებით.

სამხედრო ბეგარის სამსახური განიყოფება 3 ხანათ: —

ა. — პირველდაწყებითი სამხედრო მომზადება,

ბ. — სამსახური რეგულიარულ ჯარში და

გ. — სამსახური სათადარიგო ჯარში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ სავალდე-

ბულია ყოველ მოქალაქისათვის, დღიდან ცხოვრების 19 წლის შესრულებისა და გრძელდება 20 წლამდის, ე. ი. ჯარში გაწვევამდის. ამ დროს განმავლობაში ნამდვილი აღზრდა მხოლოდ 2 თვის განმავლობაში სწარმოებს. ამ კურსებს ხელმძღვანელობენ ტერიტორიალურ ჯარის კადრები ლაშქრის მთავარი შტაბის განკარგულებათა თანახმათ; ამ ხანის მომზადების მთავარ ნაწილს სოციალურ და კომუნისტურ დოქტრინის შესწავლა შეადგენს. თვით სამხედრო საგნებიდან ტანვარჯიშობის, წყობილების და სროლის რამოდენიმე გაკვეთილს გადიან.

პირველდაწყებითი მომზადება სავალდებულოა ᲐᲑᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ. ამისთვის მათთვის სავალდებულოა 18 საათის თეორიული და 2 თვის პრაქტიკული კურსები. ვინც გამოცდას ჩაბარებს და სურვილი ექნება, ნება ეძლევა სამხედრო სასწავლებელში შესვლისა.

როგორც ვხედავთ, პირველდაწყებით მომზადებას არა აქვს მინათ ახალგაზრდათა წინასწარი სამხედრო გაწრთვნა სამსახურისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ მომზადებაში სამხედრო ცოდნას ყველაზე ნაკლები ალაგი უკავია. მისი ნამდვილი მიზანი ისაა, რომ სანამ გასაწვევი თაობა იარაღს მიიღებდეს, მთავრობას სურს მას კომუნისტური სული ჩაუნერგოს და პოლიტიკურათ ისე აღზარდოს, რომ შემდეგ მან ჰპოვოს ჯარში საიმედო ბოლშევიკები და რეჟიმის მომხრე მებრძოლნი.

ᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲣᲚ ᲯᲐᲠᲨᲘ სამსახური გრძელდება 5 წელი; მოწვეულთა რიგებში შეუწყვეტელი ყოფნა 2 — 4 წელიწადი გრძელდება სხვა და სხვა იარაღთა მიხედვით. დანარჩენი დროს განმავლობაში ჯარისკაცი ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფება და მხოლოდ დროგამოშვებით იბარებენ მას 1 ან და 2-თვიან განმეორებითი მეცადინეობაზე.

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲯᲐᲠᲨᲘ, სამსახურის პირველ წელში ჯარისკაცთა აღზრდა მხოლოდ 3 თვე სწარმოებს. დანარჩენ 4 წლის განმავლობაში ხაზში ბრუნდებიან მხოლოდ ხანგამოშვებითი განმეორებაზე 2 თვის ვადით ყოველ წელს.

ტეხნიკურ იარაღთა ჯარისკაცნი მუდმივ შვებულების დროს ყოველ წელს გადიან 1-კვირიან განმეორებით კურსებს.

ზემოხსენებულ ნაწილთა გარეშე დარჩენილ ახალგაზდათა აღზრდა - გაწრთვნას აწარმოებენ ოსოავიოხიმი და საამისო სპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალური კადრები. მეცადინეობა აქაც 5 წელი გრძელდება — 2 თვე ყოველწლიურათ; 1 წლის ხანგადაცილებულ სამსახურის შემდეგ ყოველ სანდო პირს შეუძლია 45 წლამდის ჯარში დარჩენა.

5 წლის სამსახურის შემდეგ ჯარისკაცი სათადარიგო ლაშქარში გადადის. ცხოვრების 34 წლის შესრულებამდის იგი თადარიგის პირველ ნაწილში ითვლება და ყოველ წელს ბრუნდება ხაზში 1-თვიან განმეორებით მეცადინეობაზე. 34 წლის შემდეგ გადადის სათადარიგო ლაშქრის მეორე ნაწილში, სადაც რჩება სამხედრო სამსახურის გათავებამდის, ე. ი. ცხოვრების 40 წლის შესრულებამდის.

აღწერილი სამხედრო მანქანა საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალთა რიცხოვნობას შემდეგ საზღვრებით ჰფარგლავს: —

**წითელ ჯარის რაოდენობა**

ს.ს.რ.-ის მოსახლეობა — 166. 000. 000
მისი სამხედრო ბიუჯეტი — 65 მილიარდი ფრანკი.
ოფიციალური ბიუჯეტი 1936 წლის წინ):

**მშვიდობიანობის დროს**

**ხმელეთის ჯარი.**
რეგულიარული ჯარი — 510. 000
ტერიტორიალური ჯარი — 60. 000
ფრენოსანი ჯარი — 50. 000

**სპეციალური ძალები:**
გ. პ. უ. — 150. 000
ჩ. ო. ნ. — 211. 000
სულ — 981. 000

ზაფხულში ტერიტორიალურ ჯარის მაშველ ერთეულთა მოწვევის დროს რიცხოვნობა 1. 500. 000 აღწევს.

1934 წლის 7 ივნისს საბჭოთა მე-7-დე კონგრესზე გენერალ ტუხაჩევსკიმ განაცხადა, რომ სულ მოკლე ხანში მარტო წითელ ლაშქრის სიმრავლე 940. 000 მეომარს მიაღწევსო. მაშინ მშვიდობიან დროის მრიცხოვნება 1. 301. 000 მიაღწევს*).

---

*) გენ. ტუხაჩევსკის განცხადების შესრულებას საბჭოთა შეიარაღებული ძალა 1936 წლის ზაფხულში შეუდგა, ისე რომ დღეს ავტორის დამატებით რიცხვია აქტუალური. (რედაქცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა



| | |
|---|---|
| მშვიდობიან დროის კადრები — | 981. 000 |
| 19 წლის გაწრთვნილი თადარიგი (1916 — 1934) — | 5. 500. 000 |
| 10 წლის ნახევრათ გაწრთვნილი (1924 — 1933) — | 2. 300. 000 |
| 10 წლის გაუწრთვნელი თადარიგი — ხაზის გარეშე დარჩენილი | 2. 800. 000 |
| ოსოავიოხიმი — | 1. 200. 000 |
| გლეხთა და მუშების საშიანო მოხმარების მილიცია) რ. კ. მ. — | 110. 000 |
| სულ — | 12. 891. 000 |

გენერალ ტუხაჩევსკის განცხადების შესრულების შემთხვევაში ეს რიცხვი 13. 211. 000 მიაღწევს.

## საბჭოთა შეიარაღებულ ძალთა სარდლობა.

ჯარის და მთელ სამხედრო ორგანიზაციის სათავეში სდგას ე. წ. „სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარი", რომელსაც ექვემდებარებიან ხმელეთის, ზღვათა და ფრენოსნობის კომისარიატები (სამინისტროები). ომის დროს იგი საბჭოთა მთელ შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალია.

სამხედრო კომისარს თავის ბრძანებლობის განსახორციელებლათ ორი მთავარი ორგანო მოეპოება: —

1. ლაშქრის უმაღლესი მთავარი შტაბი და
2. პოლიტიკური კომისარიატი (დეპარტამენტი).

უმაღლესი მთავარი შტაბი თავის დანიშნულებით საფრანგეთის მთავარ შტაბს ეფარდება და იგი შემდეგ 5 განყოფილებიდან შესდგება: —

საოპერაციო,
ლაშქრის და მობილიზაციის,
ცნობათა შეკრების და ომის მომზადების,
სამხედრო კომუნიკაციის და
ბრძანებლობის.

უკანასკნელს ემატება რაციონალიზაციის და სტატისტიკის სამსახურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისრის მეორე მთავარი ორგანო პოლიტიკური დეპარტამენტია. რას წარმოადგენს ეს აპარატი? როგორც ყველასთვის ცნობილია, ბოლშევიკური პარტია საბჭოთა მოსახლეობის უმცირეს ნაწილს წარმოადგენს. ოფიციალური სტატისტიკით, 166 მილიონ მასაში მის წევრთა რიცხვი 10 მილიონს არ აღემატება. მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი, რომლის რიცხვიც 155 მილიონს აღემატება, კომუნისტურ პარტიის გარეშეა. მრავალ რიცხოვან გლეხთა და მუშების ჯარში გაწვევით, იარაღი უცნობ და ხელისუფლებისათვის არა საიმედო ელემენტს უვარდებოდა ხელში, რომელსაც საშუალება ეძლეოდა ამის, სწორეთ მოსკოვის მმართველთა წინააღმდეგ მოხმარებისა. გარდა ამისა ბოლშევიკები იძულებული იყვნენ, ახალ შედგენილ ჯარის სათავეში, ყოფილ იმპერიის ოფიცრები ჩაეყენებინათ, როგორც ბრუსილოვი, ტუხაჩევსკი, ფრუნზე, გეკერი, ლევანდოვსკი და სხვა, კრემლისთვის არასაიმედო პირნი, რომელთა ერთგულობაც დიდათ საეჭვო იყო. ამ გვარი მდგომარეობა აუცილებლივ მოითხოვდა ოფიცრების, ნაცვლების და ჯარისკაცთა თვალყურის დევნას კომუნისტური პარტიის მიერ. ამ მიზნისათვის შეჰქმნეს ბოლშევიკებმა პოლიტიკური მმართველობა. დღეს ყოველ სამხედრო ერთეულში სამხედრო უფროსის პარალელურათ არსებობს პოლიტიკურ კომისარის თანამდებობა. თავისთავათ ცხადია, რომ ამ გვარი ორმაგი სისტემა ბევრ სიძნელეს იწვევს სამხედრო ბრძანებლობაში, ვინაიდან სამხედრო ბრძანების შესრულება, პოლიტიკურ კომისრის დაუდასტურებლივ არ შეიძლება*).

## კადრები.

წითელი ჯარის კადრები შემდეგ საფეხურებათ განიყოფებიან:*)

---

*) დღეს, სარდლობის იმ საფეხურზე, სადაც კრემლის ხელისუფლებას საბჭოთა წყობილების უკვე ნაცადი ერთგულნი ეგულებიან, პოლიტიკურ კომისართა თანამდებობა უკვე მოხსნილია. ეს თანამდებობა არსებობს ჯერ კიდევ იმ საფეხურზე, რომელთა თანამდებობაც დღემდე ვერ შეუვსიათ ნაცად ერთგულთა კადრებით.

*) წელს საბჭოთა ჯარში დაბრუნებული იქმნა ყველა ჯარში მიღებული ოფიცერთა ხარისხის სახელები: მარშალი, გენერალი, პოლკოვნიკი, მაიორი და სხვა.

(რედაქცია)

სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, მუდმივი კადრის სავალდებულო წლოვანება იმდენათ შეამცირეს, რომ საბჭოთა სარდლობა ერთ დროს ყველაზე ახალგაზრდა იქნება. მაგალითად, ნაცვალთა ხნიერება არ უნდა გადასცილდეს 40 წელს, საშუალო და მაღალ ოფიცრების 45 წელს, ხოლო მთავარ ოფიცრების 50 წელს. მაგრამ, დღეს კადრების შემადგენლობა ისეთ მწვავე კრიზისს განიცდის, რომ ზემოხსენებული წლოვანობა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, განსაკუთრებით ტეხნიკურ დარგებში.

საბჭოთა ჯარში დაარსებულია დიდი რიცხვი სამხედრო სკოლებისა; სახელდობრ: —

36 ორწლედი ნაცვალთა კურსები;

27 — 3 - 4 ნახევ. წლედი კურსები საშუალო და მაღალ ოფიცერთათვის;

12 შემდეგ მაღალ ხარისხის მიღებისათვის მოსამზადებელი კურსები;

5 სხვა და სხვა დარგის სამხედრო აკადემია;

1 პოლიტიკური აკადემია. უკანასკნელი ორი კატეგორია მთავარ ოფიცერთათვისაა.

სათადარიგო ჯარის კადრები შედგენილი იქნებიან უმთავრესათ ხან გადაცილებულ ნაცვალთა, ოფიცრების და უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეების მიერ. წითელ ლაშქრის საომარ ღირებულების განხილვის დროს კადრების საკითხს კვლავ დაუბრუნდებით. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი: მიუხედავათ სკოლების და აკადემიების არსებობისა, კადრების დონე საერთოთ ძალაინ დაბალია. დიდ ომმა, რევოლუციამ და ემიგრაციამ მცხოვრებთა საუკეთესო ნაწილი იმსხვერპლა.

## წითელი ლაშქრის შემადგენლობა.

საბჭოთა ჯარი შესდგება შემდეგი ნაწილებიდან:

1. რეგულირული ჯარი, რომელიც დაყოფილია ორგანიულ ტაქტიკურ დიდ ერთეულებათ და აღჭურვილია მუდმივ კადრების კანონიერ შტატებით და ორგანიულ იარაღის კრებულით. ამავე ჯარის შემადგენლობას ეკუთვნის ციხე - სიმაგრეთა საგარნიზონო ერთეულები.

2. გამწრთვნელი კადრები ტერიტორიულ ერთეულთა აღსაზრდელათ. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ესენი ახალშექმნილ საბრძოლო ერთეულებში ირიცხებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. განყენებულთა ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ არასაიმედო პირთაგან შესდგებიან არა უმეტეს ერთ ასეულისა ერთათ. მათი მოხმარება სხვა ჯართან ერთათ აკრძალულია.

4. სპეციალური ნაწილები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ „ბ. პ. უ"-ს და ჩ. ო. ნ."-ს.

„ბ. პ. უ." წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების უძლიერეს გვარდიას და არსებულ წყობილების დედა ბოძს. მართალია, მან ძველი სახელი შეიცვალა (ჩ. კ.), მაგრამ ძველ საშუალებებზე ხელი არ აუღია. ოფიციალური ცნობებით მის შემადგენლობაში 150. 000 კომუნისტი შედის, აღჭურვილია შეიარაღების უკანასკნელი ნიმუშებით. განაწილებულია ავტონომიურ ქვეითა და ცხენოსან პოლკებათ შეუზღუდავ მექანიკურ საშუალებებით. „ჩ. ო. ნ."-ი (განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები) იმყოფება კომუნისტურ პოლიტბიუროს სრულს განკარგულებაში. საჭიროების დროს იგი უერთდება „ბ. პ. უ."-ს. მის ერთეულებათ დაწესება იგივეა რაც „ბ. პ. უ."-სი; „ჩ. ო. ნ."-ის შემადგენლობაში შედის 211. 000 კაცი და კარგათ მოზრდილი რიცხვი ქალებისა.

## შეიარაღება და საომარი აღჭურვა.

ერთეულების ორგანიზაციის შესწავლის წინ, საჭიროთ მიგვაჩნია ამ ჯარების შეიარაღების და მის სხვა და სხვა დარგთა საომარ აღჭურვილობის განხილვა.

ქვეითა ჯარის შეიარაღება შემდეგ ნიმუშებიდან შესდგება: —

1891 წლის ნიმუშის 3 ხაზიანი ყალიბის თოფი ( 3 ხაზი 7. 62 მილიმეტრს უდრის). ბალისტიურ და ტეხნიკურ თვისებებით 1916 წლის 8 მ.მ. ყალიბის ფრანგულ თოფს მიემსგავსება.

მსუბუქი ტყვიისმფრქვევი — ყალიბი 6. 5 მ.მ. ფედოროვის სახელის საბჭოთა მრეწველობის ეროვნული ნიმუში. ამ ტყვიამფრქვევის გარდა ჯარში დღემდე ნაწილობრივ დარჩენილია მადზენის მსუბუქი ტყვიამფრქვევი. ბოლშევიკების სურვილით უახლოეს დროში მთელ ჯარის ფეოდოროვის ტყვ.მფრქ. შეიარაღება.

მძიმე ტყვ. მფრქვევის ეროვნული ნიმუში ჯერ არ აქვს წითელ ჯარს. მის ლოდინში მებრძოლი ერთეულები შეიარაღებულნი არიან მაქსიმის, ლუისის და კოლტის ტყვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფრქვეველებით. სხვა და სხვა ცნობების მიხედვით ამ უკანასკნელ დროს ახალ გამოგონილ 10 მ.მ. ყალიბის ტყვ. მფრქვეველის გამოცდას აწარმოებენ.
კადრები შეიარაღებულია პარაბელუმის, კოლტის და მაუზერის ავტომატებით ან და ნაგანის შვიდ ვაზნიან რევოლვერით.

## ცხენოსანი ჯარი.

ხმლის და შუბის გარდა ცხ. ჯ. შეიარაღებულია ქვეითა ჯარის თოფის ნიმუშის ყარაბინით, მადზენის ნიმუშის მსუბუქ ტყვ. მფრ. და მარხილებზე ან მსუბუქ ეტლზე („ლინეიკებზე") დადგმული მაქსიმის ტყვ. მფრქვეველი.

## არტილერია.

როგორც საერთოთ მიღებულია, არტილერია შესდგება: დიდ ერთეულთა ორგანიულ არტილერიიდან (ქვეითა და ცხენოსან ჯარისა) და არაორგანიულ, ანუ სპეციალურ დანიშნულების არტილერიიდან (ა. ს. ნ.). ეს უკანასკნელი ხარისხი საფრანგეთის გენერალურ თადარიგის არტილერიას შეეფარდება.

## ორგანიული არტილერია.

ქვ. ჯ. ათასეულებში: პატარა ზარბაზანი 37 მ.მ. ყალიბის*).
ყუმბარის მტყორცნელი (ქვემეხი) 58 მ. მ. ყალიბის.
ქვ. და ცხ. დივიზიებში:
საველე ზარბაზანი ნიმუში 1902 წლის, ყალიბი 76. 20.
სამთო ზარბაზანი ნიმუში 1909 წლის, ყალიბი 76.20.
ქვემეხები 121. 9 და 144. 20 მ.მ. ყალიბის.
ქვ. და ცხ. კორპუსებში:
მძიმე ზარბაზნები — 106. 68 ყალიბის და
ქვემეხები — 152. 40 მ.მ. ყალიბის.

---

*) სხვა სახელმწიფოთა ჯარებში ამ იარაღს არტილერიაში არა რიცხავენ. იგი ქვ. ჯ. ორგანიულ იარაღათ იგულისხმება.
(რედაქცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არაორგანიული არტილერია.

ეს არტილერია იმყოფება მხოლოდ ევროპიულ რუსეთში და შეჯგუფებულია 4 ალაგას: ლენინგრადში, მოსკოვში, სმოლენსკ'ში და ხარკოვში. შეიარაღებულია შემდეგი ზარბაზნებით:

ჰაუბიცები და ქვემეხები 152. 40 მ.მ. და 203. 20 მ.მ. ყალ. მძიმე ქვემეხები 275. მ.მ. და 304. 80 მ.მ. ყალიბის. ფრენოსნობის საწინააღმდეგო ზარბაზნები 76. 20 ყალიბის. დადგმულია სპეციალურ საავტომობილო თვლებზე. სასანგრო არტილერია შესდგება მხოლოდ რამოდენიმე დაძველებულ ნიმუშის იარაღით შეიარაღებულ ბატარეიდან.

რაც შეეხება რკინის გზის ლიანდაგზე აწყობილ არტილერიას, ის წითელ ჯარს ჯერ კიდევ არ მოეპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯავშნოსან მატარებლებს.

## ფრენოსნობა.

ფრენოსნობა რუსეთში ყოფნა არყოფნის საკითხათაა ცნობილი და მას სახელმწიფოს ზრუნვათა შორის პირველი ადგილი უკავია, და მართლაც მცირე რიცხოვანი რკინის გზები, მდინარეები, რომელნიც კარგა დიდი ხნით იყინებიან და რომელთა მიმართულებაც არ ექვემდებარება სახელმწიფოს ყველა საჭიროებებს — ყველა ეს პირობები ძლიერ აძნელებენ რუსეთის უზარმაზარ სივრცეთა გადალახვას. ამ გეოგრაფიულ პირობებს ზედ ერთვიან პოლიტიკური საჭიროებანიც, სახელდობრ: „ს. ს. რ. "-ის ათასფეროვანი რესპუბლიკები, რაც უფრო შორს მდებარეობენ მოსკოვიდან, მით უფრო მტრულად არიან მისდამი განწყობილნი. ეი ამ დაშორებულ ქვეყნებზედ ბრძანებლობის საშუალების შესარჩენათ, ძლიერი ფრენოსნობა მოსკოვისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სხვა საშუალებები, გარდა იმისა, რომ მოკლებულნი არიან ფრენოსნობის სიჩქარეს, რუსეთის ზოგიერთ კუთხის მიღწევა საერთოთ ვერ შეუძლიიათ მთელ ზამთრის განმავლობაში. მეორე მხრივ რუსეთის უზარმაზარ ვაკე ადგილებზე მდინავთ - სადგურთა აშენება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ზემოთ აღწერილი პირობები ნათლად გვიჩვენებდენ თუ რა უწყობდა ხელს რუსეთის ფრენოსნობის ესეთ მძლავრ განვითარებას, მიუხედავათ არსებულ დაბრკოლებებისა. პირველ დასაწყისში საბჭოთა მთელი ფრენოსნობა, უცხოეთში ნაყიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(განსაკუთრებით გერმანეთში) 400 დაძველებულ ავიონიდან შესდგებოდა. შემდეგ ბოლშევიკებმა დააარსეს ე. წ. ოსოავიოხიმის საზოგადოება და თანდათანობით დაანებეს თავი მანქანების უცხოეთში ყიდვას. დღეს ამ საზოგადოების ხელმძღვანელობით, საბჭოთა ტერიტორია 1500 მფრინავთ - სადგურითაა მოფენილი.

თუ გადავხედავთ მარტო რუსეთში აშენებულ მანქანების რიცხვს სამხედრო თუ ცივილურ მიზნებისათვის, ადვილათ წარმოვიდგენთ გატარებულ მუშაობის უზარმაზარ განზომვას:

1929 — 1932 წლებში, პირველ ხუთწლედი გეგმის განხორციელებაში რუსეთმა შეიძინა:

| | |
|---|---|
| მძიმე მეყუმბრე ავიონი — | 80 |
| ლითონის განმანადგურებელი — | 340 |
| საზვერავი — | 120 |
| სამოსწავლო — | 70 |
| სულ — | 610 |

ამავე დროს საზღვაო ფრენოსნობისათვის შეძენილ იქმნა:

| | |
|---|---|
| მეყუმბრე ჰიდროავიონი — | 63 |
| განმანადგურებელი ავიონი — | 242 |
| საზვერავი — | 86 |
| სამოსწავლო — | 18 |

ამ ხანაში ფრენოსნობის საერთო რაოდენობა 1200 მანქანამდის აღწევს 30. 000 ჯ.კაცით.

1933 წელს დაწყობილი მეორე ხუთწლედი გეგმა ითვალისწინებს 1937 წლამდის შემდეგ საჰაერო ძალების შექმნას:

| | |
|---|---|
| მთლათ ლითონიანი საბრძოლო ავიონი — | 5000 |
| ოთხ მანქანიანი მეყუმბრე — | 3000 |
| თადარიგი სხვა და სხვა ნიმუშის მანქანების | 20.000 |

რა საშუალებით მოახერხებს რუსეთი ამ გეგმის განხორციელებას, დღევანდელ გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობაში — ამას მომავალი გვაჩვენებს.

რა ტეხნიკური საშუალებები მოეპოვება რუსეთს ამის განსახორციელებლათ?

დღეს საბჭოთა ტერიტორიაზე მოიპოვება ავიონთა მარტო სხეულის ასაშენებელი 6 ქარხანა, შემდეგ ქალაქებში: მოსკოვში, ლე-

| ტიპი-ზომილობა | ფასადლობა | ანძები და ფეხები | ბაბანა და ბიბანლობა | ბაბეული | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | სიმაღლე ტაბიანამდე | ადგილობა | ნაგებობა | სარეკ | | ფუნქცია | ბინადარობა | ბინა-ოთახი | შენგა ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | მიიღო ასოლი | მოგებული ოთახობა | | | | |
| ბოიბეგოლეგ | ნ 1 | ხე და ხმელ. ტოლი ოთახეთანი | 1 — 8.5 400 ფს. ლ. | წყალი | 14 მ. 02 | 9 მ. 24 | 1423 ფ. | 2.200 ფ. | 2 | 1. წინა მაღალი. ტაბ. მეფ. 2. ბოლოსკენ ეკიბები | 190 ფ-ა | 150 ფ-ა | 4 ლ. 30 წ. = 675 ფ. | 1926 წ. | 6.500 მ. | |
| | ნ 3 | სელი ლოთობანი ოთახეთანი | 1 — 3.2. 3 4/500 ფს. ლ. | " | 13 მ. 20 | 9 მ. 40 | 1390 ფ. | 2.100 ფ. | 2 | 2 — წინა მაღალი. ტაბ. მეფ. 2. ზაო. ეკიბები | 225 ფ-ა | 190 ფ-ა | 3 ლ. 30 წ. = 650 ფ. | 1926 წ. | 7.000 მ. | |
| | ნ 5 | ხე და ლოთობ. ოთახ ფერთანი | 2 — 3.2. 3 1000/1200 ფს. ლ. | ბაღური | 152. 50 | 10 მ. 56 | 1915 ფ. | 2.500 ფ. | 2 | " | 246 ფ-ა | 200 ფ-ა | 5 ლ. = 1000 ფ. | 1931 | 8.500 მ. | |
| ბაღეშბარე | ტ. ბ. 1 | სელი ლოთობანი ოთ-ფერთანი | " | წყ. | 27 მ. 40 | 18 მ. 01 | 4302 ფ. | 6.200 ფ. | 3 | 3 წყალ. ტაბ. მფრ. | 210 ფ-ა | 170 ფ-ა | 6 ლ. = 1000 ფ. | 1928 | 6.000 მ. | |
| | ტ. ბ. 3 | " | 4 ბ. ფ. 3 = 2000/2400 ფს. ლ. | " | 40 მ. 40 | 26 მ. 48 | 10.000 ფ. | 18.000 ფ. | 6 | 6 წყ. ტაბ. მფრ. | 200 ფ-ა | 160 ფ-ა | 10 ლ. = 1600 ფ. | 1933 | 6000/7000 მ. | |
| ფაბეკეში | ნ 3 | ხე და ლოთობი ა-ფერთანი | 8 — 17 ბ. ბ. 3 = = 5/600 ფს. ლ. | " | 11 მ. 01 | 8 მ. 08 | 1010 ფ. | 1.600 ფ. | 1 | 2 წინა მაღ. ტაბ. მფრ. | 270/300 ფ-ა | — | 2 ლ. 30. | 1929 | 7.000 მ. | |
| | ნ 4 | " | 8. — 22 ოფლისტერ = 420 ფს. ლ. | " | 11 მ. 40 | 7 მ. 28 | 865 | 1.100 ფ. | 1 | | 295 ფ-ა | — | 3 ლ. | 1930 | 8.500 | |
| | ნ 5 | 1 — 4. ფ. ოფლისტერ = = 480 ფს. ლ. | სელ. ლოთობ. ოთახ ფერთანი | " | 11 მ. 50 | 7 მ. 30 | 920 | 1.400 ფ. | 1 | | 320 ფ-ა | — | 2 ლ. 30 წ. | 1932 | ფასდ. 10.000 მ. | |

ნინგრადში, ნიჟნი-ნოვგოროდში, „ფილი“-სში და ვორონეჟში; ამის გარდა არსებობს 4 თვით მანქანების ასაშენებელი ქარხანა:

რიბინსკში — ფოკერის (წყლით გასაგრილებელი მანქანები)

მოსკოვში „მ. 5“-ის (წყლით გასაგრილებელი და მოტორ - ნომის ჰაერით გასაგრილებელი მანქანები.

ზაპაროჟიეში — 2 ქარხანა ბრისტოლ - იუპიტერის და ის-პანო - სუიზას მანქანების.

ავიონთა განაწილება და საერთოთ ფრენოსნობის ტეხნიკური ცდები და შესწავლა ხდება თვით მოსკოვში.

საერთოთ საბჭოთა რუსეთში იმედათ გარდაქცეული აზრი არსებობს, რომ თუ საბჭოთა ფინანსიური მდგომარეობა გამოკეთდა, ახლოეს 3 — 4 წელში იგი პირველ ალაგს დაიკავებს ფრენოსნობაში დედამიწის ზურგზე.

შეუდგეთ ახლა საბჭოთა სამხედრო ფრენოსნობის განხილვას და შემდეგ გადავიდეთ მის ცივილურ ფრენოსნობაზე, რომლის განზე დატოვებაც თანამედროვე ხანაში ყოვლათ შეუძლებელია.

სამხედრო ფრენოსნობა შესდგება 2630 მანქანიდან და 50. 000 მფრინავისაგან. ერთეულებრივი წესდება დაახლოვებით საფრანგეთის წესდების მინამზგავსია:

ჯგუფი შესდგება 6 — 12 ერთი სახის მანქანიდან,
რაზმი 3 — 5 ჯგუფიდან,

ესკადრა მრავალ სხვა და სხვა თვისების რაზმებიდან*).

დანიშნულების და მიხედვით ფრენოსნობა განიყოფება სამ მთავარ დარგათ:

მზვერავი
მეყუმბრე
ერთათ 1. 500 მანქანა

განმანადგურებელი — სულ 930 მანქანა**).

---

*) ეს სახელები სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა მნიშვნელობით იხმარება. მაგალ. ერთი სახელმწიფოს ესკადრა მეორე სახელმწიფოს ჯგუფს ეფარდება და წინაუკმოთ.

**) ამ დარგს სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა მნიშვნელობის სახელი ჰქვიან. ეს მოწინააღმდეგის ფრენოსნობასთან ჰაერში საბრძოლი დარგია.

(რედაქცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ჩამოთვლილ აღნიშნულ რიცხვისა, მოსკოვში იმყოფება კარგა დიდი ერთეული განსაკუთრებულ თვისებათა მძიმე ავიონების (ღამით და შორს მფრინავი ტიპები):

50 ავიონი (ა. ნ. ტ. 14) — თითო 5 მანქ~ანი — წონა 18 ტ.
150 „ (ა. ნ. ტ. 12) — თითო 4 მანქანიანი — წონა 17 ტ.
ავიონი „მაქსიმ გორკი"; 8 მანქანიანი, წონა 40 ტონი. (ეს ავიონი დაიმტვრა მოსკოვში; მაგრამ განზრახული იქმა ამ ნიმუშის სამ მანქანის გაკეთება.

## აეროსტაცია.

საბჭოთა ფრენოსნობის აეროსტაციის დარგს, როგორც მთავრობის ტეხნიკური მრჩეველი, ცნობილი იტალიელი გენერალი ნობილე ხელმძღვანელობს. ამ დარგშიც დიდი წარმატებანი იქმნა მიღწეული. ყოველ მომქმედ დიდი ერთეულის შემადგენლობაში შედის 1 მომქმედი და 1 სათადარიგო აეროსტატი დირიჟაბლი).

1934 წელს დამთავრებული იქმნენ 2 მტკიცე (უ. ა. 2 და უ. ა. 3) და 1 ნახევრათ მტკიცე აეროსტატის აშენება.

## საზღვაო ფრენოსნობა.

დღეს არსებული 500 ჰიდროავიონი განაწილებულია შავს, ბალტიის და აღმოსავლეთის ზღვებზე. გარდა ამისა ქ. მურმანსკში შენდება საზღვაო ფრენოსნობის მნიშვნელოვანი ბაზა.

## სამოქალაქო ფრენოსნობა.

დასაწყისში სამოქალაქო ფრენოსნობა მხოლოდ პოლიტიკურ როლს ასრულებდა. დღეს მას უკვე დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. 1927 წელს, საავიაციო გზების საერთო სიგრძე 7. 000 კლ. არ აღემატებოდა, 1933 — 1934 წლებში კი ამ გზების სიგრძე 42. 000 კლ. აღწევს და შეუწყვეტლივ განაგრძობს ზრდას.

მთელი სამოქალაქო ავიაცია ერთ საზოგადოებაშია გაერთიანებული, რომელსაც საჰაერო ფლოტი ეწოდება. ამ საზოგადოების მმართველი ორგანო უშუალოთ ექვემდებარება საბჭოთა ხელისუფლებას ეს საზოგადოება განაგებს ყველა საჰაერო ხაზებს საბჭოთა ტერიტორიაზე, გარდა მოსკოვ - ბერლინის და ლენინგრად - კენიგსბერგის ხაზებისა.

საჰაერო გზების ქსელი აღნიშნულია № 1 ნახაზზე. მათი საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართულება, ალბად ჯერ კიდევ მალე არ შეიცვლება, ვინაიდან ეს კარგათაა შეფარდებული „ს. ს. რ."-ის ლოდიკურ მოთხოვნილებებისადმი. შეიძლება რამოდენიმე ხანში, ამ ქსელის მთავარ ტოტებს დაემატოს ახალი გზები შუა აზისა და ჩრდილოეთ რუსეთისაკენ.

როგორც ნახაზიდან ვხედავთ, რუსეთის საჰაერო ქსელის მთავარ ძარღვს მოსკოვ - ვლადივასტოკის ხაზი წარმოადგენს. ამ ხაზის დასაწყისს ერთვის შვიდი უმთავრეს მნიშვნელობის ხაზი საჰაერო ქსელის, რომელნიც თავის რიგით უშვებენ. პატარა ლოკალურ მნიშვნლობის ხაზებს. სახელდობრ:

1. მოსკოვ - სამარა - ტაშკენტი — კაბულის ხაზი;

ამ ხაზის ტოტები უერთდებიან სპარსეთის, ინდოეთის და ჩინეთის ქსელებს.

2. მოსკოვ - ბაქო - ფეჰლევის (ენზელი, სპარსეთში) ხაზი;

ამ ხაზს ერთვის ბაქო - თბილის - ბათუმის ტოტი;

3. მოსკოვ - სტალინგრად - ასტრახანის ხაზი;
4. მოსკოვ - კიევ - ოდესის ხაზი;
5. მოსკოვ - მინსკ - ვარშავის ხაზი;
6. მოსკოვ - ლენინგრად -მურმანსკის ხაზი და
7. მოსკოვ - არხანგელსკის ხაზი.

გარდა ამ გზებისა ამ მთავარ ძარღვიდან გამოდის კიდევ, უკვე ნაკლებ მნიშვნელობის, 2 ხაზი:

1. ირკუტსკ - ვიტიმ - იაკუტსკ - „ალდენ"-ის და
2. ხაბაროვსკ - ნიკოლაევსკ - იამსკ - პეტროპავლოვსკის ხ.

სამოქალაქო ფრენოსნობა ხმარობს ინჟინერ კალინინის მიერ აშენებულ შემდეგ ავიონებს:

მთლათ ხისა 8 მოგზაურისათვის და
სრულ ლითოიანი 7 მგზავრისათვის.

ეს ავიონები რაიტის ნიმუშის მანქანებს ხმარობენ. უმეტესი მათგანი ერთ-მანქანიანი ავიონებია. არის კიდევ რამოდენიმე მანქანა „ა. ნ. ტ. 14 მონათესავე ნიმუშისა თვითეული იუპიტრის 5 მანქანით, 600 ცხენის სიმძლავრის, 40 მგზავრისათვის.

1934 — 1935 წლებში მთელი ცივილური ფრენოსნობა შესდგებოდა 200 ერთ-მანქანიანი და 50 ოთხ-მანქანიანი ავიონიდან. მეორე ხუთწლედი გეგმა მიზნათ ისახავს 500 მძიმე სამგზავრო ავიონის შეძენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტექნიკური იარაღი.

### ჯავშნოსანი მატარებლები.

ჯავშნოსან მატარებელთა საბრძოლო ერთეული 3 მატარებლიდან ეშსდგება. თითო მატარებელი შეიარაღებულია 2-4 — 76.20მ.მ. ყალიბიან ზარბაზნით, ან ერთ 107 მ. მ. და ერთ 76.20 წ. წ. ზარბაზნებით და რამოდენიმე ტყვიამფრქვევით. თანამედროვე წითელ ჯარში ითვლება 100-ოდე ჯავშნიანი მატარებელი.

### ჯავშნოსანი ავტომობილები.

ჯავშნოსან ავტომობილთა საბრძოლო ერთეული შესდგება 9 მანქანიდან. თითოული მათგანი შეიარაღებულია ერთ 37 მ.მ. ან 57 მ.მ. ზარბაზნით და 1 — 2 ტყვიამფრქვევით. მთელი ლაშქარი ითვლის 300-ოდე ჯავშნოსან ავტომობილს.

### ტანკები.

ტანკების ერთეულები შესდგებიან სხვა და სხვა დარგის ტანკებიდან: მსუბუქი ტანკები, დაახლოვებით 10-ტონიანი, შეიარაღებული 1 ტყვიამფრქვევით ან ერთ 37 მ.მ. ზარბაზნით; მძიმე ტანკები — დაახლოვებით 45-ტონიანი, შეიარაღებული 2 — 4 ტყვიამფრქვევით და ერთ 57 მ.მ. ზარბაზნით*).

### ქიმიკური ერთეულები.

ქიმიკური ერთეულები შესდგებიან ტექნიკურ და გამომცდელ ათასეულებიდან.

აღსანიშნავია, რომ მთელი ლაშქარი და მცხოვრებნი დიდი ცნო-

---

*) დღეს საბჭოთა ჯავშნოსანი იარაღი, ისე როგორც ყველგან, დიდ ცვლილებებს და რეორგანიზაციას განიცდის. საბჭოთა ჯარში მისი მთავარი სახე შემდეგნაირათ გამოიყურება: არსებობენ ჯავშნოსან იარაღის ერთეულები, რომელნიც ქვ. და ცხ. ჯარის დიდ ერთეულთა ორგანიულ ნაწილს წარმოადგენენ. გარდა ამისა არსებობენ ყველა თვისებათა ჯავშნოსან მანქანების შეერთება, როგორც ერთი საჯავშნო დიდი ტაქტიკური ერთეული (ჯავშნოსანი ბრიგადა, დივიზია, რომელსაც ჰყავს თავის საკუთარი ორგანიული მექანიკურ საშუალებებით მოძრავი არტილერია და ქვეითა ჯარი. ამ დიდ ერთეულების სახე ჯერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული და გამოცდების ხანაში იძყოფება.

(რედაქცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისმოყვარეობით გადიან გაწრთვნას ოსოავიოხიმის ხელმძღვანელობის ქვეშ.

**მესანგრეთა ერთეულები.**

ეს ნაწილები შესდგებიან მესანგრეთა, ხიდების მკეთებელთა, რკინის გზის, ელექტროტეხნიკურ და ნიღაბმმოსველთა ათასეულებიდან. თითოული ათასეული შესდგება 3 — 4 — 5 ასეულიდან; 2 — 3 ათასეული შეადგენენ ერთ პოლკს.

**საკავშირო ერთეულები** (ტელეგრაფის და რადიოსი).

ამ ნაწილთა 2 — 3 — 4 — 5 ასეული შეადგენენ ერთ ათასეულს, ხოლო 2 — 3 ათასეული ერთ პოლკს.

## წითელი ჯარის ერთეულთა ორგანიზაცია

1934 წლის ბოლოს წითელ ჯარის შემადგენლობა შემდეგ და გვარათ გამოიყურებოდა:

76 და ნახ. ქვეითა დივიზია (აქედან 34 რეგულიარულ და 42 ნახ. ტერიტორიალური)

15 დივიზია და 10 ნახ. ავტონომიური ბრიგადა ცხენოსან ჯარის.

ამ ერთეულებიდან მხოლოდ ერთი ნაწილია შეჯგუფებული 21 ქვეითა და 4 ცხენოსან კორპუში. ჯარის დანარჩენი ერთეულები უშუალოთ ექვემდებარებიან სალაშქრო ოლქების უფროსებს და განაწილებული არიან საბჭოთა ტერიტორიის სხვა და სხვა მხარეს.

ამ ერთეულების შეჯგუფება დაახლოვებით შემდეგია:

| მხარე | რეგ. დივ. | ტერ. დივ. | ჯამი | ცხ. დივ. |
|---|---|---|---|---|
| ევროპა | 16 | 38 და ნახ. | 54 და ნახ. | 12 დივ. 3 ბრ |
| კავკასია | 3 | 4 | 3 | 1 „ 1 პოლკი (ქართული) |
| თურქესტანი | 3 | | 7 | 4 „ |
| შორ. აღმოსა | 10 | 2 | 12 | 3 დივ. 2 ბრიგ |
| ჯამი | 32 | 44 ნახ. | 76 ნახ. | 15 დივ. 10 2ნახ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთეულთა შეჯგუფებანი ნათლათ აღნიშნავენ საბჭოთა სპეციალურ ზრუნვას მის ორ საშიშ საზღვარზე:

ევროპიული რუსეთის დასავლეთ საზღვარზე (პოლონეთ - რუმინეთის), რომელზედაც რუსეთს უდგა:

54 ნახ. ქვ. დივიზია,
12 დივიზია და 3 ბრიგადა ცხენოსანი ჯარის,
550 ტანკი,
180 ჯავშნოსანი ავტომობილი,
1020 ავიონი (მოსკოვის მძიმე ავიონების გარდა).

მეორე სპეციალური შეჯგუფება იმყოფება შორეულ აღმოსავლეთში, მანჯუკოს საზღვრებზე, იაპონიის წინააღმდეგ განმზადებული, რომელიც შემდეგ ძალებიდან შესდგება:

12 ქვეითა დივიზია,
3 დივიზია და 2 ავტონომიური ბრიგადა ცხენოსანი ჯარის,
450 ტანკი,
120 ჯავშნოსანი ავტომობილი,
500 საბრძოლო ავიონი,
250 მძიმე მეყუმბრე ავიონი.

თუ რუსეთის ძალებს მის მეზობელ ქვეყნებს შევადარებთ, მაშინ ეს სურათი ესე გამოიყურება:*)

---

*) დღეს ამ ძალთა რაოდენობა შემდეგნაირათ გამოიყურება: — რუსეთი 1936 წლიდან გადავიდა ერთ-სახიან რეგულიარულ ჯარის სისტემაზე, რის წყალობითაც დღეს მას ჰყავს რეგულიარული ჯარის 84 ქვეითა დივიზია, რომლის ნაწილიც შეჯგუფებული 23 კორპუსათ და 16 დივიზია და 10 ავტ. ბრგ. ცხ. ჯარის, რომლის ნაწილიც შეჯგუფებულია 4 ცხ. კორპუსათ. გარდა ამისა 3 ჯავშნოსანი დივიზია. გარდა ამისა რუსეთი შეუდგა, აქამდის დევნილ, ყაზახთა ჯარის ძველ სახით აღდგენას, რაც შეჰქმნის კიდევ რამოდენიმე ნაკლებ ღირსების დიდ ერთეულს, განსაკუთრებით, ცხენოსან ჯარისა. რასაკვირველია, განადგურების პირას მიყვანილი ყაზახობა ძველ რიცხვს და ღირსებას მალე ვერ მიაღწევს. გამოიცვალა აგრეთვე გერმანეთის ჯარის შემადგენლობა. დღეს იგი ესე გამოიყურება: 36 ქვ. დივიზია, (12 კორპუსი), 3 ჯავშნოსანი დივიზია, 2 ცხ. ბრიგადა და 1 სამთო ქვ. ბრიგადა. ჯარის დღევანდელი ხანა მხოლოდ მოკლე გარდამავალ მდგომარეობათ უნდა ვიგულისხმოთ სრულ შესაძლებლობის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სახელმწიფო | ქვეითი ჯარი | ცხენოსანი ჯარი |
|---|---|---|
| პოლონეთი | 30 | 4 დივ. 6 ბრ. |
| რუმინეთი | 24 | 3 ნახ. |
| ბალტიის ქვეყნები (ფინლანდიით) | 10 | 2 ბრ. |
| იაპონეთი | 18 | 4 „ |
| ოსმალეთი | 18 | 5 დივ. |
| სპარსეთი | 7 | 1 ნახ. „ |
| გერმანია | 5 | „ |
| რუსეთი | 76 ნახ. | 15 დივ. 10 ნახ. „ |

## ერთეულთა ორგანიზაცია.

წითელი ლაშქარი, როგორც საზოგადოთ ყველა, შესდგება დიდ და მცირე ერთეულებიდან.

დიდ ერთეულებათ ითვლებიან:

ქვ. ან ცხ. კორპუსი,

ქვ. ან ცხ. დივიზია,

ცხ. ავტონომიური ბრიგადა.

---

ყენების მიღწევამდე. მხედველობაში უნდა იქმნეს აგრეთვე მიღებული მანჯუკოს რამოდენიმე დიდი ერთეული, რომელთა შეიარაღება და ღირსებაც იაპონიის ჯარის თანაბრათ უნდა ვიგულისხმოთ. ამ ერთეულთა რიცხვი დიდი სიჩქარით გაიზრდება მოკლე ხანში.

(რედაქცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქვეითა ჯარი.**

ქვეითა ჯარის კორპუსის შემადგენლობაში შედის:

2 — 4 ქვ. დივიზია,

1 პოლკი მძიმე არტილერიისა (2დივიზიონი 106. 68 მ.მ.),
1 მესანგრეთა ათასეული და
1 რადიოტეხნიკური ათასეული.

კორპუსის საერთო შემადგენლობა: 30. 000 — 60.; 000 ჯარის კაცი, 30. 000 — 50. 000 ხიშტი და 24 ზარბაზანი (ოთხ-ზარბაზნიანი ბატარეია).

ქვ. დივიზიის შემადგენლობა მზგავსია ამ ერთეულის საერთოთ ევროპაში მიღებულ სახისა, სახელდობრ:

3 ქვ. პოლკი.
1 არტილერიის პოლკი — 3 დივიზიონით.

1 და 2 დივიზიონებში ირიცხება:

2 ბატარია — თითო სამ 76.20 მ.მ. ზარბაზნით და
1 ბატარია სამი 122 მ.მ. ზარბაზნით.

111 დივიზიონში ირიცხება:

2 ბატარია თითო სამ 76.20 მ.მ. ზარბაზნით და
2 ბატარია თითო სამ 122 მ.მ. ზარბაზნით.
1 ავტონომიური ცხ. ესკადრონი,
1 მესანგრეთა ასეული,
1 კავშირის ასეული.

დივიზიის საერთო შემადგენლობა:

9. 000 ხიშტი,
140 ხმალი,
30 ზარბაზანი.

მისი საერთო მასა აღწევს 15 — 18. 000 კაცს.

პოლკის შემადგენლობა პატარა დივიზიის სახეს წარმოადგენს, რომელიც შემდეგ და გვარათ გამოიყურება:

პოლკის შტაბი, რომლის შემადგენლობაშიც შედის:

1 ქიმიური მწყობრი,

1 მესანგრეთა „

1 ცხენოსანი „

1 ნიღაბმმოსველთა „

3 ათასეული ქვეითა ჯარის, რომელთა შემადგენლობაშიც შედის:

1 კავშირის მწყობრი,

*) მსუბუქ არტილერიის მწყობრი (1 — 37 მ.მ. ზარბაზანი და 2 — 58 მ.მ. ქვემეხი 800 — 1000 მ. მიწვდენით).

3 მსროლელთა ასეული (ასეულში 3 მწყობრი, მწყობრში 3 ხელის ტყვიამფრქვევი მადზენის ან ფედოროვის ნიმუშის და 1 მწყობრი მძიმე ტყვიამფრქვევის, 2 ტყვიამფრქვევით).

1 მძიმე ტყვიისმფრქვეველთა ასეული, 3 თითო 2 ტყ. მფრ. მწყობრით.

საერთოთ ათასეულის ძალა უდირს: 960 ჯ. კ. 27 ხელ. ტყ. მფრ. 12 მძიმე ტყ. მფრ. 1 — 37 მ. მ. ზარბაზანი და 2 — 58 მ. მ. ქვემეხი.

1 დივიზონი არტილერიის — 2 ბატარიით, თითო 3 — 76.20 მ.მ. ზარბაზნით.

1 პოლკის სკოლა, რომელიც საფრანგეთის დივიზიის სამოსწავლო ცენტრს უდრის და შეიცავს:

1 მნეთა მწყობრს,

3 მსროლელთა „

2 ტყვიის მფრქ. მწყობრს.

ტერიტორიალური ჯარის დივიზიებს ომის დროს იგივე შემადგენლობა ექნებათ, როგორც რეგულირულ ჯარის დივიზიებს. მშვიდობიან დროს ეს დივიზიები მხოლოდ მუდმივ კადრებს შეიცავენ, ომის დროს შევსებულნი იქნებიან გაწვეულთა 4 წლის თადარიგით, სულ 16. 000 კაცით.

---

*) სხვა სახელმწიფოებში ეს მწყობრი ათასეულის ტყვიისმფრქვეველთა ასეულში შედის და იგი სპეციალურ ან დამხმარე იარაღის მწყობრის სახელს ატარებს.

((რედაქცია)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ცხენოსანი ჯარი.

ცხენოსანი ჯარი შესდგება:

ცხენოსანი ჯარის სტრატეგიულ ერთეულებიდან და ქვ. ჯარის დიდ ერთეულთა ორგანიულ შემადგენელ ცხენოსან ნაწილებიდან, (1 ავტონომიური ესკადრონი ქვ. ჯ. ყველა დივიზიაში).

ომის დროს, ნაგულისხმევია შედგენა 3 — 4 კორპუსიან ცხენოსან ლაშქრის, რომელიც უმაღლეს მთავარ სარდლის განკარგულებაში იქნება.

ცხენოსან კორპუსის შემადგენლობაში შედის:

2 — 3 ცხ. დივიზია,
1 კავშირის ესკადრონი,
1 ცხ. ქვემეხთა ჯგუფი.
სულ 18 — 27. 000 კ. და 9 ქვემეხი.

ცხ. დივიზია შეიცავს:

3 ცხ. ბრიგადას (თითოში 2 ცხ. პოლკი),
1 ტყ. მფრ. ესკადრონს,
1 ცხ. არტილერიის პოლკს (2დივიზიონი, თითოში 2, სამ საველე ზარბაზნიანი და 1 ქვემეხთა ბატარია),
1 მესანგრეთა ესკადრონს,
1 ჯავშნოსან ავტომობილთა დივიზიონს,
1 ქიმიურ მწყობრს,
1 რადიო ესკადრონს,
სულ: 9. 000 ცხენოსანი, 21 ზარბაზანი და ქვემეხი და 192 ტყვიამფრქვევი.

ავტონომიური ცხ. ბრიგადა შესდგება:

3 ცხ. პოლკიდან,
1 ცხ. არტილ. დივიზიონიდან (1 სამ ზარბაზნიანი ბატარია და 1 სამ ქვემეხიანი ბატარია).
ნახევარი ესკადრონი მესანგრეების,
ნახევარი ესკადრონი კავშირის.
სულ 4. 800 ცხენოსანი, 6 ზარბაზანი, 96 ტყ. მფრქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსანი პოლკი შეიცავს:

4 ესკადრონს (თითოში 4 მწობრი, მწყობრში 1 ხელის ტყ. მფრქვევი),
1 მძიმე ტყ. მფრქ. ესკადრონს (16 ტყ. მფრ. მაქსიმის ნიმუშისა),
1 ჯგუფი კავშირის.

სულ 1000 ცხენოსანი, 16 ხელის და 16 მძიმე ტყ. მფრქ.

ცხენოსან ჯარის ტერიტორიალურ ნაწილებს ომის დროს რეგულიარულ ერთეულების თანაბარი შემადგენლობა ექნებათ, მშვიდობიან დროს კი მხოლოდ მათი მუდმივი კადრები არსებობენ.

წითელი ჯარის საერთო ორგანიზაციას ერთი თვისება ეტყობა. ერთეულებს მებრძოლთა რიცხვის მიხედვით, არ გააჩნიათ საკმარისი რიცხვი არტილერიის, და განსაკუთრებით, თვითმოძრავ იარაღის. მეორე მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ, წითელი ჯარის სარდლობის უნდობლობას შეიარაღებულ მასსებისადმი, ადვილათ დავინახავთ, რომ მიუხედავათ საბჭოთა სამხედრო ლიტერატურის ოფიციალურ აზრისა, თვით სარდლობას ჯერ კიდევ არ მოეპოვება ნათლათ ჩამოყალიბებული აზრი ომის დროის შემადგენლობის ერთეულების ბრძოლაზე.

## II

## წითელ ჯარის საბრძოლო ღირებულება

### რიცხოვნება.

როგორც უკვე აღვნიშნე, წითელი ჯარი მშვიდობიან დროს თავის სიმრავლით, სხვა ყველა ქვეყნის ჯარს გაცილებით აღემატება. შესანიშნავია, რომ ჯარის სიმრავლე რუსეთის მუდმივ დამახასიათებელ ეროვნულ თვისებათ დარჩა. მაგრამ ამ ძალას იმდენათ აკლია გამაერთიანებელი შემკვრელი თვისებანი, რომ ისე, როგორც თეთრ იმპერიის დროს, დღესაც ამ დიდ რიცხოვნების ნამდვილი ღირებულება ძლიერ დაბალია. წითელი ლაშქარი არ წარმოადგენს ევროპიულ თვისების წმინდა რუსულ ეროვნულ ქმნილებას, ვინაიდან მის შემადგენლობაში „ს. ს. რ."-ის ათასფეროვან რესპუბლიკათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრებნი შედიან. საბჭოთა 76 ნახ. დივიზიიდან 42 ნახ. ტერიტორიალურ ან ეროვნულ ერთეულებიდანაა შემდგარი, სახელდობრ:

უკრაინაში მდგომ 17 ქვ. დივიზიდან 8 დივიზია წმინდა უკრაინელებისაგან შესდგება, სადაც ბრძანებლობის ენა რუსულია, მაგრამ სამოსწავლო უკრაინული.

ბელორუსიაში მდგომ 9 დივიზიიდან 2 დივიზია შესდგება ბელორუსებიდან და 3 ადგილობრივ მცხოვრებთა ნარევ ნაწილებიდან.

კავკასიაში მდგომ 7 ქვეითა დივიზიიდან 2 დივიზია ქართულია (თბილისი - ქუთაისი) 1 სომხური (ერევან - ეჩმიაძინი) და 1 ადერბეიჯანული (განჯა — ბაქო), სადაც როგორც სამოსწავლო, აგრეთვე ბრძანებლობის ენებათაც ქართული, სომხური და თათრული ენებია ცნობილი.

ჩრიდოელ კავკასიაში 2 ცხ. პოლკია ადგილობრივ მცხოვრებთაგან შედგენილი.

წითელ ჯარის შინაგანი სიჭრელე რომ უკეთ დავინახოთ, ზემოხსენებულ ერთეულებს უნდა დაუმატოთ შემდეგი ეროვნული ერთეულები:

1 ქვ. პოლკი ურალის თათრების ქ. ყაზანში,
1 ქვ. პოლკი ბაშკირების ქ. უფაში,
2 ქვ. პოლკი ვოლგის გერმანელების ქ. სარატოვში,
1 ცხ. ბრიგადა თურქმენების ქ. ასხაბადში,
1 ცხ. ბრიგადა უზბეკების ქ. სამარყანდში,
1 ცხ. პოლკი ტაჯიკების ქ. სტალინაბადში,
1 ცხ. პოლკი ყირგიზების ქ. პეტროვსკში,
ნახევარი ცხ. პოლკი ყარა ყირგიზების ქ. პიშპეკში.

ამ ერთეულებში იხმარება მხოლოდ თათრული ენა, მაგრამ მათ შემადგენელი ჯარის კაცნი ლაპარაკობენ მრავალ სხვა და სხვა ძლიერ განსხვავებულ კილოთი და გამოთქმით, რაც ძლიერ აბრკოლებს სარდლობის და გაწრთვნა - განათლების ერთიანობას.

დასახელებულ ეროვნულ ერთეულთა გარდა, არსებულ წყობილების დასაცავად, „საოკუპაციო ჯარის“ წოდებით, არსებობენ წმინდა რუსული ერთეულები, რომელთა ერთ-ერთ მოვალეობათაგანსაც ამ ეროვნულ ერთეულების გაუნხიფათლობა წარმოადგენს. რუსულ ერთეულების მუდმივი დისლოკაცია ძლიერ ნათლათ გამოხატავს რა დიდ ყურადღებით ეპყრობა ამ საკითხს წითელი სარდლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის დროს საოკუპაციო ერთეულების ფრონტზე გაგზავნა დიდ დაბრკოლებებს წააწყდება, ვინაიდან მათ წავსლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება საწინააღმდეგო მოძრაობის დ აღია აჯანყებათა უშუალო საფრთხის ქვეშ მოჰყვება. მრავალ ეროვნებებით ათასფრათ აჭრელებული წითელი ჯარის დივიზიათა კარგა დიდი ნაწილი არ არის მოსკოვისადმი სანდო გრძნობებით აღჭურვილი. ეს მტრული განწყობილება ყველაზე ნათლად ვითარდება კავკასიაში და თურქესტანში, სადაც დიდი მანძილის და კულტურულ დონის განსხვავების გამო, მოსკოვის გავლენა ნაკლებათ ვითარდება.

კრემლს ეჭვი არ ეპარება, რომ ომის დროს ეროვნული ერთეულები არამც თუ არ არიან საიმედონი, არამეთ ფრონტზე წასასვლელათ თავიანთ ქვეყანას არ დასტოვებენ უკონფლიქტოთ. ამ გარემოებას საკმარისათ ასურათებს ერთი შემთხვევა:

1934 წელს იაპონელები შეუდგენ ჩრდილოეთ ჩინეთში მოსაზღვრე ჯეჰოლის ოლქის დაპყრობას. ეს გარემოება ძლიერ შესაძლებელს ხდიდა რუსეთ - იაპონიის შეიარაღებულ კონფლიქტს. ამ ცნობებზე საბჭოთა საზღვარზე მდგომი ბურიატების ძალებმა დასტოვეს საზღვარი და სახლკარისაკენ გაეშურენ. შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო მოსკოვმა მოუხმო უკრაინის რესპუბლიკას, რომ 4 ტერიტორიალური დივიზია გაეგზავნა შორეულ აღმოსავლეთში. ამაზე უკრაინის რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ამ დივიზიების დაძვრა და ადგილობრივი აჯანყება ერთდროული იქნებაო. ამ გვარათ ჩინეთის გალაშქრება მოხსნილი იქმნა დღის წესრიგიდან.

1933 წელს საბჭოთა ჯარის პოლიტრუკების საიდუმლო სხდომაზე სპეციალურ დაწვრილებით იქმნა განხილული ერთეულთა სულიერი მდგომარეობა და ღირსება. სხდომის შემადგენლობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თითქმის ტერიტორიალურ დივიზიათა მთელი შემადგენლობა არა სანდო და საეჭვოთ იქმნენ ცნობილი. ეს გარემოებანი საკმაოთ ასურათებენ წითელ ჯარის ნაკლებ ღირსებას მის რიცხოვნობის და მიუხედავათ.

ევროპაში ძლიერ ბევრს ანცვიფრებს ის გარემოება, რომ საბჭოთა არსებულ წყობილებამ ამდენი წელი გასძლო, მაშინ როდესაც შეიარაღებულ ძალთა უდიდესი ნაწილი მისდამი მტრულათაა განწყობილი. ეს ძლიერ ადვილი ასახსნელი მოვლენაა:

როგორც უკვე ვნახეთ, აღვნიშნეთ ეროვნული ერთეულები არ დგანან საბრძოლო განმზადების საფეხურზე. მიუხედავათ ამისა, მათი რიგები ჭარბათაა დაჩითული კომუნისტურ საჯაშუშო „იაჩეიკებით“ და „ბ. პ. უ.“-ს ორგანოებით. გარდა მისა ამ ერთეულებს სდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჯობენ საბრძოლო განმზადების საფეხურზე მყოფი წმინდა რუსული შემადგენლობის საოკუპაციო დივიზიები, რომელნიც მუდმივ დისლოკაციის თანახმათ მუდამ ამ ეროვნულ ერთეულების ახლოს იმყოფებიან. ეროვნულ ერთეულებს, მანევრების და აღლუმების გარდა იარაღს არასდროს არ აძლევენ და მით უფრო ვაზნებს. როდესაც კი დაბეჯითებით ვრცელდება ხმები რამე მოძრაობის ან აჯანყების შესახებ, მაშინ ეროვნულ ერთეულებს დროებით ყაზარმებში სტოვებენ „ბ. პ. უ."-ს და „ჩ. ო. ნ."-ის გაძლიერებულ ზედამხედველობის ქვეშ. მოსკოვს, რომ აღნიშნული ზომები არ მიეღო, ამ რიცხოვან მოსახლეობაზე ვერ იბატონებდა ესეთი პატარა ჯგუფი მმართველების.

## შეიარაღება.

წითელმა ჯარმა რიცხობლივ სიმრავლესთან ერთათ, რუსის ჯარის იარაღის ნაკლებლობის ტრადიციაც შეირჩინა. ეს, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, მიუხედავათ საბჭოთა მრავალ ღონისძიებისა, დღეს მაინც არაა საკმარისათ გადაწყვეტილი.

არტილერიის მხრივ საბჭოთა დივიზიას სულ უმნიშვნელო უპირატესობა აქვს რუმინეთის დივიზიაზე, მაგრამ სუსტია ყველა დანარჩენ მეზობლების დივიზიებზე. რიცხობლივ, საბჭოთა დივიზია ყველა სახელმწიფოს დივიზიასა სჭარბობს, ხოლო სასროლი შეიარაღება (მეტადრე ავტომატიური ყველა მეზობელ სახელმწიფოთა დივიზიაზე ნაკლები აქვს. ეს გარემოება საეჭვოდ ხდის, რომ ამ დიდ მძიმე მასამ, იარაღის ესეთ ნაკლუვნობით, მოახერხოს თანამედროვე ომში შეტევის ან მოგერიების სათანადო დიდ სიღრმით და ხანგრძლივობით წარმოება. ეს მის მოქმედების სახეს საგრძნობლათ დაახლოვებს ძველ რუსეთის მოქმედების სახესთან.

## საკომუნიკაციო ძარღვები.

რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეთა გადალახვა დამორჩილების სიძნელე კომუნიკაციის საკითხს, მუდამ მწვავე ამოცანათ ხდიდა. გზათა ქსელის მუდმივმა მდგომარეობამ რუსეთის ისტორიის მთელ განმავლობაში, ძლიერ ჩამოარჩინა ამ სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება.

საბჭოთა გზატკეცილების სიგრძე ძლივს აღწევს 55. 000 კლ., მაშინ, როდესაც, ათჯერ ნაკლებ ტერიტორიის პატრონ საფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთის გზათა ქსელი 640. 000 კლ. უდრის. რაც შეეხება მეორეხარისხოვან და უბრალო საველე გზებს, სამხედრო თვალსაზრისით, მათი გამოყენება შეუძლებელია მთელ ზამთრის და გაზაფხულის და შემოდგომის ავდრების განმავლობაში; არც შინაგანი სანავოსნო გზები არიან უკეთეს მდგომარეობაში: რუსეთის მდინარეები მხოლოდ ერთ ჩრდილოეთ - სამხრეთის მიმართულებისანი არიან და ძლიერ დიდი ხნით იყინებიან. მოუვლელობის გამო მათი სანავოსნო ვარგისობა საგრძნობლათ დაეცა ომის წინანდელ ვარგისობასთან შედარებით.

1932 წელს დამთავრებული იქმნა თეთრ - ბალტის ზღვის ე. წ. სტრატეგიული არხი (იწყება სოროკთან, გადის ვიგოს, ონეგის და ლადოგის ტბებში და მდინარე ნევასთან უერთდება მარიას არხს). ეკონომიური თვალსაზრისით, მისი მიზანი ლენინგრად-მურმანსკის ერთ-ლიანდაგიან რკინისგზის შემსუბუქებაა, სტრატეგიული მიზანი კი ჩრდილოეთ საზღვრებზე მებრძოლ ლაშქრის მოსამახურებაა. მიუხედავათ დიდი ხმაურობისა, რომელიც ამ არხის გარშემო იყო ატეხილი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს გზა წელიწადში 7 — 8 თვეა გაყინული.

საბჭოთა რკინის გზები ვერ აკმაყოფილებენ სახელმწიფოს მშვიდობიან დროის ეკონომიურ საჭიროებებს. ომის დროს დღევანდელ ეკონომიურ მოთხოვნილებებს ზედ დაერთვის მრავალ მილიონიან ლაშქრის, საომარ მასალის და მის საზრდოების განსაზღვრულ დროში საზღვრებზე შეჯგუფება. ამ ქსელის დღევანდელი მდგომარეობა, ამ ამოცანის შესრულებაში მას აუცილებელ სიდამბლეს უქადის. ამას ემატება ყოველ ხაზზე გამეფებული საშინელი უწესრიგობა, რაც მიუხედავათ მკაცრ სასჯელებისა, ომის დროს უფრო მეტ დაბრკოლებებათ იქცევიან.

დღეს 22-მილიონიან კვ. კმ. სივრცეზე რუსეთის გზათა ქსელი 83. 000 კლ. უდრის (1932 წლის სტატისტიკა).

როგორც ეს პირველ ნახაზიდან სჩანს, რკინის გზები ყველა დიდ ქალაქებს და განაპირა ქვეყნებს მოსკოვთან აერთებენ, რომელიც ყოველ გზათა გულს წარმოადგენს; რკინის გზების უმთავრესი ნაწილი ერთ-ლიანდაგიანი არიან. რკინის გზების აღმშენებლობაში საბჭოები უკვრო მეტ ყურადღებას აქცევს აღმოსავლეთს, ვიდრე თავის დასავლეთ სანაპირო ქვეყნებს. აღმოსავლეთში მათ გაფაციცებით გაჰყავთ ბევრი ახალი ხაზები და ტოტები:

ამური და უსურიდან გაყვანილია რკ. გზის ხაზები იაკუტსკ და ნიკოლაევსკის მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიკალს იქითა რკ. გზა ორ-ლიანდაგიანი ტოტებით მიდის ჩიტასაკენ და ვიტიმისაკენ.

ამ გზების გარდა, კარგა ხანია, შენდება ორი დიდი ხაზი:

1. იწყება ქ. ბასნ-თან, გადის აჩინსკზე და ბოდაიბოთი კომსომოლსკს უერთდება, რომელიც უკანასკნელ დროს, ნიკოლაევსკზედ საზღვაო ოპერაციის შესაძლებლობის შიშის გამო, დიდ სამხედრო ბაზათ იქმნა გაშენებული.

2. იწყება ქ. ბასნ-თან და ქალაქ ტიმოტით ანადირის ყურესკენ მიიმართება.

საბჭოთა ცნობებით, ამ გზების დამთავრება 1936 წელშია ნავარაუდევი. ამ გზების აშენებაზე გაწეულ მუშაობის, მოსალოდნელ ფრონტებზე, საბჭოთა რკინის გზების ქსელი ჯერ კიდევ არა სდგას თანამედროვე რთულ ომის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ დონეზე.

მაგალითად, პოლონეთის საზღვრებამდის მხოლოდ 7 ლიანდაგი მიდის, რუმინეთის საზღვრებამდის კი მარტო 2. ე. ი. მთელ დასავლეთ ფრონტისათვის მხოლოდ 9 ლიანდაგი, 1550 კილომეტრიან სივრცეზე. ომის დროს ამ რიცხვს 2 ლიანდაგი მაინც დააკლდება, ვინაიდან ლენინგრად - ვარშავის ხაზი ლეტონიის ტერიტორიაზე გადის, ხოლო ოდესა - ლვოვის ხაზი რუმინეთის საზღვარს 30 — 35 კილომეტრამდის უახლოვდება. დიდ ომის დროს რუსეთმა, უფრო წესიერი ორგანიზაციით, 6 ლიანდაგით ექვსი თვე მოანდომა ამ ფრონტზე ჯარების სრულ შეჯგუფებას. დღეს რუსეთს თეორიულათ ორთქლმავალთა რიცხვი ოდნავ აღემატება 1914 წლის რიცხვს (19. 856), მაგრამ 1914 წ. სულ 16 პროცენტი იყო ე. წ. ავადმყოფ ორქლმავალთა რიცხვი, დღეს კი ეს რიცხვი 67 პროცენტს აღწევს. გარდა ამისა მხედველობაში უნდა იქმნეს მიღებული მოწინააღმდეგის ფრენოსნობის მოქმედება, რომლისთვისაც რუსეთის მცირე რიცხოვანი ხაზები ძლიერ მკვეთრ მიზანს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ როცა გზათა ქსელი იშვიათია, ერთი კვანძის დაზიანება სულ მთლათ რევს და შლის ტრანსპორტების მსვლელობას. ამიტომ რუსეთის ქსელი კონცენტრაციის რაიონებში არ იძლევიან ტრანსპორტების ვარიანტების საკმარის ცვალებადობის საშუალებას.

კავკასიის ფრონტისაკენ მხოლოდ ერთ-ლიანდაგიანი ხაზი მიდის როსტოვიდან ბაქოზე ბათუმამდის. თბილისის კვანძიდან ერთი ტოტი მიდის გუმბრამდის, საიდანაც ერთი ხაზი მიდის თავრიზამდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მეორე აზრუმამდის*). საბჭოთა რკინის გზების საერთო მდგომარება არ იძლევა საშუალებას არც ერთ მომავალ ფრონტზე, იმ მასების, რომელნიც რუსეთის ძლიერების თვისებას წარმოადგენენ, ისეთ დროში შეჯგუფებას, როგორც ამას დღევანდელ ომის მოთხოვნილებანი საჭიროებენ.

## კადრები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა რუსეთს სამხედრო სკოლათა მრავალი რიცხვი აქვს, მაგრამ ამის და მიუხედავათ, წითელ კადრების ღირებულება დაბლა სდგას. საბჭოთა ხელმძღვანელნი სიამაყით აღნიშნავენ, რომ მათ წმინდა წითელი კადრები შეჰქმნეს; მაგრამ ამ კადრების არჩევანი მხოლოდ პოლიტიკურ აზროვნების თვალსაზრისით არის წარმოებული და არა მათი სამხედრო აღზრდა -გაწრთვნის და ვარგისობის თვალსაზრისით. ამ სახით შედგენილი სამხედრო კადრები მწვავეთ განიცდიან სასამსახურო ღირსების სისუსტეს. სამხედრო სკოლების მოწაფეთა 70 პროცენტს მხოლოდ პირველდაწყებითი განათლება აქვთ მიღებული.

პოლიტიკურ აზროვნების მიხედვით შერჩევას საუცხოოთ ასურათებს შემდეგი ფაქტიური მაგალითი: — რომელიც მოჰყავს 1934 წ. ციმბირიდან გამოქცეულ საბჭოთა მფრინავს: მისი ერთი ამხანაგი მფრინავი ოფიცერი, რომელმაც თავი ისახელა სამოქალაქო ომის დროს, ამ დამსახურების გამო საავიაციო აკადემიის გამოცდებზე იქმნა წარდგენილი; ვინაიდან მას ზეგავლენიანი პირები მფარველობდენ, გამოცდაზე მას მხოლოდ შემდეგი კითხვა დაუსვეს: „აგვიხსენით როგორ ამოგყავთ კვადრატიული ფესვი“, — „უკაცრავათ ამხანაგო“, რიხიანათ უპასხა მფრინავმა, „მე სანამ ოფიცერი გავხდებოდი, 8 წელიწადი აეროდრომზე ვმუშაობდი, სადაც გადატრიალებულ მიწის ბელტებიდან უთვალავი ფესვები ამომიღია, მაგრამ მზგავსი სახის ფესვი არც ერთი არ შემხვედრია, და დარწმუნებული ვარ, რომ იგი არ არსებობს“.

რაც შეეხება წითელ ჯარის უმაღლეს სარდლობას, აღსანიშნავია, რომ ამ სარდლობის უდიდესი პიროვნებანი უმეტეს შემთხვე-

---

*) მალე გხსნილი იქნება საჯავახო - სოხუმ - ტუაპსეს გზა. ყარაურგანიდან აზრუმამდის მხოლოდ ვიწრო ლიანდაგი მიდის. (რედაქცია)

ვაში სამოქალაქო ომის წინ, ან სრულებით არ იყვნენ მხედრები, ან და მხოლოდ ნაცვლები იყვნენ, და ამასთან ერთად გადაცილებულნი იყვნენ შუახნის (განათლების მიღების) ასაკს. თუმც მათ რუსეთის შიგნითი სამოქალაქო ომი მოიგეს, მაგრამ სხვა ერთა შეიარაღებულ ძალებთან ომის წარმოების გამოცდა, მათ ვერც ერთხელ ვერ ჩააბარეს ისტორიას დამაკმაყოფილებელი სახით. მომავალი ომი, სადაც ისინი შეხვდებიან არა დენიკინის გახრწნილებას, არამედ სხვა ერთა ეროვნულ ჯარს, არა ერთ ომში გამოცდილ სარდლობით, საბჭოთა სარდლობას დიდ საეჭვო კითხვის ნიშანს დაუსვამს.

## ჯარი და პარტია.

როგორც საბჭოთა ყოველი დაწესებულება, წითელი ჯარიც კომუნისტური პარტიის ვიწრო და უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. ამან წარმოშვა მისი პოლიტიკური და ინტერნაციონალური სახე. წითელი მხედრის აღზრდა მის ცხოვრების 19 წლიდან იწყება. ამ დღიდან ისინი მსოფლიო რევოლუციის ავანგარდის და პროლეტარიატის სამშობლოს დამცველნი არიან. რომ ისინი თავის ოჯახის კერას დააშორა და მოსწყვიტა კაპიტალისტურ ქვეყნების ბურჟუაზიის მტრობამ....

მაგრამ ამ წითელი ჯარის შემაგენლობის 80 პროცენტს სოფლის ელემენტი წარმოადგენს, რომელიც ჯარში გაწვევამდის 19 წელიწადი საკუთარ კერის პირას იზრდება და კარგათ ესმის საბჭოთა გლეხობის დღევანდელი მდგომარეობა. ამ ჯარის უმრავლესობამ კარგათ იცის, რომ მას რევოლუციის დროს ყველაფერი დაჰპირდენ დღევანდელი მმართველები, მაგრამ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, მას ჩამოართვეს მიწა და კოლხოზების ყმათ აქციეს, რითაც უფრო ცუდ პირობებშში ჩააყენეს ვიდრე იგი რევოლუციის წინ იმყოფებოდა.

საბჭოთა გლეხის დღევანდელ პოლიტიკურ აზროვნებას საუცხოვოთ გამოხატავს გლეხ ეფიმოვის ანეგდოტი: „ომამდის ჩემი ჯოხის თავი არისტოკრატიას წარმოადგენდა, შუა ნაწილი გლეხობას და ბოლო ქურდ ყაჩაღებს. რევოლუციამ ყველაფერი ჯადაატრიალა, გადაატრიალა ჩემი ჯოხიც: ქურდები და ყაჩაღები მაღლა ავიდენ, არისტოკრატია ქვეშ გაინართხა, მაგრამ გლეხობას კი არაფერი ეშველა... პირიქით“.

საბჭოთა რუსეთში მოტყუებული გლეხკაცობის რწმენა უკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურეს მტრულ განწყობილებად იქცა. ნუთუ უკმაყოფილებით გამწარებული გლეხობა ახლათ მოსტყუვდება, თუ კი ახლათ მოხდება პოლიტიკური გათამაშება. მობილიზაციის დროს აი ეს ელემენტი იქნება რუსეთის შეიარაღებულ ძალთა 90 პროცენტი და მომავალი დაგვანახებს, როგორ შესწირავს თავს ეს გლეხობა გაჭირვებაში მყოფ ხელისუფლებას, რომელმაც იგი კოლხოზების უმწვავეს ყმობაში ჩააგდო.

---

აი ესე გამოიყურება დღეს საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სურათი. საჭიროა განვიხილოთ, რა პირობებში მოუხდება მას მოქმედება შესაძლებელ შეიარაღებულ კონფლიქტის შემთხვევაში.

დღეს კაცობრიობა უშუალოთ განიცდის მომავალ აუცილებელ შეიარაღებულ კონფლიქტის საფრთხეს. მიუხედავათ დიდ საერთაშორისო ომის განმავლობაში გავრცელებულ სურვილისა და რწმენისა, რომ იგი ამ სახის უკანასკნელი მოვლენა ყოფილიყოს, რომ ომის შემდეგ ბევრი ცდა იქმნა ნახმარი, რომ საერთაშორისო ურთიერობა რამე იდეალურ მომრიგებელ დაწესებულების მიერ ყოფილიყო წარმოებული და ამით ომის ატეხა შეუძლებელი შექმნილიყო — დღეს მაინც კაცობრიობა საერთაშორისო ურთიერთობაში მხოლოდ ძველის ორ საშუალებას ჩამოეკიდა: დიპლომატიას და შეიარაღებულ ძალას.

მეორეს მხრივ, დღეს საერთაშორისო ინტერესები ისეა ერთი მეორეზე გადახლართული, რომ პატარა გამონაკლისის გარდა, ძნელი იქნება რამე კონფლიქტის ადგილობრივ საზღვრებით შემოფარგვლა და იგი უეჭველათ მსოფლიო ხასიათს მიიღებს.

რა ბანაკში მოხვდება ამ შემთხვევაში საბჭოთა რუსეთი? როგორი იქნება მისი როლი და საომარი შემძლებლობა?

საბჭოთა რუსეთი დღეს საფრანგეთთანაა გადაბმული სამხედრო კავშირით. მეორეს მხრით რუსეთის დესტრუქტიულ პოლიტიკურ ექსპანსიას მთელის შეურიგებლობით აღუდგნენ წინ გერმანეთი და იაპონეთი. აი ამ უზარმაზარ სილუეტთა შორის იქნება მომავალი სამხედრო გათამაშება. ამას დაემატება და დაერთვის ზედ კაცობრიობის უმეტესობის შეიარაღებული ძალა, რომელსაც ბრძოლა საკუთარ არსებობისათვის ამა თუ იმ ბანაკში მიიყვანს.

რა პირობები იქმნებიან მაშინ წითელ ჯარისათვის? ამ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხვევაში საბჭოთა რუსეთს ორ ფრონტზე მოუხდება ომის წარმოება: დასავლეთის და შორეულ აღმოსავლეთისა. (იმის და მიუხედავათ, იქნება ეს რუსეთის დასავლეთ თუ გერმანეთის აღმოსავლეთ საზღვრებზე). როგორც საბჭოთა სარდლობის აზროვნებიდან სჩანს, მათ სურთ ჩქარ მოკლე და მედგარი კვეთებით, რომელშიაც გამოიყენებენ მთელ თავიანთ მასას და ყველა ტეხნიკურ საშუალებებს, ბრძოლა პირველ დღეებშივე მტრის ტერიტორიაზე გადაიტანონ და რაც შეიძლება მალე გაათავონ. მაგრამ, როგორ გამოიყურება ამ ტაქტიკურ მოსაზრების განხორციელება ომის საერთო ჩარჩოებში?

პირველ შეხედვით რუსეთი ე. წ. ცენტრალურ პოზიციის მდგომარეობაში იქნება. მაგრამ თუ დავაკვირდებით, ეს სულ დამოუკიდებელ, ერთი მეორეზე დახმარებითი გავლენას მოკლებულ ორ ომის წარმოება იქნება.

მართალია 1914 — 1918 წლებში გერმანეთი ცენტრალურ სადგომიდან იბრძოდა, 4 წელი გაუძლო ორ ფრონტზე ბრძოლას, მაგრამ ეს ფრონტები ისეთ მანძილზე იყვნენ ერთი მეორეზე დაშორებულნი და ისეთ გზათა ქსელით იყვნენ შეკრულნი, რომ 1914 წლის 26 აგვისტოს დასავლეთის ფრონტზე დატვირთული გვარდიის სათადარიგო და მე11-ტე კორპუსები უკვე 31 აგვისტოს იყვნენ აღმოსავლეთის ფრონტზე თავის დანიშნულ ალაგას. რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ფრონტი ისეთ მანძილით იქნება დაშორებული დასავლეთის ფრონტიდან, რომ ერთ ფრონტზე განწესებული ერთეული მეორე ფრონტისათვის თითქმის ნახევარი წელის განმავლობაში სრულიათ მიუღებელი იქნება ანგარიშში. (მაგალითად ჩქარი ტრანსპორტი ერთ დივიზიის ევროპიდან მანჯურიამდე 70 —90 დღეს გასტანს).

საბჭოთა სარდლობას კარგათ ესმის ეს გარემოება და ამისათვის იგი ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე ომის წარმოება მოახერხოს საკუთარ საშუალებით თვით ციმბირმა დასავლეთ რუსეთის დაუხმარებლივ. ამისათვის ასახლებენ ბევრ ახალ მოსახლეობას, უქმნიან მათ ხელსაყრელ სამეურნეო და პოლიტიკურ პირობებს და სცდილობენ მთელ, ომისათვის საჭირო მრეწველობის ადგილობრივ შექმნას. თავის თავათ ცხადია, რამდენათ იქნება ეს შესაძლებლობა მხედველობაში მისაღები უახლოეს სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში.

როგორ გამოიყურება ამ შემთხვევაში წითელ ჯარის შემძლებლობა? საბჭოთა რუსეთის სარდლობა ჰგრძნობს, რომ ვერ შესძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს ხანგრძლივ ომის წარმოებას და ამისთვის სურს მას ომის მოკლე მედგარი დაკვრით გათავება, მაგრამ ამ მედგარ მასიურ კვეთების ელვის სისწრაფით მისატანათ მას მხოლოდ ეთათერთი საშუალება აქვს: 9 დაბალხარისხოვანი რკინის გზის ხაზი თავის დასავლეთის საზღვრებისაკენ და მთლიანათ აწეწილი გზათა ქსელი ზურგში.

რაც შეეხება აღმოსავლეთის ფრონტს საბჭოთა რუსეთს დღეს ვერ შეუძლია მშვიდობიანობის დროშივე ისეთ ჯარის შეგროვება შორეულ აღმოსავლეთში, რომ ომის დაწყებისათანავე, დასავლეთ რუსეთის დაუხმარებლივ, დაამარცხოს და უკუაგდოს იაპონეთ --- მანჯურიის ჯარი, რომელიც უუშალოთ იქნება დაახლოვებული თავის საომარ ბაზას. ხოლო ის დრო, რომელიც რუსეთს დასჭირდება ევროპიდან აქ ესეთ უპირატესობის შესაქმნელათ საჭირო ჯარის გადმოსაყვანათ (თუკი რუსეთს იმ დროს ეს ძალები აღმოაჩნდება), იაპონეთის სარდლობისათვის სრულიათ შეუზღუდავ შესაძლებლობის ხანა იქნება.

## მრეწველობის შესაძლებლობანი.

თანამედროვე ომის წარმოება, აუარებელ ტეხნიკურ საშუალებათა გამოყენების გამო, უშუალოთაა დამოკიდებული სახელმწიფოს მრეწველობის შემძლებლობაზე. მეორე მხრივ, რაც მომქმედი ლაშქარი უკეთესათაა შეიარაღებული ტეხნიკურ საშუალებებით, მით უფრო დიდი თანდათანობით იზრდება სასურსათო ტრანსპორტების რიცხვი და ტრანსპორტთა, მტკიცე რეგულიაობის აუცილებლობა.

ამ მხრივ საბჭოთა მრეწველობის ვითარება შემდეგ მდგომარეობაშია: სასაცილოა ითქვას, მაგრამ ფაქტია, რომ საერთაშორისო ომის დროს რუსეთს ნავთი და მისი მასალები დააკლდა. ეს გარდასაქნელ ქარხნების ნაკლულოვნებით და ტრანსპორტის მოუწყობლობით იყო გამოწვეული და არა ნედლი მასალის უქონლობით. დღეს ტრანსპორტის საკითხი რუსეთში უფრო ცუდათ სდგას, ვიდრე ეს ომის დროს იყო.

თანამედროვე ომის წარმოება აუარებელ მასალას შთანთქავს. ამისათვის არა კმარა ომის დაწყების მოლოდინში აურებელ საომარ მასალის დაგროვება. პირიქით, თვით ომის დროს აუცილებელია ამ მასალის მუდმივი განახლება ტეხნიკის განვითარების უპირატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობის შესარჩენათ*). ამ საჭიროებას კარგათ ასურათებს შემდეგი მაგალითი: საერთაშორისო ომის დასასრულს 1918 წელს, საფრანგეთის ფრენოსნობა შესდგებოდა 3. 500 ავიონიდან. ამ დონის შესანარჩუნებლათ საფრანგეთის მრეწველობა იძულებული იყო ომის გამავლობაში აეშენებინა 50. 000 ავიონის სხეული და 100.000 მანქანა. კი! დღეს საბჭოთა ფრენოსნობას ავიონების ძლიერ დიდი რიცხვი მოეპოვება, მაგრამ მისი საავიაციო მრეწველობა დაწყებიდანვე სრულ საომარ შემძლებლობით მუშაობს. ომის დაწყებისას ამ მრეწველობას ველარ შეეძლება თავის მუშაობის კიდევ გაძლიერება, მაშინ როდესაც ევროპის მრეწველობა დღეს მხოლოდ თავის შემძლებლობის 25 — 30 პროცენტით მუშაობს*). აქედან ნათლათა სჩანან ის სიძნელენი, რომელნიც ომის დროს აუცილებლათ მოელიან საბჭოთა მრეწველობას.

## საჰაერო მოქმედება

საჰაერო მოქმედებათა მიზანს მოწინააღმდეგის მრეწველობის და პოლიტიკურ ცხოვრების სასიცოცხლო ცენტრები წარმოადგენენ. საბჭოთა ფრენოსნობისთვის ესეთი უახლოესი მიზანი გერმანეთის ტერიტორიაზე ქ. ბერლინია. რუსეთის დასავლეთ საზღვრიდან სწორი ხაზით იგი 1. 000 კმ. დაშორებულია. რუსეთის დღევანდელ მძიმე მეყუმბრე ავიონის შეძლება შემდეგია (ტ. ბ. 3): 1. 000 კგ.

---

*) მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდის მიღებული იყო, რომ სახელმწიფო აგროვებდა მთელ ომის თადარიგს და შემდეგ ომს ამ თადარიგით აწარმოებდა. დღეს, ჯერ ერთი შეუძლებელია ესეთ უშველებელ თადარიგის შეგროვება; მეორეს მხრივ, ტეხნიკა ისეთ სიჩქარით ვითარდება, რომ ყველაფერი ის, რაც თადარიგში იქნება დაგროვილი, ორიოდე წლის შემდეგ, ნიმუშების დაძველების გამო გამოუსადეგარი და მტრის იარაღის ღირსებასთან შედარებით მდაბალი იქნება. ამისთვის დღეს სამობილიზაციო თადარიგს, მრეწველობის მქონე სახელმწიფონი მხოლოდ იმ ვარაუდით აგროვებენ, რომ იგი სამყოფი იყოს სანამ მრეწველობა სრულ შემძლებლობის სიჩქარეზე გადავა.

*) დღეს ევროპაშიც უკვე რამოდენიმე სახელმწიფოს სამხედრო მრეწველობა საომარ შემძლებლობასთან დაახლოვებულ ტემპით მუშაობს.

(რედაქცია)

ტვირთით სამგზავრო სიჩქარე 200 კმ. საათში, ჰაერში გაძლება 10 საათი, სიმაღლის მიწვდენა 6 — 7. 000 მეტრი ე. ი. იდეალურ პირობებში, თუ მათ გზაზე არ დახვდათ არც ქარი, არც წვიმა, არც მოწინააღმდეგის ფრენოსნობა მთელ ამ მანძილზე, შეუძლიათ მათ გამოჩნდენ ბერლინზე და უკან დაბრუდენ. საბჭოთა სარდლობას კარგათ ესმის ესეთ მოქმედების უაზრობა და ამიტომ თავის საჰაერო მოქმედების ბაზას იგი ჩეხოსლოვაკიაში ჰქმნის. კი! ეს უკვე დიდი წარმატება იქნება, მაგრამ ჩეხოსლოვაკია კუნძულს წარმოადგენს გერმანეთთან დაკავშირებულ სახელმწიფოთა შუა. რა საომარი ვარგისობა ექნება მას საბჭოთა რუსეთისათვის, როც წითელი ჯარი მოახერხებს ჩეხოსლოვაკიამდე გზის გამორღვევას (ავიღოთ განგებ ეს ნაკლებათ შესაძლებელი იდეალური შემთხვევა). ეს ისეთი თეორიული საკითხია, რომელზედაც ომის შემდეგი ბედის დამყარება ძლიერ საეჭვოა.

გადავხედოთ ეხლა, ყველა ამ დაბრკოლებათა გადალახვის წემდეგ, რა ღირსების მოწინააღმდეგეს ჰპოვებს საბჭოთა ფრენოსნობა.

დღეს შეიარაღების ჩქარ გარდამავალ ხანაში გერმანეთს შემდეგ თვისებათა ავიონები მოეპოვება: „ჰაინკელ"-ის ევიონი (ჰ. მ. 70.).

დანიშნულება: მზვერავი — მეყუმბრე — განმანადგურებელი:
მანქანა: 1 — მბ. 3 — ძალა 630 ცხ.
ადგილი — 3 —
შეიარაღება — 3 ტყ. მფრქ.
ნიმუში 1933 — 34 წ.
მთელი სიჩქარე 380 კმ.
სამგზავრო სიჩქარე 330 კმ.
მანძილი 400 კგ. ტვირთით 1200 კმ.
მანძილი 600 კგ. ტვირთით 800 კმ.

„იუნკერ"-ის ავიონი („Ი. უ. 52") სრულ ლითონიანი:
დანიშნულება — მძიმე მეყუმბრე
მანქანა — 3 ბმ. 3 — ერთათ 1. 700 ცხ.
ადგილი — 3;
შეიარაღება: 1 ზარბაზანი 20 მ.მ., 4 ტყ. მფრ.
მთელი სიჩქარე — 270 კმ.
სამგზავრო სიჩქარე — 240 კმ.
მანძილი: 1.000 კგ. ტვირთით — 1. 200 კმ.

1.250 კგ. ტვირთით — 900 კმ.
2.200 კგ. ტვირთით — 400 კმ.

აქ არ მოგვყავს ცნობები გერმანელთა განმანადგურებელ ავიონთა უკანასკნელ ტიპების შესახებ, რომელთა სიჩქარეც საათში — 350 — 380 — 400 კმ. აღწევს.

რომელ მხარეს მიანიჭებს უპირატესობას მანქანათა ღირსების შეჯიბრება უახლოეს მომავალში, ეს დამოკიდებულია მრეწველობის შემძლებლობაზე, მის უკვე ნაცად ტრადიციებზე და ამის პასუხს ახლო მომავალი მოგვცემს.

საბჭოთა ჯარის შემძლებლობის განხილვა დიდ საეჭვო ნიშანს უსვამს საფრანგეთ და საბჭოთა დღევანდელ სამხედრო კავშირს, რაც სრულიათ ეთანხმება ამ სახელმწიფოთა კავშირების და ომების გრძელ რიგის ტრადიციებს.

---

აი რას წარმოადგენს წითელ ჯარის ორგანიზაციის და მის საომარ ღირებულების ობიექტიური სურათი! დიახ! ს. ს. რ. -ის საზღვრებში მან ბევრჯერ გაიმარჯვა და მზგავსი მოვლენა ჯერ კიდევ მრავალჯერ განმეორდება, სანამ აჯანყებულთა მოძრაობანი ადგილობრივ ხასიათს და საომარ მასალას და სათანადო ხელმძღვანელობას მოკლებულნი იქნებიან.

დიახ! მხედველობაში უნდა იქმნენ მიღებულნი წითელ ჯარის ყველა დადებითი მხარენი, მისი რიცხვი, შეიარაღება, ყველა ღირსებანი და წარმატებანი, რომელნიც მან მოიპოვა, რუსეთის ომის წინანდელ ჯართან შედარებით.

მაგრამ შეხვდება თუ არა იგი ბრძოლის ველზე სხვა ერის სახელმწიფოს ეროვნულ სულით აღზრდილ ჯარს, შეიარაღებულს თანამედროვე სამხედრო მასალის უკანასკნელი ნიმუშით, — მაშინათვე იჩენენ თავს მისი შემდეგი ორგანიული ნაკლულოვნებანი: —

საბჭოთა მრავალმილიონიანი ჯარი შემდგარია ერთი მეორესადმი უაღრეს მტრულ განწყობილებაში მყოფ ელემენტებიდან:

— დღევანდელ მის თადარიგის ნახევარი მოკლებულია ელემენტალურ სამხედრო გაწრთვნა - აღზრდას (11 მილიონიდან მხოლოდ 5 და ნახ. მილ. შესაძლებლათ გაწვრთნილი).

— წითელ ჯარის კადრებს აკლია სამხედრო ცოდნა და საერთო განათლების ძლიერ დაბალ საფეხურზე სდგანან, რის გამოც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ეძნელებათ თანამედროვე ომისთვის საჭირო ტეხნიკურ და მეცნიერულ საგნების შეთვისება.

— მრავალრიცხოვანი ერთეულები და საომარი მასალები ცუდათ არიან ერთმანეთში შეხამებული.

— მრეწველობა ვერ არის მომზადებული ომის დროს ჯარის მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებისათვის.

— მშვიდობიან დროს პოლიტიკური აპარატი სრულიათ ახერხებს ჯარის, თავის ინტერნაციონალურ ოფიციალურ იდეოლოგიის ჩარჩოებში დაჭერას, მაგრამ ეს ვერ წარმოადგენს საკმარის ძალას სამხედრო და პოლიტიკურ გაჭირვების დროს შეიარაღებულ ძალთა ამ სასურველ მუხრუჭში დასაჭერათ.

საერთო მდგომარეობიდან აღსანიშნავია, რომ თუმც რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობაში გარეგნულათ მუდამ შეურიგებელ პოზიციას იკავებს, იქ, სადაც ნამდვილი შეიარაღებული კონფლიქტია მოსალოდნელი, მუდამ უკან იხევს და ყოველი საშუალებით სცდილობს ზავის ყიდვას. საბჭოთა რუსეთს, რომ თავის შეიარაღებულ ძალების სრული იმედი ჰქონდეს, თავის შეურიგებელ იდეოლოგიას ესე ადვილათ და ხელოვნურათ არ ეშურიგებდა დღევანდელ, მათ მიერ აძულებულ პოლიტიკურ წყობილებას.

***

---

## შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაცია

(საფუძვლები)

ამ წერილში, ვეცდები, შეძლების და გვარათ, მკითხველს დაუსურათო, რა საფუძვლებზე არის დამყარებული თანამედროვე ჯარის ორგანიზაცია და მისი სამობილიზაციო გეგმა.

ჯარის ორგანიზაცია მეტის-მეტად რთულია, მისი შესწავლა ან რაიმე შაბლონის აღება და ამა თუ იმ სახელმწიფოს ჯარის მოწყობის იმაზე დამყარება ძნელია, ვინაიდან უმთავრესად მხედველობაში უნდა იქმნეს მიღებული ადგილი, დრო და პირობები, რომელშიაც ჯარის ორგანიზაციის ჩამოყალიბება სწარმოებს. შეურ-

ყველნი არიან უფლებანი და საფუძველნი, რომლებიც განაგებენ ხალხთა ცხოვრებას, ჯარი-კი არის ფუნქცია ხალხის ცხოვრებისა და მასთანვე ერთად განიცდის წინმსვლელობასა, ან ამა თუ იმ ერის ჩამორჩენილობას. ჯარი სარკეა მისი შემქნელი ერის სულიერ და ქონებრივ მდგომარეობისა. ერთი სიტყვით, ღირებულება ამა თუ იმ ჯარისა, ღირებულება მისი სტრუქტურისა, არის დამოკიდეწყობილი ჯარი ინგრევა და როგორც დამსხვრეული მინა სცვივა, ბული მის შემადგენელ პირთა ღირებულებაზე. საუკეთესოთ მოთუ მას დააკლდა ამისათვის საჭირო გული.

ტყუილად არა აქვს ნაპოლეონს ნათქვამი, რომ ომიანობის დროს, სამი მეოთხედი წარმატებისა, დამოკიდებულია მეომრის მორალურ ძალებზე. ამის მაგალითები ბევრია სამხედრო ისტორიაში და, შორს რომ არ წავიდეთ, თვით მსოფლიო ომიც საკმარისია ამ საკითხის გასაშუქებლად. საჭიროა თანდათანობით მიუახლოვდეთ ამ საფუძვლებს, რომლებზედაც დამყარებულია დღევანდელ ჯართა ორგანიზაცია.

უპირველესათ ყოვლისა შევეხები, თუ რა წარმოადგენს „სიმძლავრის ელემენტებს" შეიარაღებულ სახელმწიფოსი. ეს საკითხი არის არა მარტო სამხედრო პირებისათვის, არამედ ყოველ პოლიტიკურ მოღვაწისათვისაც, ძლიერ საინტერესო თემაა და, უპირველესად ყოვლისა, იმ პირთათვის, რომლებიც ერს სათავეში უდგანან. ამ საკითხზე უნდა ფიქრობდეს ყველა შეგნებული მოქალაქე; კარგად დაუკვირდეს, საით მივისწრაფით,, რას წარმოვადგენთ, როგორ შევაფასოთ და განვზომოთ შეიარაღებული სიმძლავრე ამ თუ იმ ერისა, როგორ და რა ერთეულებით გავზომოთ მისი ძლიერება. უნდა ჩავუფიქრდეთ არა მარტო იმ საკითხს, თუ ვინა ვართ, არამედ იმასაც, როგორც უნდა მოეწყოს სახელმწიფოს სიმძლავრე. ჩვენ, როგორც მხედრებმა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო თვალსაზრისით, სახელმწიფოს სიმძლავრეს, პირველად ყოვლისა, შეიარაღებული ძალა წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე ხანაში იმდენათ არის ერთან გადახლართული და მისი ძალა იმდენათ დამოკიდებულია ენერგიისაგან, რომელიც ერისაგან გამომდინარეობს, რომ არ შეგვიძლია შეიარაღებულ ძალების ღირებულება ერისაგან განცალკევებით დავაფასოთ.

დღევანდელი ომები მთელ სახელმწიფოს შემომქმედ ძალებს ითრევენ და წარმოადგენენ ხალხთა ომებს. სამხედრო სარბიელზე გამოდის არა მარტო შეიარაღებული ჯარისკაცი (მხედრები), არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ მთელი ერი, მთელი თავისი მატერიალური და მორალური ვარგისობით. დღეს, ომებს მრავალ მილიონიანი ერები აწარმოებენ და მუდმივი ჯარი-კი, მხოლოდ კადრია მთელი შეიარაღებული ერისა. ამიტომაც მის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ერის მომზადება მომავალ ბრძოლებისათვის და მობილიზაციისათვის. წარსულში იბრძოდა ის პატარა ნაწილი ერისა, რომელიც სამხედრო კასტას წარმოადგენდა, — როგორც ფრანგები ამბობენ „სან პიორ ე სან რეპრომ"; თვითონ ერი-კი მოსვენებულად და შეუწუხებლად აწარმოებდა თავის ეკონომიურ თუ კულტურულ მუშაობას. დღევანდელი ომები იმდენ ფიზიკურ და მატერიალურ ძალებს საჭიროებენ, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი დანამდვილებითი გამოთვლა - გამოანგარიშება. ყოველივე ანგარიში თეორიულია და თითქმის მუდამ ძლიერ ნაკლებია სინამდვილეზე. ამიტომაც დღევანდელ პირობებში ომის წარმოება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ერს ძალუძს დაჭიმოს მთელი თავისი ძალები და ბრძოლისათვის გამოიყენოს მთელი თავისი ნივთიერი, გონებრივი და მორალური ძალები. უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა უმთავრესი განძია ყოველ მოქალაქისათვის. ამიტომ სახელმწიფოს საზღვრების დაცვა უწმინდესი მოვალეობაა ყოველი მოქალაქისა, თუ იგი სდგას ერის თავისუფალ ცხოვრების და განვითარების შეგნების საფეხურზე. ამიტომაც მმართველ წრეების და აგრეთვე მთელი ერის მოვალეობას შეადგენს თავდაცვის საქმე, მშვიდობიან დროს, ისე მოაწყონ, რომ ომიანობის დროს, საშუალებას იძლეოდეს მთელი ერის ძალების გამოყენებისა. დღევანდელი ჯარი არ წარმოადგენს ერისათვის უცხო რაიმე განცალკევებულ ელემენტს, არამედ მის ხორცს და სისხლსა, და თუ ზემოაღნიშნულ თეზას მივიღებთ, როგორც ძირითად საფუძველს, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ორგანიზაცია ჯარისა უნდა იქმნას დამყარებული ერის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და მის საშუალებებზე; ამიტომაც, ჯარის მოწყობის დროს, არ შეიძლება ზემოაღნიშნული ძირითადი უფლებათა დავიწყება და უსათუოდ მასზე უნდა იქმნეს აგებული მომავალი ჩვენი ჯარის მოწყობა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჯარის მოწყობა ერის გარეშე შეუძლებელია, იმდენათვე ერს, რომელიც თავის შინაურ ცხოვრების მოწყობას აპირებს, არ უნდა ავიწყდებოდეს თავისი ორგანიზაცია ისე მოაწყოს, რომ შეეძლოს საჭირო დროს მაქსიმალური ენერგიის გამოჩენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საუბედურო, ამას სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით ჩვენ დამოუკიდებლობის დროს, რის გამო ვერ შევსძელით ჯარის ისე მოწყობა, რომ ერისაგან მიგველო ის მაქსიმუმი, რომლის მოცემაც მას შეეძლო.** რასაკვირველია, ბევრი მიზეზები იყო ამ საკითხის საღ დაყენებას რომ ხელს უშლიდა. მომავალში მეტი ნდობა და ინიციატივა უნდა მიანიჭოს მმართველ წრემ მხედრობას, რომელიც კომპეტენტურია ამ საკითხის მოწესრიგებაში. ამასთანავე, ყველა მხედარს უნდა ახსოვდეს, რომ მისი დანიშნულება ჯარის მოწყობა, მისი გაწრთვნა და სახელმწიფოს საზღვრების დაცვა არის. რასაკვირველია, **ეს იმას კი არ ნიშნავს, იგი პოლიტიკურად მომზადებული არ იყოს; პირიქით, ესლა იმისთანა დრო არის, რომ ოფიცერი ყველა საკითხში კარგად უნდა ერკვეოდეს და როგორც სამხედრო, აგრეთვე პოლიტიკურ საკითხებში კარგად მომზადებულ პიროვნებას უნდა წარმოადგენდეს.** მაშინ, რასაკვირველია, მეტ ყურადღებას და ავტორიტეტსაც მოიხვეჭს საზოგადოებაში. დღეს სამხედრო სამსახური ერის სავალდებულო სკოლად ითვლება. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ ევროპის კოლონიების მთელ პოლიტიკას უმთავრესად სამხედრო პირები აწარმოებენ, რომელნიც როგორც მხედრულად, აგრეთვე პოლიტიკურადაც ძლიერ კარგად მომზადებულნი არიან. მსოფლიო მასშტაბში ყველა გამოჩენილი სარდლები, უძველეს დროიდან დაწყებული, იმავე დროს, გამოჩენილი პოლიტიკოსებიც იყვნენ, როგორც მაგალითად: კიროსი, დარიუსი, ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი, კეისარი, ჩინგის-ხანი, თემურ-ლენგი, დავით აღმაშენებელი; უკანასკნელი ხანიდან ნაპოლეონი (მის შესახებ არსებობს აზრის სხვადასხვაობა. ბ. ქ.) და ბევრი სხვა. მსოფლიო ომის დოს ხომ მთელი რიგი გამოჩენილი მხედრებისა ერთდაიმავე დროს იყვნენ პოლიტიკურად მომწიფებული და ანგარიშ გასაწევი პიროვნებანი, განსაკუთრებით საფრანგეთში. ომიანობის და შემდეგ ხანაში ამისთანა მაგალითს (სანიმუშოს) წარმოადგენს პოლონეთის ერის ბელადი, პირველი მარშალი პოლონეთისა, იოსებ პილსუდსკი. ბედნიერია ერი, რომელსაც, სახელმწიფოს აღდგენის, მისი აღმაშენებლობისა და ჯარის შექმნის დროს, ეყოლება ამისთანა გენიოსი, როგორიც იყო უკანასკნელი.

დღეს მხედარი, რომელიც პოლიტიკურ ცვლილებებს თვალყურს არ ადევნებს, არა სცდილობს თავის გონებრივ განვითარებას და მხოლოდ სამხედრო წესდებებით კმაყოფილდება, კარგი მხედარი არასდროს არ იქმნება და თავის ერის სულისკვეთებაში ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერკვევა. რასაკვირველია, ამისთანა მხედრობას, ხალხი ომიანობის დროს თავის ბედ-იღბალს ვერ ჩააბარებს. როგორც უკვე აღვნიშნე, დღეს მხედრობა როგორც კასტა არ არსებობს. ომს აწარმოებს ხალხი. მშვიდობიანობის დროის ჯარი, ეს მხოლოდ კადრია ერის გასაწრთვნელად და მის ომისათვის მოსამზადებლად; ამიტომაც ერი მისდამი ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი. სამხედრო და საერო პირთა მუდმივი და მჭიდრო თანამწრომლობით შეიძლება მხოლოდ მძლავრი ჯარის შექმნა და ომიანობის დროს ყოველი იმ რესურსის გამოყენება, რომელიც ამა თუ იმ ერს არგუნა ბედმა.

ყველა სახელმწიფონი ორ ჯგუფად განიყოფებიან: პირველი, იმპერიალისტური სახელმწიფონი, რომელნიც თავის შეიარაღებულ ძალას მხოლოდ დამპყრობელ პოლიტიკისათვის ხმარობენ; მეორეკი, რომელნიც ყოველივე იმპერიალისტურ ინსტიკტს მოკლებული არიან, სურთ მხოლოდ თავის არსებობის შენარჩუნება და თუ ვინიცობაა მეზობელმა ომი მოახვია, სურს დაიცვას მხოლოდ თავისი საზღვრები. ყველა სახელმწიფოები ზემოაღნიშნულის მიხედვით აწყობენ და წრთვნიან თავიანთ ჯარს. სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს სუსტი და პატარა მეზობელი, თავის მიზნის ცხოვრებაში განსატარებლად არ საჭიროებს ერის მთელი ძალები გამოიყენოს და ამიტომაც მას არ ესაჭიროება დიდი სამხედრო ძალები და ხშირად განიარაღებაზე ლაპარაკობს. პირიქით, მძლავრ და იმპერიალისტურ მეზობლის პატრონი სუსტი სახელმწიფონი სცდილობენ, რაც შეიძლება, მეტრიცხოვანი და მძლავრი ჯარები იყოლიონ იარაღ ქვეშ, რომ ომმა თუ იფეთქა, მათი ყოფნა-არ-ყოფნის საკითად იქცევა. კავკასია, კარგად თუ დავაკვირდებით ჩვენ სამხრეთის და ჩრდილოეთის საზღვრებს, არ ეკუთვნის იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებზედაც შეიძლება ითქვას, რომ მისი საზღვრები უზრუნველყოფილია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, საუბედუროდ, კავკასიის ყველა ერებმა ვერ შეიგნეს, **რომ ჩვენ ყველანი გეოგრაფიულად, ეკონომიურად და პოლიტიკურად ისე ვართ გადაბმულნი, რომ თუ ერთმა დაჭკარგა თავისი დამოუკიდებლობა, წეორეესაც აუცილებლად ეს განსაცდელი მოელის;** და თუ მომავალში ყველა კავკასიის ერებმა ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია, რომ ომის დროს შევსძლოთ მთელი ჩვენი ძალები ფეხზე დავაყენოთ. ეხლა განვიხილოთ როგორი უნდა იყოს შეიარაღებული ძალა. რასაკვირველია, ამაზე ძნელი **არ არის პასუხი.** მისი მოხმარება ემყარება განსაზღვრულ მოთხოვნილებებს. ომის ყოველივე შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებლობა წინდაწინვე უნდა იქმნეს განხილული და მომზადებული თანახმად დამუშავებული გეგმებისა, ყოველ მოსალოდნელ პოლიტიკურ მდგომარეობისათვის და წარმოებული წინდაწინვე განსაზღვრულ და შესწავლილ ტერიტორიაზე. ყველა ეს მოთხოვნილებანი წარმოადგენენ იმ საოპერაციო მოთხოვნილებას, რომელიც გვიკარნახებს სამხედრო ორგანიზაციას. ეჭვს გარეშეა, მთელი ჯარის ორგანიზაცია ამას უნდა დაექვემდებაროს.

ზემოაღნიშნულიდან აშკარად სჩანს, რომ ჯარის ორგანიზაცია სხვა და სხვა სახელმწიფოებში ერთმანეთისაგან ძლიერ განირჩევა. რაც ერთ სახელმწიფოსათვის კარგია და მისაღები, მეორესათვის შეიძლება არ იქმნეს ხელსაყრელი.

ეხლა განვიხილოთ ის, თუ როგორი უნდა იყოს შემადგენელი ელემენტები ჯარისა და რა გავლენა აქვთ მის ძალაზე. ჯარი შედგება ცალკე პირებისაგან, რომელნიც არიან შეერთებულნი ერთმანეთთან განსაზღვრულ ორგანიზაციულ ფარგლებით და ჩაყენებულნი განსაზღვრულ პირობებში. ასე რომ მისი ელემენტებად იქმნებიან:

1. პიროვნული შემადგენლობა,
2. შეიარაღება,
3. ორგანიზაციული ფარგლები და მათი სიზუსტით მოქმედება,
4. პირობები, რომელშიაც ჯარს მოელის მოქმედება,
5. მისი გამძლეობა.

აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ჯარი იმდენად უფრო მძლავრია, რამდენადაც ზემოხსენებული მოთხოვნილებანი სავსებით იქმნება შესრულებული. დგება კითხვა, თუ საკმარისია მარტო ადამიანთა რიცხვი შესაფასებლად? არა. მათი ძალა დამოკიდებულია შეგნებისაგან, თუ რატომ არიან ერთად შეკავშირებულნი (შედუღებული), მათი ცოდნისაგან, ტეხნიკურ საშუალებების ხმარებისა და მათი ენერგიისაგან. რაც შეეხება მატერიალსა, არა მარტო სიმრავლე და ვარგისობა არის მხედველობაში მისაღები, არამედ (მეტადრე ომიანობის დროს) განუწყვეტელი შევსება და მისი შეკეთება. მსოფლიო ომმა დაამტკიცა, რომ ის ძალები და სამხედრო მასალა, რომელიც მშვიდობიანობის დროს არის დამზადებული, ძლიერ ცოტა ხანში ინთქება თანამედროვე ომის მიერ. ამისათვის საჭიროა მთელი ერის და მისი ეკონომიური ძალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადება ომისათვის, რომ მებრძოლ ელემენტებს მიეცეს საშუალება დანაკლისის დაუყონებლივ შევსებისა, როგორც პიროვნულ შემადგენლობისა, აგრეთვე სამხედრო მასალებისა. ამ მობილიზაციის მნიშვნელობა საკმარისად ვერ წარმოედგინათ მსოფლიო ომის დასაწყისში. ომის პირველ ხანებში, მაგ. მარნაზე, აუარებელი სამხედრო მასალა იქმნა დახარჯული და არც ერთ მხარეს არ ჰქონდა იმდენად საკმარისი თადარიგი, რომ ომი განეგრძოთ იმ ენერგიით, რომლითაც დაიწყო. იძულებულნი შეიქმნენ პოზიციურ ომზე გადასულიყვნენ, ვინაიდან მოძრავ ომის წარმოება აუარებელ მასალას და ცოცხალ ძალებს მოითხოვდა, და რაკი ამისათვის მომზადებულნი არ იყვნენ, დიდი დრო და მუშაობა დასჭირდა ორივე მხარეს, სანამ ეკონომიურ სამობილიზაციო გეგმას შეიმუშავებდენ და იმ გეგმის მიხედვით ომს განაგრძობდენ. ხაზ-გასმით აღვნიშნავთ, რომ რაც უნდა კარგი ორგანიზაცია იყოს, გამოსადეგი არ იქმნება, თუ ერის ხასიათსა და ტრადიციებს არ შეეფერება. ჯარის გამძლეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი მისი შევსება, როგორც ცოცხალ ძალებით, აგრეთვე ომიანობისათვის საჭირო მასალებით. ამის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მორალურ მხარეს. ზემოხსენებულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ რამდენადაც მეტია პერსონალური, მატერიალური და მორალური ელემენტები, იმდენადაც მძლავრია ჯარი. მორალურ მხარეს რომ არ შევეხოთ, ჯარის ენერგიის ხარისხის შეფასება დამოკიდებული არის შემდეგ ელემენტებზე:

1. **მოსახლეობა.** მისი აღრიცხვა, ეროვნული შემადგენლობა, მოქალაქობრივი შეგნება,, სიმკვრივე, ზნე და ჩვეულებანი.

1. 1. 1931 წ. მცხოვრებთა რიცხვის აღწერის თანახმად, კავკასიის (ამიერ კავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის) მოსახლეობა უდრიდა 8. 570. 300 მცხოვრებს, რომლიდანაც 2. 883. 200 არის საქართველოს მოსახლეობა, 2. 510. 800 ადერბეიჯანის, 1. 032. 700 სომხეთის და 2. 143. 600 ჩრდილოეთ კავკასიისა. (ცნობები მოყვანილია ბ-ნ ვ. თ. წიგნიდან „კაუკაზ"). ეროვნული შემადგენლობა პროცენტულად ამიერ კავკასიაში შემდეგია: ქართველები 30.7%, სომხები — 22.7%, თურქ-თათრების ჯგუფი — 28.5%, რუსები — 5.7%, 12.4% სხვა უცხო ერები. (თვით საქართველოში ქართველობა წარმოადგენს 70.4% მოსახლეობის, ადერბეიჯანში ძირითადი მოსახლეობა 64.2%, სომხეთში სომხები 84.7%, ჩრდილოეთ კავკასიაში ძირითადი მოსახლეობა 71.2%).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის კონფედერაციის მთელი ტერიტორიის სივრცე შეიცავს 291.393 ოთხკუთხ კილომეტრს, რომლიდანაც საქართველო შეიცავს — 72.000; ადერბეიჯანის — 85.963; სომხეთის — 29.660; და მთის — 103.770. წინა აღრიცხვანი რომ მივიღოთ მხედველობაში და შევადაროთ, დავინახავთ, რომ კავკასიის მოსახლეობას ყოველ წლიურად ემატება დაახლოვებით 1.3%, რაც 1.1. 1936 წ. შეადგენს 7.8%, ამიტომაც შეგვიძლია კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი ვივარაუდოთ 1.1. 1936 წ. 9.238.000 (ბატონი კანდელაკი თავის წიგნაკში „საქართველოს ეროვნული მეურნეობა" უფრო ნაკლებ რიცხვს აღნიშნავს: საქართველო 2.666.92 მც. — 72.000 ოთხკუთხ კილომ., ადერბეიჯანი — 2.313.000 მცხ. — 84.679 ოთხკ. კილ., სომხეთი — 876.600 მცხ. — 30.948 ოთხკ. კილ., მთა — 1.708.000 მცხ. — 96.200. ოთხკ. კ. სულ — 7.564.094 მცხ., — 283.820 ოთხკუთხ კილომეტრი ტერიტორია, მაგრამ ეს არის 1926 წ. მცხოვრებთა აღრიცხვა).

მცხოვრებთა სიმრავლის და ეროვნულ შემადგენლობის გარდა, მხედველობაში არის მისაღები მათი კულტურული დონე, ზნე-ჩვეულება, მათი სიმჭიდროვე ერთ ოთხკუთხ კილომეტრზე, რაც შეადგენს 40 საქართველოში, 29.2 ადერბეიჯანში, 34.8 სომხეთში და ჩრდილო კავკასიაში 20.7. მცხოვრებთა სიმჭიდროეს დიდი გავლენა აქვს მობილიზაციის ჩატარებაზე, ჯარის დანაკლისის შევსებაზე, ომის სისწრაფეზე და ბევრ სხვა საკითხზე. კავკასიის მცხოვრებნი, რომ ავიღოთ ცალცალკე ქვეყნებად, მათი ეროვნული შემადგენლობა ძლიერ აჭრელებულია შემდეგ ჩამოსახლებულ ელემენტებით, რაც დიდ უარყოფით მხარედ ჩაითვლება ამა თუ იმ ერის დამოუკიდებელ არსებობისათვის. თვით კავკასიის ერების მრავალ ფეროვნება არ წარმოადგენს იმდენ საშიშროებას, რასაკვირველია, თუ ამ ერებში კონფედერაციის იდეამ მაგრათ მოიდგა ფეხი, როგორც მერე ჩამოსახლებულ ელემენტებისა სამხრეთ თუ ჩრდილოეთით.

ადგილობრივ საიმედო ძალებად ოთხი უმთავრესი ეროვნება ჩაითვლება: მთიელები, ადერბეიჯანელები, ქართველები და სომხები. და მართლაც, თუ კავკასია მომავალში კონფედერატიული იქმნა, ყოველივე ეროვნული*) გართულება, რომელიც წარსულში

---

*) ყველა კავკასიელმა კარგად უნდა ცოდეს, რომ როდესაც კი კავკასიის ერნი დამოუკიდებელნი ყოფილან და საკუთარ ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობდა, თანდათან შესუსტდება. კავკასიელთ შორის ყოველივე შუღლის მოსასპობად ეს სულ ერთი ან ორი თაობის აღზრდის საკითხია. თუ კავკასიის ერები ცალცალკე შემოიფარგლენ და ძველებურად იქონიეს ხელოვნურად შექმნილი ანტაგონიზმი, ეროვნული თუ სარწმუნოებრივი, დიდ ხანს ვერც ერთი მათგანი ვერ იარსებებს და როგორც წარსული გვაჩვენებს, დაკარგავენ დამოუკიდებლობას. ამის გარდა, თვითეულ მათგანს გაუჩნდება ორი მძლავრი მტრის გარდა (სამხრეთით და ჩრდილოეთით) თავიანთ კერაში არა საიმედო უმცირესობანი, რომლებიც ძლიერ ხელს ზეუშლიან, როგორც მშვიდობიან, ეგრეთვე ომიანობის დროში და სწორედ ამ ახალ იდეას შეუძლია კავკასიის ერების დაახლოვება და კავკასიის საერთო სამშობლოდ გადაქცევა, რომლის დამოუკიდებლობისათვის ერთნაირად გაიღებენ სისხლს ყველა მისი მკვიდრი მცხოვრებნი.

კავკასიის კონფედერაციის პაქტი, მეოთხე პუნქტში, აცხადებს: — „კონფედერაციის საზღვართა დაცვა მიენდობა კონფედერაციის არმიას, შემდგარს კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების არმიებისაგან, ერთ მთავარ სარდლით, რომელიც ექვემდებარება კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს". აი, ეს არის იდეალი კავკასიის თავდაცვისა და ჩვენთვის, მხედრებისათვის. **ჩვენი ტრაღედია იმაში იყო, რომ რუსეთის რევოლუციას ამ მხრივ ვერ შევხვდით მომზადებულნი.**

ეჭვს გარეშეა, გვიან თუ ადრე, ხელახლა დადგება კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი და ამიტომაც მას მომზადებულნი უნდა შევხვდეთ. **ჩვენი და მომავალ თაობათა ამოცანაა, ჩვენ ერებში შეიტანონ ის შეგნება, რომ კავკასიის ბედ - იღბალი, კავკასიის ერების მლიანობაშია.** და აი სწორეთ, ჩვენ, მხედრები, რომლებსაც სამხედრო თვალსაზრისით, კავკასიის პრობლემა ყველაზე კარაგად შესწავლილი უნდა გვქონდეს, დიდი ენტუზიაზმით უნდა დავეხმაროთ ...ლა იმას, ვინც გულახდილად აღიარებს კავკასიის კონფედერა...ს იდეას.

---

ბას თითონ განაგებდენ, მათ საერთო ენა მუდამ ჰქონდათ. უახლოეს წარსულში არსებული ანტაგონიზმი შედეგია მხოლოდ რუსეთის მიერ მთელ საუკუნის განმავლობაში ხმარებულ დამპყრობელთა ძველთაგან კარგად ცნობილ ხერხისა: „დივიდე ეტ იმპერა" — გათიშე და იბატონე.

(რედაქცია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. **მატერიალური მხარე.** უპირველესად უნდა ვეცადოთ თვით დაკმაყოფილების მიღწევას ომიანობის დროს. ამისათვის საჭიროა მშვიდობიანობის დროს კარგად იქმნეს ეს საკითხი შესწავლილი და ყოველივე ზომები მიღებული, რათა ყოველივე მოთხოვ... ბანი ომიანობის დროისათვის, როგორც სამხედრო, ისე მთელი ერისა, ადგილობრივ ნაწარმოებით იქმნეს დაკმაყოფილებული. როგორც მოგეხსენებათ, კავკასია წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც თავისი ჰავით დიდ სხვადასხვაობას წარმოადგენს: აქ მოიპოვება კონტინენტალური, სამთო, ტყიური ნოტიო, სუბტროპიკული, სახმელთაშუა, ცივი, ზომიერი და მუდამ თოვლიანი ადგილები. ერთი სიტყვით, კავკასიის კლიმატიური პირობები ისეთივე ჭრელია, როგორც მისი მდებარეობა, რის გამოც მიწის შემადგენლობა და თვისებანიც სხვადასხვანაირია. თავისი უთვალავი ბუნებრივი სიმდიდრით, შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყანა ვითომც ბუნებას ისე გაუჩენია, რომ ერთი კუთხის ნაკლი მეორეთი არის დაფარული. გვაქვს ყოველივე სიმდიდრე, რომელიც იძლევა სრულ გარანტიას ჩვენი ეკონომიური დამოუკიდებელ არსებობისა. რუსები ტყუილად კი არ ეძახოდენ კავკასიას „საუკუთესო მარგალიტს რუსის გვირგვინში". მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებთა უდიდესი უმრავლესობა მეურნეობას მისდევს, ის აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, საწინდარია იმისა, რომ ჩვენში დიდი მომავალი აქვს დიდ მრეწველობის განვითარებას. ამას კი ჯარის საღი ორგანიზაციის შექმნისთვის და სახელმწიფო დამოუკიდებელი არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კავკასია ეკუთვნის ქვეყნის იმ ტიპს, სადაც შეიძლება, მომავალში, ჩვენი დამოუკიდებლობა ავაგოთ სრულებით თვითდაკმაყოფილების პრინციპზე. ჩრდილოეთი კავკასია და ადერბეიჯანი იძლეოდა იმოდენა ხრობლეულობას, რომ არა თუ ჰფარავდა კავკასიის სხვა ქვეყნების ნაკლს, არამედ საექსპორტოთაც რჩებოდა. მესაქონლეობა ყველა ქვეყნებში დამაკმაყოფილებელი იყო. ეხლა ყველამ ძლიერ კარგად ვიცით. მტერზე გამარჯვებისათვის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოკვების საკითხს. რაც შეეხება მრეწველობას, ცხადია, დამყარებულია ნედლ მასალაზე, რაც უხვად მოგვეპოვება. დაწვრილებითი აღწერას ყოველივე ჩვენი სიმდიდრისა, გვერდს ავუვლი, ვინაიდან ეს არ წარმოადგენს ამ წერილის თემას.

3. **მიმოსვლის საშუალებანი.** რკინის გზებს, დღევანდელ ომებში, რომელსაც მთელი ერი აწარმოებს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ სამხედრო ოპერაციის წარმატებით დაბოლოვება დამოკიდებულია მისი გზათა ქსელის მოწყობაზე და სისწრაფეზე. ყველას ძლიერ კარგად ახსოვს, როგორ სამხედრო მოთხოვნილებათა მიხედვით იყო მოწყობილი გერმანიის რკინის გზები, და რა დიდი როლი ითამაშა ჯარის ერთ საომარ ასპარეზიდან მეორეზე გადაჯგუფებაში. დღევანდელი ომები დამყარებულია იმაზე, რომ საჭირო ადგილას მტერზე ყოველთვის უფრო ძლიერი ვიყოთ, და როდესაც სახელმწიფო საკმაოდ არის რკინის გზებით მოფენილი, მაშინ მთავარ სარდალს ეძლევა საშუალება ჯარი ერთი ადგილიდან მეორეზე ადვილად გადააჯგუფოს. ამის გარდა, რკინის გზების საშუალებითვე ხდება ჯარების, როგორც სანოვაგით, ეგრეთვე საჭირო სამხედრო მასალებით აღჭურვა. აღსანიშნავია, რომ დღევანდელ ომებში საავტომობილო კომუნიკაციას თანდათან მეტი მნიშვნელობა ეძლევა. მაგალითად, ჯარის გადაზიდვა, საევაკუაციო და სასანიტარო ტრანსპორტები, სურსათით აღჭურვა, თვით მოტორებზე სხვა და სხვა სამხედრო იარაღების მოწყობა და სხვა. აქედან სჩანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ გზებს სამხედრო თვალსაზრისით. საუბედუროდ, კავკასიაში საკმარისი რკინის გზები და გზა ტკეცილები არ მოგვეპოვება. ჩვენში მიმოსვლის საკითხის მოწესრიგება მით უმეტესათაა საჭირო, რომ ძლიერ მთა-გორიანი ალაგებია და ძლიერ ძნელია ერთმანეთში კავშირის დაჭერა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო მოქმედებებისათვის. უმეტეს ნაწილად ჩვენი გზები ტვირთ საზიდავ (საკურტნო) გზებად ჩაითვლება. საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აერთებს ორი გზა: საქართველოს და ოსეთის გზატკეცილები. ჩვენი მდინარენი ნაოსნობისათვის არ ვარგან, ზღვებზე რამოდენიმე ნავთსადგური მოგვეპოვება, მაგრამ საუბედუროდ, ჩვენი საკუთარი საზღვაო ტრანსპორტი არ მოგვეპოვება. ამასთანავე უნდა დავუმატოთ, რომ ომიანობის დროს, ორივე ზღვა ჩვენ მოწინააღმდეგეთა ხელში იქმნება, ვინაიდან, ჩემის აზრით, შეუძლებელია, ჩვენ მიერ, იმისთანა ძლიერი ფლოტის შექმნა, რომელიც შესძლებდეს ჩვენ მოწინააღმდეგეთა საზღვაო ძალების დაძლევას.

ფოსტას, ტელეგრაფს და ტელეფონს დიდი კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ერისათვის, მშვიდობიანობის დროს; ომიანობის დროს კი აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს კავშირისათვის, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ომის წარმატებით წარმოებაში. ჩვენ, კავკასიელები, ამაშიაც ძლიერ სუსტნი ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კავკასიის მიმოსვლის საშუალებანი ძლიერ ვრცელად აქვს დახასიათებული ვ. თ — ძეს თავის ნაშრომში „კავკაზ").

4. **საზღვრები და მეზობლები.** კავკასიის ტერიტორიის სივრცე იმ საზღვრებში, როგორც უკვე მოგახსენეთ, შეადგენს 291. 393 ოთხკუთ კილომეტრს, 8. 570. 300 მცხოვრებით. მის ჩრდილოეთ საზღვრად შეიძლება ჩაითვალოს მდინარე კუმა, მისი შემდინარე კარამიკი, ბარსაკუვკა — ყუბანის შემდინარე და მდინარე ყუბანი. (კავკასიის აღნიშნული ჩრდილოეთის საზღვრები მთიელ მხედრებთან არის შეთანხმებული; თუმცა ღა ისტორიული საზღვარი უფრო შორს მიდის, სახელდობრ: მდინარე იეი — მანიჩი — კუმა. ავტორი).. დასავლეთით შავი ზღვა, აღმოსავლეთით კასპიის ზღვა და სამხრეთით-კი ოსმალეთის და სპარსეთის საზღვრები. კონფიგურაცია კავკასიის ტერიტორიის უმეტეს ნაწილად წარმოადგენს მთა - გორიან ქვეყანას, გარდა რამოდენიმე ხეობისა, რომელიც ბევრ ადგილას დასერილია მთაგრეხილებით, ქედებით და ღელეებით. რასაკვირველია, ამგვარი კონფიგურაცია ადგილისა ჰქმნის ჰავისა და ნიადაგის დიდ სხვადასხვაობას. ეჭვს გარეშეა, ამ გვარ კონფიგურაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მოწყობისათვის. სახელმწიფო, რომელსაც აქვს გაშლილი სწორი ადგილები, სულ სხვა ორგანიზაციას მოითხოვს და სულ სხვას მთაგორიანი ადგილები. საუბედუროდ, ჩვენი ქვეყანა მეზობლების მხრივ ვერ იმყოფება კარგ მდგომარეობაში. როგორც ჩრდილოეთით, აგრეთვე სამხრეთით, გვყავს ჩვენდამი ძლიერ მტრულად განწყობილი სახელმწიფონი. ამის დამამტკიცებელია ჩვენი წარსული და დღევანდელი მდგომარეობა. მრავალ - ფეროვანი მცხოვრების ბრალია, რომ ხან ერთი, ხან მეორე ჩვენი მეზობელი სარგებლობდა, რომელიმე ჩვენი ერით და იყენებდა მას, როგორცა სურდა. **საუბედუროდ, ძლიერ დიდი დრო და მსხვერპლი იყო საჭირო, რომ ჩვენ ერებს შეეგნოთ, რომ ჩვენს მთლიანობაშია ჩვენი ხსნა. დღევანდელმა განმათავისუფებელმა მოძრაობამ, ძლიერ დიდი მსხვერპლი შეიწირა კავკასიის ერებისა და სწორედ მათ მიერ დაღვრილი წმიდა სისხლი უნდა იქმნეს გარანტიად ჩვენი სამუდამო დაახლოვებისა და დაკავშირებისა. ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ გეოგრაფიულად, ეკონომიურად და პოლიტიკურად ერთმანეთზე ისე ვართ გადახლართული, რომ შეუძლებელია რომელიმე კავკასიის ერის ცალკე არსებობა.** განვლო იმ დრომ, როდესაც სარწმუნოება თამაშობდა, ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, რაიმე როლსა. ამ მხრივ ჩვენ, ქართველებმა, რომლებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვეპოვება ორივე სარწმუნოების წარმომადგენელნი, უნდა ვუჩვენოთ მაგალითი დანარჩენ კავკასიელებს... მხოლოდ შეურყეველ ძალებს კავკასიის ყველა ერებისა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, შეუძლიათ წინააღუდგენ ყოველივე მტრის იმპერიალისტურ სურვილებს, იქმნება ეს ჩრდილოეთიდან, თუ სამხრეთიდან.

5. **შინაგანი ორგანიზაცია სახელმწიფოსი და მისი მჭიდრო კავშირი სამხედრო უწყებასთან.** როგორც უკვე აღვნიშნე, დღევანდელი ომების მაწარმოებელი არის მთელი ერი და ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს ორგანიზაცია ისე იქმნეს მოწყობილი, **რომ მას ეძლეოდეს საშუალება ომის გამოცხადებისათანავე ერის მთელი ძალები გამოიყენოს,** როგორც ფიზიკური, აგრეთვე ეკონომიური. ეს ყველასათვის ცხადია, რომ მშვიდობიანობის დროს დამზადებული და დაგროვილი სამობილიზაციო სურსათი და სამხედრო მასალები პირველივე ხანში იხარჯება. საჭიროა მათი მუდმივი შევსება. მთელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თითქმის ყოველ სამინისტროს ჰქონდეს სათანადო სამხედრო განყოფილება. ამ **განყოფილების დანიშულება-კი** იმაში მდგომარეობს, რომ მშვიდობიანობის დროსშივე აჩვევენ და ასწავლიან მოსამსახურეთ სათანადო საერო დაწესებულებებში სხვა და სხვა სურსათის და სამხედრო მიზნებისათვის საჭირო მასალების სამობილიზაციოდ დაგროვებას და ომიანობის დროს-კი მის ფართოდ შევსებას. სამხედრო უწყებას მუდმივი კონტაკტი უნდა ჰქონდეს სხვა და სხვა სამინისტროებთან. ერთმანეთის შესწავლა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და საერთო ძალებით მუშაობა მშვიდობიანობის დროს — არის გარანტია ომიანობის დროის წარმატებისა.

6. **მორალური მხარე ერისა.** მშვიდობიანობის დროსვე უნდა იქმნეს ზომები მიღებული, რათა პროპაგანდის ყოველივე სახსარი გამოყენებული იქმნეს მცხოვრებთა მორალურ მხარის ასამაღლებლად. მთელი ერი უნდა იყოს თავდაცვის საკითხში დაინტერესებული, ამიტომაც მმართველ წრეების მოვალეობას შეადგენს, რათა ჯარი და ერი ერთმანეთთან ისე დააკავშიროს, რომ მათ შუა არაითარი უთანხმოება და შუღლი არ არსებობდეს. ვინაიდან ომიანობის დროს მუდმივი ჯარი წარმოადგენს მხოლოდ კადრსა, საჭიროა მთელი ერი ისე იყოს მომზადებული, რომ დაძახებისათანავე შეავსოს კადრები. ომიანობის დროს და მით უფრო, პირველ

ხანებში, მათი წრთვნის დრო არ არის. ერი მშვიდობიან დროსვე უნდა იქმნეს აღზრდილი და გაწრთვნილი; ამისთვის საჭიროა სხვა სხვა სამხედრო თუ სასპორტო ორგანიზაციების შექმნა და სახელმწიფოს მოვალეობაა მათი დახმარება, როგორც მორალურად, აგრეთვე მატერიალურად. ერთი სიტყვით, ერში სამხედრო სული უნდა ტრიალებლდეს და პირველ დაძახებისათანავე მზად უნდა ოს თავის საზღვრების დაცვას შეუდგეს. საგარეო პოლიტიკა უნდა ეცადოს სხვა და სხვა ერებთან სამხედრო კავშირების გაბმას, რომ თუ ვინიცობაა ომმა იფეთქა, სიმძლავრით მტრის ბანაკს სჭარბობდეს.

შევეხე რა შეიარაღებულ ძალების მნიშვნელობას ერის დამოუკიდებლობისათვის, მის დამოკიდებულებას, როგორც ერის სულიერ და ქონებრივ, აგრეთვე პოლიტიკურ - გეოგრაფიულ მდგომარეობისაგან, მის შემადგენელ ელემენტებსა და ენერგიის ხარისხის დაფასებას, ეხლა ვეცდები მოკლედ აღვნიშნო მისი ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლები.

1. **ერთი უფროსი.** ვინაიდან ომიანობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სწრაფ განკარგულების გაცემას და ხშირად მთელი სამხედრო ოპერაციაც ამაზეა დამოკიდებული, ამისათვის საჭიროა უფროსად ერთი პირი იყოს და არა რაიმე კოლეგიალური დაწესებულება. არის უფროსი მბრძანებელი და ამ ბრძანების სისრულეში მომყვანი მისი ხელქვეითი. მაშინ ყოველივე გაცემული განკარგულების პასუხის მგებელიც უფროსია.

2. **სპეციალიზაცია.** მსოფლიო ომმა იარაღ ქვეშ მრავალ მილიონიანი ჯარები დააყენა და დაამტკიცა, რომ ეხლანდელ ომებში, მარტო შეიარაღებულ ძალებს არ ძალუძს სახელმწიფოს საზღვრების დაცვა და, მით უმეტეს, იმპერიალისტურ ომების წარმოება. **ომი სწარმოებს არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ცხოვრების ყოველ დარგში, როგორც ეკონომიურ, მორალურ, ეგრეთვე პოლიტიკურში.** დღევანდელ ომებში მთელი ერი იღებს მონაწილეობას, — ზოგი იარაღით ხელში, ზოგი თავისი ცოდნით თუ შრომითაა მოვალე შეავსოს მებრძოლი ნაწილი ერისა ყველა იმ საჭირო სამხედრო მასალებითა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თანამედროვე ომისათვის. ტეხნიკის უაღრესმა განვითარებამ გამოიწვია დღევანდელი ომების მეტის-მეტი სირთულე და მოითხოვა ერის მებრძოლ ნაწილის სხვა და სხვა სპეციალურ დარგებში გაწრთვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისათვის თვით შეიარაღებული ძალები განიყოფებიან ორ უმთავრეს ნაწილად: იარაღით მებრძოლ და მათ დამხმარე სამსახურებათ, რომლების დანიშნულებას შეადგენს იარაღით მებრძოლ ნაწილების ყოველივე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. პირველი, ე. ი. იარაღით მებრძოლი ნაწილი შეიარაღებულ ძალებისა, დანაწილებულია იარაღის და მიხედვით და მარტო საკუთარ დარგში იწრთვნება, როგორც მაგალითად: ქვეითა ჯარი, არტილერია, ცხენოსანი ჯარი, ავიაცია, საინჟინერო ნაწილები და სხვა. თვითეული მათგანი თავის მხრივ დანაწილებულია სხვა და სხვა ვიწრო სპეციალურ ნაწილებათ. ტეხნიკის განვითარებამ, ბევრ ვიწრო სპეციალური დარგების დაარსება გამოიწვია და ჯარის გაწრთვნა მეტის-მეტად გაართულა, ვინაიდან შეგნებულ და განვითარებულ მოქალაქეს თავის რიგებისათვის მოითხოვს. ტეხნიკამ სხვა ყველა დარგებს გაუსწრო და ამიტომაც ძლიერ ძნელია ეხლანდელ დროში იპოვო ახალ მოსულ ჯარისკაცებში იმოდენი კადრი პიროვნულ შემადგენლობისა, რამდენიც საჭიროა ჯარის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეჭვს გარეშეა, მომავალში, ავიაცია თანდათანობით გავრცელდება და ომის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში უმთავრეს ელემენტად ჩაითვლება; ამიტომაც, თითქმის ყველა მძლავრ სახელმწიფოებში, რათა მეტი ყურადღება მიაქციონ მის განვითარებას და გაწრთვნას, შეჰქმნეს ცალკე სამხედრო საავიაციო სამინისტროები. ცხადია, ავიაციამ და ქიმიამ მომავალში უნდა დაიკავონ უპირველესი ადგილი. ვინ იცის, თუ მომავალში ცალკე, სამხედრო საქიმიო სამინისტროც არ იქმნეს დაარსებული! მსოფლიო ომის წინ ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ავიაცია ისე გაძლიერდებოდა, რომ საჭირო იქმნებოდა მისთვის ცალკე სამხედრო სამინისტროს დაარსება! განვლო ხანამ, როდესაც სამხედრო ხელოვნება პირად გულადობაზე იყო დამყარებული. ტეხნიკის, ქიმიის და ბაკტერიოლოგიურ ბრძოლების ხანაში შევედით და მიუხედავად იმისა, რომ ვითომც მთელი კაცობრიობა იბრძვის ყოველივე ზემოაღნიშნულ საბრძოლველ მეთოდების წინააღმდეგ. კონფერენციას კონფერენცია მოსდევს, თავს ნურავინ მოიტყუებს, რომ ომის გამოცხადებისათანავე ყოველივე ეს უფრო სასტიკად და მკაცრად არ იქმნება მებრძოლთა შუა გაჩაღებული. დამხმარ სამსახურებად, რომლების დანიშნულებას შეადგენს, როგორც უკვე აღვნიშნე, იარაღით მებრძოლ ნაწილების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ჩაითვლებიან: ინტენდანტურა, სანიტარული განყოფილება, შეიარაღება, საინჟინერო და საარმშენებლო

ნაწილი, კომუნიკაცია და ტრანსპორტი, სასულიერო განყოფილება, სასამართლო, ჟანდარმერია და სხვა. აქ ძნელია ყველა მათი ჩამოთვლა; რამდენად მეტი სპეციალიზაციაა, იმდენად მეტიც სამსახურებია საჭირო. თვით სამსახურები თავის მხრივ დანაწილებულია სხვა და სხვა ვიწრო სპეციალურ დარგებად. ზემო აღნიშნულ შეიარაღებულ ძალების გარდა, თითქმის ყველა სახელმწიფოში არსებობს სხვა და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სამხედრო სამინისტროს არ ექვემდებარებიან, მაგრამ ომის გამოცხადებისათანავე, შეიარაღებულ ძალების განკარგულებაში გადადიან და მის შემადგენლობას ამრავლებენ.

**3. ერთეულების თანაბარი ღირსება.** ჯარის ორგანიზაცია იმ გვარად უნდა იქმნეს მოწყობილი, რომ იძლეოდეს საშუალებას ერთეულების ერთი მეორით შეცვლას. ეს დიდ საჭიროებას წარმოადგენს ომიანობის დროს, ვინაიდან ერთეულების უფროსებს ეძლევათ საშუალება ბრძოლით უფრო მოღლილი, ან და დიდათ დაზარალებულ ერთეულების შეცვლა, ისე რომ ცუდათ არ იმოქმედოს მათმა შეცვლამ. ამიტომაც, ეს ერთეულები, შემადგენლობით ერთნაირი უნდა იყვნენ. რასაკვირველია, აქ არ არის მხედველობაში მიღებული არც მათი მორალური მხარე და არც ინდივიდუალური განსხვავება მებრძოლთა შორის. ამ გვარ ერთეულებად, რომლების შეცვლა შეიძლება, არის ბათალიონში — ასეული, პოლკში (რაზმში) — ბათალიონი, დივიზიაში — პოლკი. დიდ ერთეულთაგან მხოლოდ დივიზიების შეცვლა შეიძლება. ამ ერთეულებს ეძახიან საანგარიშო ერთეულებს და მათი შემადგენლობა ყოველთვის **ერთნაირია; ამიტომაც** რომელიმე მათგანის შეცვლა იმგვარივე ერთეულით არავითარ ცვლილებას არ შეიტანს შემადგენლობაში. (საანგარიშო ერთეულებს ეძახიან იმიტომ, რომ სამხედრო მოქმედებების დროს უფროსები ანგარიშობენ რამოდენი ასეული, ბათალიონი, პოლკი ან დივიზია შედის მათ სამომქმედო ჯგუფში).

**4. დიდი და პატარა ერთეულები.** სარდლობის თვალსაზრისით, მთელი შეიარაღებული ძალები განიყოფებიან დიდ და პატარა ერთეულებად. პატარა ერთეულებად ჩაითვლება იმისთანა ერთეულები, რომლის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ერთი დარგი იარაღისა ან სამსახურისა. ამ გვარ პატარა ერთეულად ჩაითვლება პოლკი, გამოყოფილი ბათალიონი, არტილერიის პოლკი ან დივიზიონი. სამსახურებიდან - კი საოლქო გოსპიტალი, შემაიარაღებელი

პარკები, საინტენდანტო საწყობები და სხვა. ყველა ზემო აღნიშნული პატარა ერთეულები, თავიანთ მხრივ შეადგენენ საადმინისტრაციო ერთეულებს ე. ი. იმისთანას, რომლებიც ყოველივე მარაგს ჯარისათვის იღებენ თავიანთ ტაქტიკურ უფროსებისაგან, სამხედრო ან საოლქო ტერიტორიალურ ხელისუფლებისაგან ან და ცენტრალურ სამხედრო დაწესებულებისაგან და მათ წინაშე არიან პასუხისმგებელნი, ყოველივე მიღებულ თანხების თუ მატერიალურ საგანთა ანგარიშების გასწორებაში. რას წარმოადგენს დიდი ერთეულები? დიდ ერთეულებად ითვლება იმ გვარი ერთეულები, რომელნიც შესდგებიან სხვა და სხვა დარგის მებრძოლ იარაღიდან და მათ დამხმარე სამსახურებიდან (მაგ. ქვ. ჯარის და არტილერიის პოლკებიდან, ცხ. ჯარის და არტილერიის პოლკებიდან).

დიდი ერთეულები განიყოფებიან: ტაქტიკურ, ოპერაციულ და სტრატეგიულ ჯგუფებად.

ტაქტიკურ ჯგუფად ჩაითვლება იმისთანა დიდი ერთეული, რომელშიაც შედის განსაზღვრული მუდმივი რიცხვი პატარა ერთეულებისა, როგორც იარაღისა, აგრეთვე სამსახურებისა და რომლების დანიშნულებაც არის ბრძოლის წარმოება (ორგანიზაცია) და ამ ერთეულში შემავალ პატარა ერთეულების მოქმედების შეთანაბრება, როგორც იარაღისა, აგრეთვე სამსახურებისა. ამ გვარ ტაქტიკურ ერთეულებად ჩაითვლება ქვეითა ან ცხენოსან ჯარის დივიზია.

ოპერატიულ ჯგუფად (ან ზოგიერთ სახელმწიფოში ოპერაციულ ჯგუფის მაგიერ არსებობს კორპუსი) ჩაითვლება იმისთანა დიდი ერთეული, რომლის შემადგენლობაში შედის ცვალებადი რიცხვი ტაქტიკურ ჯგუფებისა ან და კიდევ დამოუკიდებელი პატარა ერთეულებისა, როგორც იარაღისა, აგრეთვე სამსახურებისა და რომლების დანიშნულებას შეადგენს მანევრის მოწყობა (ორგანიზაცია) ე. ი. დანაწილება ამოცანებისა და მათი მიმართულებისა, იმ დიდ ერთეულებისათვის, რომლებიც შედიან ამა თუ იმ საოპერაციო ჯგუფში.

სტრატეგიულ ჯგუფად ჩაითვლება იმისთანა უდიდესი ერთეული, რომელიც იმყოფება მთავარ სარდლის განკარგულებაში და თავის შემადგენლობის წყალობით შეუძლია სრულებით დამოუკიდებლად აწარმოოს ბრძოლები, თავის შემადგენელ საოპერაციო ჯგუფების (კორპუსების) საშუალებით.

ორ ან რამოდენიმე ჯგუფი საოპერაციო ან და კიდევ დამოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებლად მომქმედი დივიზიები, მათ გარეშე მყოფ ფორმაციებით, შეადგენენ არმიას (ლაშქარს). არმია შეადგენს უდიდეს ერთეულს ომიანობის დროს, თუმცა მსოფლიო ომის დროს არსებობდენ კიდევ უფრო დიდი ერთეულები — არმიათა ჯგუფი.

5. **საბჭოდრო მინისტრის და გენერალური ინსპექტორის კომპეტენციები.** ყველა სახელმწიფოში შეიარაღებულ ძალთა უზენაეს მბრძანებლად, რესპუბლიკანურ წესწყობილებით, პრეზიდენტი, და მონარქიულში-კი — მეფე ითვლება. მაგრამ, თითქმის არასოდეს, არც პირველი და არც მეორე, ომის დროს, მთავარსარდლის თანამდებობას არ ასრულებს, მცირე გამონაკლისის გარდა; ამიტომაც, მშვიდობიანობისავე დროს, არის აღნიშნული ერთი-ერთი დამსახურებული და გამოცთილი გენერალთაგანი ამ თანამდებობისათვის, რომელიც მშვიდობიანობის დროს ასრულებს შეიარაღებულ ძალების გენერალურ - ინსპექტორის თანამდებობას და მის მოვალეობას შეადგენს ჯარის ომისათვის გაწრთვნა და მომზადება. მისი კომპეტენცია და მსახურებითი დამოკიდებულება, სხვა და სხვა სახელმწიფოში, მეტ-ნაკლებობით განსხვავებულია და დამოკიდებული იმაზე, თუ რა უფლებებს აკუთვნებს მას თვით სამხედრო ორგანიზაცია შეიარაღებულ ძალებისა, ამა თუ იმ სახელმწიფოსი. ზოგიერთ სახელმწიფოში, შეიარაღებულ ძალების გენერალურ - ინსპე-

---

*) უმაღლეს სარდლობის ორგანიზაციის საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ოფიციალურ სახელს ატარებს მშვიდობიან დროში მთავარსარდლად განწესებული პიროვნება. ცხოვრების კანონი ერთია: ომის წარმოება მოითხოვს სახელმწიფოს ცხოვრების ყველა მხარეთა დაჭიმვას და მომზადებას; ბუნების წესით ომის წარმოებას მხოლოდ ერთი პიროვნება უნდა განაგებდეს. ეს პიროვნება ომის წინვე უნდა იყოს დანიშნული. ომს მშვიდობიან დროშივე უნდა მომზადება — ეს იმან უნდა მოამზადოს, ვისაც სახელმწიფო აკისრებს ომის წარმოებას და ამის პასუხისმგებლობას; ამ მძიმე ვალდებულებას სათანადო უფლებები სჭირია მშვიდობიან დროშივე. ეს საკითხი სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა სახით არის განხორციელებული, მაგრამ სახელების და სახის განსხვავებათა მიუხედავათ, შინაარსი ყველგან იგივეა: მას, ვინც ომი უნდა აწარმოოს, ამის მომზადების საშუალებაც უნდა ჰქონდეს.

(რედაქცია)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კტორი სამხედრო მინისტრს ექვემდებარება*). ამ გვარ დაქვემდებარებას შეუძლია ზიანი მოიტანოს, ამისათვის შექმნილია სპეციალური სამხედრო საბჭო, რომლის წევრებად ითვლებიან სამხედრო პირები, რომლებიც სამსახურობრივ თვით გენერალურ - ინსპექტორს ექვემდებარებიან; თავჯდომარეობს-კი, უმეტეს ნაწილად, თვით სამხედრო მინისტრი; დადგენილება საბჭოსი, სამხედრო მინისტრისათვის სავალდებულოა. ამ გვარად, იმ სახელმწიფოებშიაც-კი, სადაც გენერალ - ინსპექტორი სამხედრო მინისტრს ექვემდებარება, გენერალურ - ინსპექტორს ეძლევა შეძლება, სამხედრო საბჭოს შემადგენლობის საშუალებით, თავისი დეზიდერატი (მოსაზრებანი) გაატაროს შეიარაღებულ ძალების გაწრთვნა - მომზადების საკითხებში და სამხედრო მინისტრს უკარნახოს, რაც მას საჭიროდ მიაჩნია ომის მოსამზადებლათ. ამიტომაც, ყველა სახელმწიფოებში, რესპუბლიკანურია ის ,თუ მონარქიული, ჯარის გაწრთვნა - მომზადებაში გენერალური ინსპექტორია პასუხის მგებელი. რაც შეეხება სამხედრო მინისტრსა, ის ითვლება მხოლოდ გამგედ, ადმინისტრატორად იმ სახელმწიფოებრივ ქონებისა, რომელიც შეიარაღებულ ძალების განკარგულებაში იმყოფება და თეორიულ უფროსად შეიარაღებულ ძალებისა მშვიდობიანობის დროს, როდესაც არავითარი სამხედრო ოპერაციები არ სწარმოებენ. მას არ ეკუთვნის ამ ოპერაციების დროიდან გამომდინარე ბრძანებლობა (სარდლობა), არამედ მხოლოდ გამგეობა სამხედრო საქმეებისა.

ომიანობის დროს სახელმწიფოს მთელი ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა: სამხედრო მოქმედებით მოცული სივრცე, სადაც მთელი ძალაუფლება მთავარსარდლის ხელშია; ის აწარმოებს ყოველივე სამხედრო ოპერაციებს და მოითხოვს ყოველივე მასალას და ძალებს მის საწარმოებლად. და, მეორე-კი, სამხედრო მოქმედებას დაშორებული სივრცე, რომელიც ექვემდებარება სამხედრო მინისტრს, და რომლის მოვალეობას შეადგენს, სამხედრო მოქმედებით მოცულ სივრცეში, მომქმედ ჯარების შევსება და აგრეთვე ყოველივე მისთვის საჭირო სამხედრო მასალების მიწოდება. აქვე ხდება გაწრთვნა ჯარისა. მთავარსარდლის განკარგულებაში მყოფი ტერიტორია, თავის მხრივ, დანაწილებულია საოპერაციო და საეტაპო სივრცეთ. მთავარსარდლის სივრცის რაოდენობა დამოკიდებულია სამხედრო ოპერაციებისაგან, რომელიც შეიძლება ოპერაციების და მიხედვით შემცირდეს ან გაფართოვდეს...

აქ ძლიერ ზერელედ და ზოგადად შევეხე ჯარის ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითად საფუძვლებს. საჭიროა, ამ სიკითხზე, რაც შეიძლება ხშირად და უფრო ვრცლად იწერებოდეს, რომ შეიქმნას საღი შეხედულება მომავალ ჩვენი ჯარის ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე, როგორც მხედართა, აგრეთვე საერო წრეებში. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ საერო წრეები სათანადოთ არ იქმნენ მომზადებულნი, ჩვენ და მათ შუა ყოველთვის იარსებებს განსხვავება ჯარის ორგანიზაციის შექმნის საკითხებში, რაც ძლიერ ხელს შეგვიშლის მძლავრ ჯარის შექმნაში, დამყარებულს საღ და სწორ საფუძვლებზე. მმართველ წრეებმა უნდა დაგვეთანხმონ, რომ ჯარის მოწყობაში, უპირველესად ყოვლისა, მხედრები ვართ, როგორც დაინტერესებულნი, ეგრეთვე პასუხის მგებელნი. საჭიროა მეტი ნდობა და თანამშრომლობა ჩვენ შორის, რასაკვირველია, თუ გვსურს დამოუკიდებლად არსებობა.

**ბი — ნა ქუ — ძე**

---

## ცხენი

### ცხენთა ჯიში.

(გაგრძელება)

ჯიშს ვუწოდებთ, ამა თუ იმ ხარისხის ჯგუფს, რომელნიც ჩამომავლობით ნათესავნი არიან.

ერთი ჯიშის ჩამომავალთ აქვთ ერთმანეთის მსგავსება შინაგან თვისებათა და ხასიათის. რადმენადაც ჯიში ძველი და მაგარია, იმდენად ეს თვისებები მაგრად და აღმოუფხვრელადაა დამტკიცებული ამა თუ იმ წარმომადგენელში. სხვა და სხვა ჯიშთა შექმნაზე გავლენა ჰქონდა და აქვს სხვა და სხვა მოვლენებს, როგორც მაგალითად ჰავა, ნიადაგი და საკვები.

ჯიში არის ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი ჯიში არის ის ჯიში, რომელიც არ გარდაქმნილა პირველ შექმნის დღიდან და რომელსაც შერჩა პირველყოფილი ხასიათი უცვლელად; ხოლო ჯიში კულტურული ანუ ხელოვნური — ნაყოფია ადამიანის გონები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა. დამახასიათებელი წარმომადგენელი ბუნებრივი ჯიშისა არის მანჯურიის ცხენთა ჯიში, ხოლო ხელოვნური ანუ კულტურულისა კი სავსე სისხლის ინგლისური ცხენი, ე. წ. „ფუულბლად"-ი.

არიან ცხენები კარგი მოდგმის ანუ ჯიშიანები, რომელთაც აზნიანს ვუწოდებთ, მეორეხარისხოვანთ — უჯიშოს ანუ უაზნოთ ვუწოდებთ — უაზნონი. გარდა ამისა ვყოფთ ცხენებს სისხლიან და უბრალო ხარისხებზე. ამნაირად: ერთი გაყოფვა იქნება — **აზნიანი** და **უაზნო,** მეორე კი **სისხლიანი და უბრალო.** მაგალითად, ცხენი აზნიანი ანუ ჯგუფი აზნიანთა წარმოსდგება წმინდა სისხლის არაბული ცხენებიდან და ინგლისური სავსე სისხლის „ფოლბლუტებისაგან", ან და როგორც ამ ორი ჯიშის სისხლთა შერევის ნაყოფი. უაზნოთა ჯგუფის ცხენები კი არიან ისეთნი, რომელთა ძარღვებში აზნიან ცხენთა სისხლის ნაწილი არ არის ნარევი.

სისხლიანს ვუწოდებთ ცხენთა იმ ჯგუფს, რომელთა ხასიათზე ან გამომეტყველებაზე ზეგავლენა იქონია ჩამომავლობითი მსგავსებამ (მაგ. წინაპართა მსგავსება რომელიმე ხარისხოვანი თვისების მხრივ), უბრალო ანუ უსისხლოს ვეძახით ისეთ ცხენს, რომელშიაც სპეციალური ვარგისობის და მემკვიდრეობითი მსგავსების ხარისხებს ვერ ვპოულობთ. მემკვიდრეობა — ბუნების კანონია, რომლის მიხედვით ერთი ჯიშის წარმომადგენელი მეორესთან შეერთების დროს (ერთი და იმავე ჯიშის) თავის მსგავს ნაყოფს გამოსცემს. შეიძლება, ერთ და იმავე მშობლებმა მოგვცენ რამოდენიმე ნაყოფი, რომელთა შორის არც ერთი არ იქნება მშობელთა მსგავსი, არც გარეგნულად და არც თვისებებით; მხოლოდ თუნდაც მე-10 ან მე-15 თაობაში მსგავსება მაინც გამოჩნდება. შეიძლება აგრეთვე მოხდეს წინაუკმოდ, ე. ი. ჯიშის რამოდენიმე ნაყოფი იქნება ძალიან მსგავსი, მხოლოდ ერთი კი დაიბადება ისეთი, რომ მშობლებს არაფრით არ დაემსგავსება. ავიღოთ ღირსებიანი ჯიშის ცხენი ე. ი. აზნიანი და სისხლიანი, მაგალითად, ვაყა (ულაყი) არაბის სისხლისა (წმინდა) რომელსაც არავითარი სხვა სისხლი არა აქვს შერეული და აღვნიშნოთ რიცხვი „1" (მივიღოთ ერთეულად); ავიღოთ ფაშატი უბრალო ან უაზნო, რომლის სისხლის სივარგეს აღვნიშნავთ „0". ამნაირად 1 + 0 გამოხატავს მათი სისხლის შერევას; ამ შემთხვევაში შვილის (ნაყოფის) სისხლი აღინიშნება 1 + 0 : 2-ზე =1/2, ე. ი. კვიცი იქნება ნახევარ ღირსების სისხლიანი. თუ რომ წმინდა სისხლის მამისაგან და 1/2 სისხლიან დედისაგან მივიღებთ კვიცს, იგი აღინიშნება 1 + 1/2 : 2 = 3/4. შემდეგი შეერთება წმინდა სისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და 3/4, მოგვცემს 1 + 3/4 : 2 =7/8; თუ რომ გავაგრძელებთ ასეთი მეთოდით, მივიღებთ — 1 + 7/8 : 2 = 15/16; და ასე იქნება, სანამ არ მივაღწევთ მნიშვნელში რიცხვს 64. ამ რიცხვზე შორს ვეღარ წავალთ, რადგან, თუმცა სისხლი ძალიან გაიწმინდება, პატარა ნაწილი "0" სისხლისა, მემკვიდრეობითი კანონით, მაინც შერჩება.

გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, მცენარეულობა, კანონმდებლობა, რწმენა, ჩამომავლობა, ადათ-ჩვეულება და კულტურული განვითარება, მიზეზია იმისი, რომ დედამიწის ზურგზე გვყავს ცხენთა მრავალი ჯიში. დღევანდელი ჯიშების დედა არის არაბული ჯიში, რომლისაგანაც წარმოიშვა ყველა ღირსებიანი ჯიშები. არაბი არის უძველესი ჯიში და ამიტომ ყველაზე უადვილესად ვღებულობთ იმის დადებით მხარეებს ჩამომავლობაში. 1 ლიაბი 15 საუკუნის ქრ. წინ სწერს ამ ცხენების ისტორიას. იგი დაწვრილებით მოგვითხრობს ყოველივეს და ამიტომაც ამ ჯიშის არსებობას იმ დროიდან ვღებულობთ. არაბი განსაკუთრებული თვისებებით არის დაჯილდოვებული; არაბი არამც თუ არაბეთში იცავს თავის თვისებებს, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ასეთი იყო მაჰმადის დროს და ასეთია დღესაც. პლინიმ აგვიწერა (114 წ. ქრ. შ.) ე. წ. „ჰისტორია ნატურალის"-ში, როგორ მოშენებითი გზას ადგენ ამ ხანაში უდაბნოდ მოხეტიალე ერები სირიაში, არაბეთში და მცირე აზიაში. კვიცების წრთვნა 2 წლიდან იწყებოდა; იმართებოდა აგრეთვე მრავალი დოღები. პართები უნდა მივიღოთ პირველ კულტურულ მეჯოგეებად და ცხენთა მომშენებლადო, ამბობს პროფ. ზემერი, დორპატ, 1892 წ.); უძველესი ჰიპოლოგია დაწერილია 785 წ. არაბულად აბდალაი-ბენ-მასუდ-ის მიერ, რომელსაც „ჯიშის წიგნი" ჰქვია. შჩერბატოვი ამტკიცებს, რომ არაბულ ცხენთა ჯიში იწყება იმ ფაშატიდან, რომელიც უდაბნოში დაიჭირა ისმაილმა, აბრაჰამის შვილმაო. (ასევე ამტკიცებენ ბედუინები თავიანთ ლეგენდებში). ამ ფაშატმა დაბადა შვილი (ფაშატი), რომელიც ტომარაში ჩასვეს და აქლემზე შეჰკიდეს და ამიტომ ძვლები დაემრუდაო. ამ მრუდე ფაშატმა რამოდენიმე კვიცი მოგვცა; ცხენთა ამ ტოტს „ბანატ — ელ — ახუადჯ"-ი ეწოდება (მრუდეს შვილები) და არაბთა ჯიშის დასაწყი' წარმოადგენს. არაბთა ჯიში რამოდენიმე ნაწილად იყოფა. საერთოდ შემდეგ ჯიშებს ვარჩევთ:

„ 1. მანჯურიის ცხენები, გადაუგვარებელი,

2. მონგოლ — ყირგიზული, გადაუგვარებელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ისპანური ჯიში, რომელიც წარმოიშვა ძველი იბერიის და მავრთა ცხენების სისხლის შერევით.

4. ნავარის ჯიში, რომელიც აგრეთვე წარმოიშვა და რომელსაც სისხლის დიდი ნაწილი გალის ცხენსა აქვს. ეს ორი ჯიში დიდი ხნის განმავლობაში ეტოქებოდა ერთმანეთს; როდესაც ისპანური ჯიში დამცირდა, მაშინ ძლიერ მრავლება ნავარის ჯიშმა დაიწყო. გენრიხ მეოთხე ამ ჯიშის ცხენებით ნადირობდა. ისტორია ამბობს, რომ ეს ჯიში ისეთი ძლიერი და ამტანი იყო, რომ ნადირს რო მისდევდა, ნადირი ვერ უძლებდა ასეთ სირბილს და ფენთხი უსკდებოდაო.

5. ლიმუზინის ჯიში, რომელსაც ძველად დიდი ფასი ჰქონდა (და დღესაც ჰყავს საფრანგეთს). ნაპოლეონის ჯარი უმთავრესად ამ ჯიშის ცხენებზე იჯდა. თვით ნაპოლეონი იენის ბრძოლის დროს ამ ჯიშის ცხენზე იჯდა; ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ ეს ცხენი 6 წელიწადის განმავლობაში ინახებოდა ვერსალის მანეჟში, საიდანაც შემდეგში დიდათ მოხუცი და დამსახურებული ცხენი გაგდებულ იქმნა.

6. სიცილიის ჯიში, რომელიც წარმოიშვა მავრის და სირაკუზის ჯიშთა ნაშთიდან.

7. რომაული ჯიში, რომელიც წარმოიშვა თავისუფლად მრავალ ჯიშთა შერევის წყალობით. რომაელების გართობებში დიდ მონაწილეობას იღებდა იგი; ჰიპიკური შეჯიბრებანი ამ ცხენთა წყალობით გავრცელდა.

8. ნეაპოლიტანიის ჯიში — მოქნეული ცხენები და კარგი სახედნი.

9. მანტუანის ჯიში, დიდათ პოპულიარული მე-16 და მე-17 საუკუნეებში.

10. პადევის ჯიში, რომელიც ჩორთით იყო ცნობილი; პადევის კორსოში მონაწილეობას ღებულობდენ ჩორთულ დოღებში.

11. სამხრეთ გერმანეთის ჯიში, რომელთა შორის ცნობილია ე. წ. ვირტემბერგისა.

12. უნგრული ჯიში, რომელიც წარმოიშვა მონღოლთა და თურქული ცხენთა ჯიშების ნიადაგზე.

13. პოლონური ჯიში, რომელიც წარმოშობილია ძველი ვანდალების და დაკების ცხენთა სისხლის ნარევით და გამაგრდა და ძირი გაიდგა ძველ პოლონეთში. ამას დაემატა თურქული და არაბული სისხლის შერევა, რამაც დიდათ ასწია ღირსება და ხარისხი ამ ცხე-

ნებისა. დღეს ეს ჯიში გადაგვარდა თითქმის სრულებით, მაგრამ პოლონელები ძალიან ცდილობენ აღადგინონ იგი. კრაკოვის ახლო, ნახეს ერთი ფაშატი, რომელიც აღმოჩნდა ძველი პოლონური ჯიშის და ამის წყალობით ცდილობენ აღადგინონ. უნგრელები და გერმანელები მრავალ ცხენებს ყიდულობდენ პოლონეთში, რის წყალობითაც უნდოდათ პოლონური ჯიშის მოშენება, მაგრამ პოლონელებმა აკრძალეს და სოფლად ნაყიდ ცხენების გაყვანა საზღვარგარეთ არ შეიძლება. ნებადართულია გაყვანა მხოლოდ არაბულ ან ინგლისურ ცხენებისა, ან და უნგრეთისა სასაკლაოებზე.

14. თურქული ჯიში, რომელიც წარმოიშვა აღმოსავლური ცხენების და ბერძნული ოლიმპიური ცხენთა ჯიშთა შერევით.

15. სამხრეთ რუსული ცხენთა ჯიშები (დონი და უკრაინა), რომელნიც არმორიკანული ცხენთა ნაშთია. ამ ჯიშების წყალობით ევროპას ჰყავს მრავალი ჯიშის ცხენები. ამ ჯიშთა ნაშთია:
ა. პოლანდიური, ბ. ე. წ. ჰარტ-დრაკე, გ. ბელგიური, დ. ჰანოვერის, ე. ბრუნშვის, ვ. შლეზვიგ-ჰოლშტინის, ზ. მეკლენბურგის, და თ. დონის, რომელიც ნიადაგისა და ჰავის წყალობით დამცირდენ გამომეტყველებაში, მაგრამ ძალიან ამტანი და ჯანიანი არიან. ამ ნიადაგზე რუსეთმა შექმნა ე. წ. „ანგლო — დონის“ ჯიში, **რომლის მაგვარი ცხენი ჯარისათვის ჯერ არავის შეუქმნია.**

ჯიშები ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ გადაშენების გზას ადგანან, რადგან არა აქვსთ არავითარი დანიშნულება. დღეს ამ ჯიშთა მოშენებას არავინ მისდევს, რადგან წინად ეგონათ, რომ თუ ცხენი მძიმეა და დიდი, ძლიერი არისო, რაც სიმართლეს მოკლებულია.

16. ყარაბახული და კავკასიის ჯიშები, რომელნიც წარმოიშვა სპარსულ და კაპადოკიურ ჯიშთა შერევით, დიდათ ნაფასი და სავარგისი ცხენები იყვნენ, მაგრამ ვინაიდან ვაყებს (ულაყებს) არ აქცევდენ ყურადღებას და რიგიან წესს, ,ამიტომ წახდა და გაფუჭდა, რის გამოც დიდი ხანია გადაგვარების გზაზე ადგია.

ამ ჯიშთა ცხენები დიდი ჭკუის პატრონნი იყვნენ, ამტანი მრავალი ვაი ვაგლახისა, მუხლ მარდი, ჯან ღონიერი, გამგე, თვინიერი და ადვილი სახედნი.

17. პრუსიის ჯიში, რომელიც კარგი ხარისხისა იყო, წარმოიშვა ადგილობრივ და არაბული სისხლის შერევით.

18. ბულონის ჯიში, ჰოლანდიისა.

19. პერშერონის ჯიში, რომელიც ძალიან ლონიერია. ხოლო შებმაში.

20. ნორმანდიული ჯიში, დღეს არა მნიშვნელოვანი, რადგან მხოლოდ შესაბამად ვარგა და არა საცხენოსნოდ.

საფრანგეთში ძველად ჯარს ჰყავდა ეს ცხენები (მძიმე ცხ. ჯარი).

21. პოატვენის ჯიში, რომლის ღირსებამაც ბოლოს ძლიერ აიწია და დაედო ერთგვარი სახე.

22. სუფოლის (ინგლისი) ჯიში = ჰოლანდიასა.

23. კლეველანის ჯიში, რომელიც ინგლისში ცოტაა და მალე გადაგვარდება, რადგან მხოლოდ სილამაზისათვის ინახავენ.

დაგვრჩა ჯგუფი მესამე, რომელთა რიცხვში შედის ფინეთისა და სკანდინავიის ცხენები, ჩვენთვის ცოტად საინტერესო და სპეციალური ჯიში ინგლისური ე. წ. „ფოლბლიუტი" ანუ სავსე სისხლის ცხენები, რომელნიც მთელ დედამიწაზე არიან გაფანტული მრავალი რიცხვით. ე. ი. მოკლედ რომ ვსთქვათ, ნუსხა ზემომოხსენებულისა, იქნება ასეთი: სხვა და სხვა რწმენამ, ადათ-ჩვეულებამ, კანონებმა, ჰავამ, ნიადაგმა, სასმელ-საჭმელმა და ადამიანმა შექმნა ქვეყნად სხვა და სხვა ჯიშის ცხენი, რომელთა სივარგისე ადგილობრივ მცხოვრებთ უნდა დაეკითხოთ და რომელთა მთელი რიცხვი სამ ნაწილად განიყოფება. 1 ნაწილი იქნება მჩატე ცხენები, საუნაგრე ანუ სახედნი, რომელთა რიცხვი 15 მუხლამდე შეიცავს; მეორე ჯგუფი იქნება დიდი, მძიმე და ტლანქი ცხენთა ჯიში, რომელთა რიცხვს კიდევ დავუმატებთ ე. წ. რუსულ ბიტიუგებს და რომელის წარმოშობა არ არის მსგავსი ზემოხსენებულ მძიმე ცხენებისა. საერთო მათი რიცხვი ათამდეა, ხოლო მოკლე დროში სრულებით არ იქნება ქვეყნად ეს ჯიშები, რაზედაც სპეციალურად გვექნება ლაპარაკი. მესამე ჯგუფი ჩრდილოეთ ევროპის ცხენებია.

ყველა ჯიშები არა საინტერესო მასალას წარმოადგენს ჩვენთვის, რისთვისაც გაკვრით მოვიხსენეთ, ვინაიდან ზემოხსენებული ცხენები ჯიშობრივი ხასიათით იყვნენ შემკული. ჩვენ აქ შეკუდგებით მხოლოდ ორი ჯიშის აღწერას ე. წ. არაბულ წმინდა „სისხლისას" და ინგლისური სავსე სისხლის ფულბლადის" აღწერას. ეღეს ყველანი მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ორი ჯიშია სივარგით კარგი; ერთი არაბული, როგორც ძველი და მაგარი ჯიში, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალობით შეგვიძლია მივიღოთ ადგილობრივი კარგი ჯიში და მეორე კი ინგლისური, სავსე სისხლის ჯიში. ქვეყნად არის დღეს მიღებული ეს ორი მთავარი ჯიში, რომლის წყალობით აღსდგება დაგვირგვინებული, ყოვლად გამოსადეგი და სასარგებლო ცხენი. არაბული და ინგლისური სისხლის შეზავებით იქმნება დამახასიათებელი ცხენთა წარმომადგენელნი. მე-18 საუკუნეში რუსებმა შექმნეს ე. წ. მეჩორთენი (რისაკი), რომელიც წარმოდგა მძიმე ჰოლანდური ფაშატების და წმინდა არაბული (ულაყების) მიერ. ეგრეევე წარმოიშვა დიდი სივარგისით ცნობილი ჯიში პრუსიული, რომელიც შექმნილია ბალტიის ზღვის ნაპირას მყოფი შავი ფრეზების (ფაშატები) და სავსე სისხლის შერევით.

## ჯიშის მნიშვნელობა

ზემოხსენებულიდან ვიცით, თუ რა არის ჯიში. ყოველ ჯიშს აქვს თავისი ხასიათი, რომელიც გამოიხატება გარეგნული აგებულობით, ტანადობა-კოპწიაობით, თავის მოყვანილობით, ფეხის სილამაზით და შემდეგ კი შინაგანი დადებითი ან ნაკლულოვანებით მხარეებით, როგორც არის ხასიათი (თვინიერება ან ავობა), ჭკუა ან უგუნურება, სისწრაფე, ერთგულება ან სიზარმაცე, მიჩვევა, ჯიუტობა და სხვა. შემდეგ კი ფილტვი, გული, ხერხემალის აწყობა და სიგრძე, თავის და ყბების სიმსხო ან სიხმელე და სხვა მრავალი თვისებანი, რომელთა მიხედვით შეფასდება ცხენის ჯიში, სავარგისია თუ არა. მემკვიდრეობითი თვისებების გადაცემას ჯიშში ჯიშის ურყეობას ან სიმაგრეს ვუწოდებთ. ე. ი. ვხედავთ ერთ და იმავე გვარის თვისებას მშობელში და ნაშურში. თუ ავიღებთ ორ სქესს, რომლის ნაყოფიც გვინდა მივიღოთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ვაყას (ულაყს), რადგან ძლიერია ფაშატზე და ასეთი ვაყის (ულაყის) თვისებანი ექნება ნაშურს. რა თქმა უნდა, ფაშატს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც ვაყას. თუ რომ დედის მამა, მაგალითად, კარგი იყო ყოველ მხრივ, მაგრამ ავი, დედა ავია, თითქმის დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ნაშიერიც ავი იქნება, თუ გინდ რომ მამა ძალიან თვინიერიც იყოს. ე. ი. კვიცი მამას ჰგავს თვისებებით უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ ხშირად არის, რომ კვიცს აქვს დედის დადებითი ან ნაკლულოვანი თვისებანი. თუ რომ კვიცი არ ჰგავს არც დედას, არც მამას, მაშინ ვნხავთ სიმსგავსეს პაპისა, დედისა ან მამის საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზევით ვსთქვით, ყოველივე ეს დამოკიდებულია ჯიშის სიმაგრეზე. ისიც ვსთქვით, რომ ორი ჯიშია უმაგრესი — არაბი და ინგლისელი. დღეს ისე დახელოვნდა ადამიანი, რომ ჰქმნის ცხენს ისეთს, როგორიც მას სჭირდება სიდიდით ან ხასიათით, ვინაიდან ვაყათა არჩევა ადამიანის ხელშია. იმის და მიხედვით, თუ როგორი ნიადაგი აქვს ცხენს, ან და საჭმელი (ქერი, თივა, სტაფილო, იონჯა, ქერის ჩალა), ისეთი ცხენი აგვეზრდება. სადაც კირიანი ნიადაგია და ველი, ჩლიქი კარგია — რბილი და გამძლე, ნოყიერი საჭმელი კვიცს მალე ზრდის და ამაგრებს. სიმინდი და მისი ჩალა, ან კართოფილი და მუდმივი მწვანე ბალახი ცხენს ძალას აძლევს.

გერმანელი მიწის მუშები ცხენებს კვებენ კარტოფილით და ჭარხალით, ხოლო ჩალის მაგივრად ნეშოს უფენენ. რა თქმა უნდა, ასეთი კვებით ცხენი ძალლონეს ვერ მოიპოვებს. კვიცი უმეტესად იბადება დიდი თავიანი და გრძელი ფეხით, ხოლო კარგი კვებით 90 პროცენტ შემთხვევაში, შეიძლება ეს ბუნებითი ნაკლულოვანება გავასწოროთ. ამის ამოფხვრა შეიძლება კარგი კვებით, კარგი ქერით, თივით, სტაფილოთი და სხვა. თუ რომ კვიცობაში ამას ყურადღება არ მივაქციეთ, ცხენი სამუდამოდ წახდება. კვიცები, რომელნიც თავლაში იზრდებიან, ჭკვიანი და გამგე არიან, მაგრამ იმდენი ძალა და ღონე არ აქვთ, როგორც კვიცებს, რომელნიც ველად იზრდებიან და დარბიან დილით საღამომდე. დღეს ინგლისელი დიდი მეჯოგენი, მხოლოდ ქერის საჭმელად მორეკენ ხოლმე კვიცებს თავლაში და დანარჩენი დრო კი გარეთ არის ცხენი, ე. წ. „პადლოკ"-ში, სადაც დარბის. ასეთ თავისუფლებაში აღზრდილ ცხენს, აქვს მაგარი ძარღვი, მსხვილი ძვალი და რბილი ჩლიქი. ჯიში, რომელ შრომას ეწეოდა, ნაშურს იმავე თვისებებს გადასცემს. მაგალითად, შესაბამი ცხენის შვილი, იმავე თვისებით იქნება დაჯილდოვებული და დღისათვის ასეთი ცხენი არ გამოდგება.

ჰაერი მშრალი და თბილი მოგვცემს ცხენს ნაზი თმისა და დიდი ღონის და ძალისას, თუმცა დიდი ტანის არ იქნება. ცივი ჰავა ცხენს აჯილდოვებს დიდი ბალნით, ეზრდება წვერი და ქაჩაჩში ფოჩი, მუცელზე აქვს დიდი ბალანი. ცხელი ქვეყნის ჰავა არ იძლევა ცხენების მოშენების საშვალებას. ჰინდოში ინგლისელებს ცხენები ვერ მოუშენებიათ, მიუხედავად დიდის ცდისა. ნოყო ადგილი გვაძლევს ტლანქს და დიდი ჩლიქის მქონე ცხენს. მთაგორიანი ადგილი გვაძლევს ცხენებს პატარა ტანისა, მაგარი კუნთის, დიდი ძალღონის, დაქნილს, ამტანს დ კოპწიას, მარდს და კარგი ტანის მქონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსელები ამბობენ, რომ მთის ჰაერი კარგ ცხენებს გვაძლევსო. უდაბნო გვაძლევს თვინიერს, საშვალო ტანის ცხენებს. ყარაბახული ცხენი ვერ გაასწრებს ვერავითარ უდაბნოს ცხენს, ხოლო მთის დაკლაკნულ გზებზე, ყარაბახულ ცხენს ვერავითარი უდაბნოს ცხენი ვერ შეედრება სისწრაფით. მთის ცხენები კოჭ-დაბალი არიან, რაც სიმარდის და ძალ-ღონის დამამტკიცებელი საბუთია. პატარა ტანი, მოკლე ხერხემალი, თხელი კისერი, პატარა თავი და ფართე შუბლი (ჭკვიანობის დამამტკიცებელი*)), ვიწრო და კოხტა ჩლიქი, ფართე ფენთხი, თვინიერი და ლმობიერი, — აი თვისებები მთის ცხენისა. უდაბურ ცხენს ვიწრო ხერხემალი აქვს, კისერი გრძელი, ფეხი მაღალი და ჩლიქი მოფართო.

როგორც ზევით ვთქვით, ჯიში არის ღირსებიანი (აზნიანი) ან და უაზნო. მშობლების სისტემატიური შერჩევა მოგვცემს პირველს, ხოლო ჰავა, ნიადაგი და საჭმელი, ადამიანის უყურადღებოდ, მოგვცემს მეორეს. ჯიშის შეურყევა როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ხანია, რაც ჩამომავალს დაუმკვიდრებია ჯიშის თვისება ე. ი. თუ დიდი ხანია, ძნელია აღმოფხვრა თვისებების, ხოლო თუ ცოტა ხანი — ადვილია. ცხენის ღირსებას ამტკიცებს არაბული ცხენის სხვა და სხვა მოწმობები და მშობელთა ისტორია, ხოლო ინგლისური ჯიშისა კი ე. წ. (სტად ბუკ) ცხენთა ჯოგის წიგნი. დამახასიათებელი თვისებანი ღირსებიანი ცხენის ჯიშისა არის გამოკეთებული და მოკვარახჭინებული სხეული და შეხმატკბილებული ასოები, მოხდენილი და ლამაზი ფეხი კოხტა ჩლიქით, თავი ხმელი და უხორცო, თოთო და ნაზი კანი, ნაზი ბალანი, ფართე და წყლიანი თვალი, ცოცხლად მოთამაშე, კოპწია ყური, ძარღვი კანის ქვეშ მოსჩანს, ფაფარი აბრეშუმის და ძუა უებრო, ხერხემალი მოკლე და ფართე, წინა კუნთი ფართე და პრტყელი, უკანა კუნთი დაბალი, კოჭი დაბალი, მკერდი ფართე, ბეჭი ფართე და ნაქანი, მოსართავი დიდი, ფენთხი ფართე უკანალი კოპწია და დაქანული, ნესტო ფართე, ცხვირი ლამაზი და კოპწია, კისერი თხელი და გრძელი. ეს არის გარეგნული თვისებები, ხოლო შინაგანი თვისებანი ანუ ორგანიული არიან: დიდი სიმჩატე, სიცქვიტე, დაქნევა, გამბედაობა, ძალღონე, გონიერება, დიდი მარდობა და თუ საჭიროა მთელი ღონის ხმარება. ერთი სიტ-

---

*) ვიწრო შუბლის მქონე ცხენი რეგვენია და ძნელი, ისე როგორც ადამიანი.

ყვით დაუზოგველი არის და ბეჯითი. აქვს დიდი გული და ფილტვები.

უაზნო ჯიში ანუ უბრალო არის უხეში, ბევრი ხორცი აქვს, პატარა თვალი, უკეკლუცო, მძიმე სხეულის პატრონი და ან მეორე უკიდურესობაში გადადის და აქვს ნაკლული ხორცი და მცირე სხეული. ერთი სიტყვით უჰარმონიო არის მრთელად, რომელთაც დაქანცული გამომეტყველება აქვთ. როდესაც ვირჩევთ რომელიმე ჯიშს, და გვინდა მისი მოშენება, ორ მოვლენას უნდა მივაქციოთ ყურადღება: 1. ამორჩევის მეთოდს და 2. სისხლის შერევას, ან ჯვარედინობას. პირველი დამყარებულია ვაყების (ულაყების) ამორჩევაზე, მეორე კი ფაშატებისა. ძველი ჯიშის თუ არის ცხენი, მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ თვისებათა აღმოფხვრისათვის და ძლიერი სისხლით უნდა დავუწყოთ ბრძოლა, მაგრამ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აქ ვაყებს, რადგან შეიძლება ფაშატების სამუდამოდ დაბელნება — და სახელმწიფოსათვის დიდი ზარალი ექნება.

ამორჩევითი მეთოდით ჯიშის შექმნას დიდი მოთმინება უნდა და დიდი ხანი, ვინაიდან ძნელია შეერთება ერთ კვიცში ყოველივე თვისებათა კრებულის და კარგი ხარისხების.

ამორჩევითი მეთოდი თუ სუფთაა ან და მშობლიური საუკეთესოდ მიგვიყვანს მიზნამდე, თუ რომ გვინდა ჯიშის გადაკეთება სრულებით, ან და რომელიმე თვისების აღმოფხვრა, ამ შემთხვევაში ეს მეთოდი შეუცდომელია, მაგრამ პიროვნება, რომელიც ამას ასრულებს, დიდი გამოცდილების უნდა იყვეს და კარგი მცოდნე.

თუმცა ძველი ჯიშის ბრძოლაში მედგარ მეთოდებს ვღებულობთ, მაგრამ ბრძოლის შედეგს ადვილად დავინახავთ კვიცის ხასიათში. ეს უკვე შესამჩნევი იქნება მეორე ან და მესამე თაობაში და ძალიან იშვიათად პირველში.

არმორიკანულ ცხენების შავი ფერი ზემოხსნენებული მეთოდით ძალიან მალე გადააგვარეს მეჯოგეებმა წაბლის ფერზე, მაგრამ ამოჩრილი ხერხემალი, ჩამოკიდებული უკანალი, კუზიანი ცხვირი და რბილი ძვალი ვერ გადააგვარეს ვერას გზით.

მეორე ანუ ჯვარედინობის მეთოდი არის, როდესაც სხვა და სხვა ჯიშის მშობლებს ვღებულობთ და იმათი ნაშთი იქნება 1/2 სისხლიანი და წავა იმ რიცხვითი მიხედვით, რომელიც ამ თავის დასაწყისშია მოყვანილი. მეთექვსმეტე ნაშური იქნება 62/64, მაგრამ იძის ნაშური სავსე სისხლის ე. ი. (64/64) არასოდეს არ იქნება.

ხშირად არის შემთხვევა, რომ ასეთი სისხლის ცხენი, (რომელსაც სამუდამოდ რჩება სახელი 1/2 სისხლიანისა) სავსე სისხლის ცხენებისათვის გაუსწრია და დოღი მოუგია, მაგრამ ეს კანონი არ არის, რადგან რომელიმე წინაპარის თვისებანი უნდა დაემკვიდრებია. ინგლისელები ამბობენ, რომ ოცდამეთორმეტე კვიცს აქვს 1/1. 000. 000. ნაწილი უბრალო სისხლის და მთელ მოდგმას აფუჭებსო. რამდენათაც მართალია ეს დებულება, ძნელია დამტკიცება. წმინდა ან სავსე სისხლის ვაყებს იმიტომ ვლებულობთ, რომ ძალიან მალე გვაძლევს საშვალებას კვიცების გამრავლებისას და იაფია, ვინემ ფაშატების მხრივ, იგივე მეთოდი.

ჯიშები უნდა შეზავებული იყოს ჯვარედინობის დროს, მაგალითად, ინგლისური ჯიში და არაბული მოგვცემს ნაშურს, არაბ - ინგლისელს (ანგლო-არაბს) ან და წინაუკმოდ, იმაზეა დამოკიდებული, თუ ვაყაა არაბი თუ ფაშატი — და მ გვარად უნდა ამორჩევა ჯიშების. ეს ჯიშები ეგუებიან, რადგან ინგლისური ჯიში წარმოიშვა არაბულისაგან. თუ ავიღებთ სავსე სისხლის ინგლისურ ცხენს და ვოლნის ოლქის პატარა ბაჭია ცხენს და შევუერთებთ ე. ი. გავაკეთებთ ჯვარადინს, რა თქმა უნდა, დიდ ხანს არაფერ ჯიშის ფორმას არ მივიღებთ, ხოლო დიდი ხნის შემდეგ გვექნება რაიმე ხასიათის ცხენი, რომელსაც დავარქმევთ 1/2 სისხლიან ინგლისელს, რომლის სისხლი ისე ძლიერია, რომ უთუოდ გაიმარჯვებს. ერთი სიტყვით, ამორჩევითი მეთოდი არის ძალიან კარგი.

ძნელია ვთქვათ დღეს, თუ როგორი ჯიშია საუკეთესო და გამოსადეგი საქართველოსათვის. მდინარეს თავისოდენა კალაპოტი სჭირდება და ამიტომაც უნდა ამოირჩიოს ისეთი ჯიში, რომლის წყალობით გაწრთვნის ახალთაობას და მეურნეობაშიც გამოდგება. საჭიროა ეს საკითხი სათანადო შეგნებით იყოს განხილული, ვინაიდან ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებისთვის და ჯარისთვის. მე ვფიქრობ, რომ დიდი მიდამოების პატრონებმა ხელი უნდა მიჰყონ იმ ჯიშს, რომელსაც „ფოლ ბლიუტი" ჰქვიან, თუმცა დიდი ჯაფაა აქ საჭირო. აქ მთავრობა უნდა დაეხმაროს კერძო პირებს ამ საქმეში, როგორც რეფორმებით, ეგრეთვე დოღებით, თორემ დავრჩებით უცხენოთ, როგორც მუშა, ეგრეთვე ჯარი.

ჯარისთვის შემდეგ ვიქნებით იძულებული ვიყიდოთ ცხენები, რომელნიც შეუჩვეველნი ჩვენი ჰავისა და ნიადაგ - საჭმელისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიხოცებიან ისე, როგორც 1919 და 1920 წლებში. როდესაც გვინდა ცხენის ჯიშის მოშენება უნდა გვახსოვდეს:

1. მშობლები აძლევენ შთამომავლობას გარეგან შეხედულებას და ფორმას, სიდიდეს, ფერს, ძალას, გონიერებას, ხასიათს, სისწრაფეს და მოქნევას ისე, როგორც ავადმყოფობათა თვისებებს — თვალნაკლულოვანებას, ძვლის სისუსტეს და ჩლიქის სიხმელეს.

2. პირველი მუხლის დადებითი ან ნაკლულოვანების მხარეები არა მარტო მშობლებისგან გადადის ნაშურზე, არამედ წინაპრებიდანაც (ატავიზმუს).

3. მამაც და დედაც შვილზე ერთგვარ გავლენის არიან. ამ აზრის არიან მრავალი ნასწავლი და გამოცდილი ინგლისელი მეჯოგენი, ხოლო აბდ - ელ - კადერი ამტკიცებს, რომ დედას მეტი გავლენა აქვსო და მოჰყავს მაგალითად ჯორი, რომელიც ვირს (აზინუს) ჰგავს, რადგან ჯორის დედა ვირიაო. (ეს სადაო საკითხია ჯერჯერობით).

4. რამდენადაც ჯიში ძველია, იმდენად ძნელია ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა.

5. რამდენად ჯიში იმყოფება ამა თუ იმ პირობებში, რომელსაც მიეჩვია, იმდენად ძნელია გადაჩვევა.

6. შეერთების დროს (დამაკებისას) რომელი მხარეც უფრო ძველი ჯიშისაა, ის მხარე მეტი გავლენის მქონეა კვიცზე.

7. თუ მშობლები ერთი და იმავე ჯიშის არიან, კვიცი იქნება წმინდა ან სავსე სისხლისა.

8. თუ კვიცი არ ჰგავს მშობლებს ან მშობელთა წინაპართ, სიკარგე ასეთი კვიცისა საეჭვოა.

9. ფაშატი სიმაკის დროს კარგად ნაჭმევი კარგ კვიცს მოგვცემს, ცუდათ ნაჭმევი — ცუდს.

ა) ვაყას აქვს გავლენა გარეგან გამომეტყველებაზე, ფაშატს — შინაგან თვისებებზე.

ბ) ვაყა აძლევს კვიცს სიფართეს და ფერს, ფაშატი — სიდიდეს და ჭკუას.

გ) ვაყა აძლევს კვიცს წინალს, ფაშატი — უკანალს.

დ) ვაყა კვიცები დედის თვისებებს ითვისებენ, ფაშატი კვიცები კი მამისას.

ე) ფაშატის პირველ დამაკებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან საშვილეზე აქვს დიდი გავლენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოგი და მისი მოვლა

რა თქმა უნდა დღეს სიტყვა არ ითქმის საქართველოში ან და მთელ ევროპაში ცხენების საზღვარგარეთ შეძენაზე. ცხენები სახელმწიფოში უნდა მოშენდენ. როდესაც მეჯოგე შეუდგება ცხენების მოშენებას, ფაშატები სამუშევრად არ უნდა გაუშვას, გარდა ისეთისა, რომელიც მობერწდენ. მაკე ფაშატები დილით საღამომდე ველ-საძოვარზე უნდა დადიოდენ და ქერი, სამჯერ დღეში, მინდორში უნდა მიეცეს. მუშაობიდან უნდა განთავისუფლებულ იქმნან იმიტომ, რომ კვიცი არ მოაგდონ. კვიცები რვა თვის განმავლობაში, დედებთან უნდა დადიოდენ საძოვარზე.

ერთი წლის კვიცები უნდა გავყოთ ორ ნაწილად და გავუშვათ შეღობილში ე; წ. „პადოკ"-ებში. ვაყები ერთად და ფაშატები ერთად, რათა არ მოხდეს სამუდამოდ გაფუჭება კვიცების.

როდესაც უკვე გვაქვს ამორჩეული ჯიში, ვირჩევთ ამ ჯიშის მშობლიურ მასალას. ამორჩევისას ყურადღებას ვაქცევთ შემდეგ ზენაგან და ფიზიკურ მხარეებს: ჰარმონიული მიხვრა-მოხვრა, სწორი ნაბიჯი, მკერდის, ფენთხისა და ფერდის სიფართეს (მკერდის სიფართე = ფენთხის სიფართეს); ფართე მკერდებში დიდი ფილტვებია და დიდი გული. ფართე ფერდსა და ფენთხში კვიცი ფიზიკურად კარგად ვითარდება; ცხენი ავი, ნერვებ-აშლილი, უმადო, მკბენარი, მოწიხლო, ტლანქი და გაუგებარი, საჯოგე მასალად არ არის კარგი. დიდი მკერდის მქონე ცხენს დიდი ფილტვები აქვს. დიდ - ფილტვებიანი ცხენი საკვებს კარგად ინელებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის განვითარებაზე. სხეულის განვითარება დამოკიდებულია ფილტვებზე და ნთქვაზე. დედა, ე. ი. ფაშატი, ჯოგის საძირკველია, და ამიტომაც დიდი სიფაქიზით უნდა იყვეს ამორჩეული ეს მასალა. როდესაც ფაშატები უკვე გვყავს, ვირჩევთ სათანადო ვაყა. ვაყა არ უნდა განსხვავდებოდეს ფაშატისაგან სიდიდით, მაგრამ უნდა იყოს ისეთი ძალღონის, რომ თვისებები თავისი გადასცეს უნდა თავის შთამომავალს. საჯოგე ვაყა უნდა იყოს გამოცდილი ამ მხრივ და კარგად გასინჯული, ე. ი. უნდა კარგად ვიცნობდენთ მის ნაშიერს და ნაშიერის თვისებებს.

ჯვარედინი ანუ ნახტომი არის ე. წ. სისხლის შეერთება ანუ შერევა. ვაყას ნახტომის შემდეგ თუ ფაშატი არ იჩენს ატეხილობას ცხრა დღის განმავლობაში, მაშასადამე, დამაკებულია. ფაშატის ატეხილობას ვხედავთ მთელი წლის განმავლობაში სხვა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, არა მარტო რომელიმე სპეციალურ ხანაში. გაზაფხული არის საუკეთესო ხანა დამაკებისათვის. ფაშატის დამაკება ისე უნდა გამოვიანგარიშოთ, რომ კვიცის დაბადება მარტს არ გადასცილდეს, ხოლო საუკეთესო თვე კვიცისათვის არის თებერვალი. ფაშატი 5 წლის უნდა იყოს რომ დავამაკოთ. 2 წლიდან დოლებში დარბის, ე. ი. 2, 3, 4 წლის მედოლეთ არის, ხოლო 5 წლის კი მიდის ჯოგში. ნორჩი კვიცის ატეხა, კარგი მოვლის და კარგი საჭმელის შედეგია. ფაშატი 22 — 25 წლამდე ბადებს კარგსა და ჯანიან კვიცებს (ცნობილი ფაშატი წმინდა არაბი ოქროს ფერი „ზორკა" 32 წლის იყო და დაბადა დიდებული ვაყა წაბლის ფერი „ასსა — გაი", რომელიც კარგი მედოლე დადგა). ვაყა 20 წლამდე ამაკებს და კარგი მეჯოგის ხელში, კარგ ნაშუოს მოგვცემს. სახელმწიფო ვაყა ე. წ. „ფის დუ ვან" 27 წლის იყო და ამაკებდა და მშვენიერი ნაშიერი დაგვიტოვა. სიბერისაგან მოკვდა 1932 წ.).

რა დღესაც ფაშატი არის დამაკებული, უნდა იქმნეს ჩაწერილი ჯოგის წიგნში, დაბადებისას კი სახელმწიფო ჯოგის წიგნში ე. წ. „სტუდ ბუკ"-ში. ამ წიგნის წერას აწარმოებს მიწადმომქმედი სამინისტროს ცხენის განყოფილება.

ფაშატი რომ მაკეა, დავრწმუნდებით არა მარტო იმით, რომ ვაყას არ მიუშვებს, უნდა გავშინჯოთ შარდი და შარდში თუ კირი აღმოჩნდა, მაკე არ არის, ხოლო თუ არ აღმოჩნდა, მაკეა. ნიადაგი მაკე ფაშატებისათვის უნდა კირიანი იყოს, რათა კვიცი მაგარი ძვლის იქმნეს. სამი თვის შემდეგ მაკობისა, ფაშატი მიზეზიანობს და ერთგვარ საჭმელს არ იღებს. აქ უნდა ამოურჩიოთ სხვა და სხვა გვარი საჭმელი. ხან თივა-ქერი უნდა მივცეთ, ხან კიდევ ალერდი და იონჯა. 4— 5 თვის მაკობის შემდეგ დილით წყალს როდესაც დალევს, კვიცი მუცელში გაირყევა, რაც ცივი წყლის მიზეზია. ძლიერ ცივი წყალი ფაშატისათვის კარგი არ არის, რადგან კვიცს ავნებს. 6 თვის შემდეგ ფაშატს მუცელი ჩამოეკიდება, ძუძუ და ჯიქანი გაჟღენთილია და გაბერილი და მწუხარე გამომეტყველება აქვს თვალებში. ხშირია შემთხვევა, რომ მუცელი ერთ რომელიმე ადგილას გაებერება, მაგრამ ეს შემთხვევა საშიშო არაა, რადგან კვიცის დაბადების შემდეგ სრულებით გასწორდება. რა თქმა უნდა, რომ მაკე ფაშატს ფრთხილად უნდა მოპყრობა; არ შეიძლება ცემა თავში ან მუცელში, არ უნდა მივცეთ ნება ხტომისა, რათა ხერხემალი არ დაუზიანდეს; არ შეიძლება მოთოშვილ ბალახზე გაყვანა საძოვრად. ფაშატი 11 თვე ატარებს ნაყოფს, ჩასახვის დღიდან, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ შეიძლება გადააცილოს 1 დღიდან 11 დღემდე. ამ ხანაში დაბადებას ჰქვიან ნორმალური დაბადება, ხოლო თუ დააკლდა 11 თვეს, ადრე ნაშობს ვეძახით. როგორც ამბობენ ნასწავლები, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ფაშატს ერთი წელიწადი უტარებია. ერთი ნასწავლი და გამოცდილი ინგლისელი მეჯოგე ამბობს, რომ 90 დღე შეიძლება იყოს განსხვავებაო და მაგალითიც მოჰყავს, მაგრამ ნორმალური 11 თვე და 11 დღეა კვიცის დაბადებისა. დაბადების წინ, როდესაც ტკივილები დაეწყება ფაშატს, წვება და ფეხებს მოიკეცავს მუცელ ქვეშ და ხვნეშის; კვიცი მუცელში არის მოქცეული უკანალით, დედის წინალისაკენ, უკანა ფეხები აქვს მოკეცილი მუცელ ქვეშ, ხოლო წინა ფეხები კი გაწვდილი აქვს მარხილივით, რაზედაც თავი სდევს. კვიცი ბუშტშია გაკრული, რომელიც გაგჯება კვნესის დროს, როდესაც ფაშატი გაიბერება. შემდეგ პირველი წყალი იხეთქავს, რის შემდეგ გამოჩნდება წინა ჩლიქები კვიცის და თანდათანობით ცხვირი და თავი. ფაშატი რამდენჯერმე გაიბერება და დაიხვნეშავს, რაც კვიცს დაბადებას უადვილებს. კვიცი რომ დაიბადება, ფაშატი ადგება და ამ დროს წყდება ჭიპი. თუ რომ ჭიპი დედის ადგომისას არ გაწყდა, კბილით გადაჭრის ფაშატი. შემდეგ ხვიხვინით მიუდგება კვიცის გასლექას, ე. ი. ბანას. პატარა ხნის განმავლობაში კვიცი გაწმენდილია, გაბანილი და დავარცხნილი. შემდეგ კვიცი ადგება და ხვიხვინით დედას მიუახლოვდება ძუძუს საძებრად. როდესაც ფაშატი სლიქავს კვიცს, კარგია მარილის მოყრა კვიცის ზურგზე და კისერზე, რათა გასლიქოს კარგად. კვიცის დაბადების შემდეგ 20 წუთი ან 30 აქვს ტკივილები და ამ ხანაში უნდა მოაგდოს 2 ბუშტი, რომელიც საშვილეში დარჩა და რომელშიაც კვიცი იყო შეხვეული. შეიძლება რომ ფაშატი არ დაწვეს დაბადების დროს. ამ შემთხვევაში ტკივილები ნაკლებია, მაგრამ კვიცი ძნელად იბადება: მოსრიალებს ბაყვებზე — კვიცი ეცემა ძირს და ჭიპი წყდება; აქ კი დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კვიცმა არაფერი დაიშაოს, ვინაიდან შეიძლება ფეხი ან ბეჭი მოიქციოს. ამ დროს ფაშატს უნდა მიეცეს ნაზი, ნოყიერი და გემრიელი საჭმელი, რადგან კვიცზე დიდი გავლენა აქვს. წყალი უნდა მიეცეს ფქვილით, ქატოთი, ან კიდევ ღერღილით. 4 — 5 დღის შემდეგ შეიძლება გაუშვათ მინდორში ან სათიბში საძოვრად, სადაც დილით საღამომდე დარჩება. სანამ კვიცი ჩვილია (4 თვემდე), არ უნდა გაუშვათ ერთად რამოდენიმე ფაშატები კვიცებით, რადგან შესაძლოა, რომ ფაშატები წაიკიდონ და კვიცები დაკბინონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიცი ფეხზე ადგომისათანავე მიდის დედასთან და ეძებს ჯიქანს. თუ რომ დედა წოვის ნებას არ აძლევს, ნიშანია, რომ ეხიჩინება; ხშირია მოვლენა, რომ მეჯინიბენი და თავლის ბიჭები სცემენ და ტუჩზე ჩარიმას მოუჭერენ, რაც კარგი არ არის. საუკეთესო არის, დავტოვოთ ერთად და როდესაც ფაშატს მშობლიური გრძნობა შეიპყრობს, კვიცს ძუძუს მისცემს. პირველად რძე ყვითელია, სქელი და წებოსავით იწელება. ეს არის, რათა კვიცს კუჭი გაეწმინდოს. სამოდე დღის განმავლობაში ასეთი რძე არის კვიცის ბუნებრივი საკვები. ამავე ხნის განმავლობაში კვიცს აქვს წებოსავით ჩონჩორიკი, რასაც ფისი ჰქვიან. ეს მოვლენა ნიშანია კუჭის გაწმედისა. ხოლო თუ ეს მოვლენა ვერ შევამჩნიეთ, მაშინ ბუნებას შეიძლება მოვეხმაროთ, ე. ი. კვიცს მივსცემთ ზეთს და კუჭი გაიწმინდება. კვიცის ჩლიქებს არავინ უნდა შეეხოს და ბუნებრივად უნდა გაიზარდონ, ხოლო როდესაც ჩლიქის ნაპირი დაიწყებს ხმობას, ტეხას და აჩლუჩვას, ბასრი დანით უნდა მოკვარახჭინდეს, რათა რიგიანი ყაიდის და ლამაზი ყალიბის იქმნეს. კვიცის ჯანლონე და ჯანმთელობა დამოკიდებულია რძის სიმდიდრეზე, რისთვისაც ფაშატს ძალიან კარგად უნდა ვაჭამოთ. დიდი მავნებელია ფაშატის გამოწველა, რადგან რძე კვიცის საკვებია და არა ადამიანის. კვიცი ხშირად უნდა მოინახულოს ადამიანმა, აჭამოს ხელით, მოეფეროს და გაეთამაშოს, რადგან ასეთი კვიცი ჭკვიანი, თვინიერი და გამგონეა; ასეთი აღზრდილი ცხენი არ იკბინება და წიხლიც არ იცის.

ცობილია ბატონ კურმიეს ნათქვამი, რომ ადამიანი, რომელიც ხელში კვიცს აიყვანს და დედის პირთან მიიყვანს, დიდ გავლენას იქონიებს მის გაწრთვნაში და სამუდამოდ გული აქვს მოგებულიო. ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენგანმა ეს კარგად იცის, მაგრამ ძალიან ცოტაა ჩვენს შორის პიროვნება, რომელსაც კვიცი სათნოებით ხელში აეყვანოს და ადამიანურად ეს ცხენისადმი სიყვარული დაემტკიცებიოს, რათა შეექმნას პირუტყვი კაცთმოყვარედ.

პირველ ხანაში რძე საკმარისია კვიცისათვის, ხოლო თანდათანობით უნდა შეეჩვიოს თივა - ქერის და ალერდის ჭამას. ზოგიერთის აზრით, ვითომდა ქერი კვიცისათვის მავნებელი საკვებია, რომელიც მზერას და ფეხებს უფუჭებსო. ეს სიმართლეს მოკლებულია, რადგან ინგლისელებმა დიდი ხანია რაც დაამტკიცეს, რომ კარგად ნაკვები კვიცი, ქერით აღზრდილი, დიდი ჯანლონის იზრდება.

პირველ წლებში კვიცი თუ კარგად ნაკვებია, 3 ან 4 მტკაველი იზრდება სიმაღლით და პროპორციულად, რა თქმა უნდა, ტანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ 4 წლამდე იზრდება და საერთოდ ემატება 1/30 ნაწილის. კვიცის წონა უდრის 8% ან 10% დედის წონისას. პირველი სამი თვის განმავლობაში სამჯერ მეტი წონის იქნება, მაშინ როდესაც სამი წლისას 1/8 წონის ემატება. საჭმელის წონა ერთი წლის განმავლობაში, თორმეტიდან ასამდე ემატება, მაშინ როდესაც 4 წლის კვიცის საჭმელი ძნელია რიცხვით აღვნიშნოთ.. აქ ცხადათ ვხედავთ, რომ ყველაზე მეტად უნდა პირველ წელში ვაჭამოთ კვიცს. კვიცის ზრდა დამოკიდებულია კვებაზე და ამიტომ ძნელია ვსთქვათ, თუ რამდენ წლამდე იზრდება. კარგად ნაკვები მალე იზრდება, ხოლო ცუდათ ნაკვები კი 5 წლისათ გაიზრდება. აღმოსავლური ცხენები (არაბული) კვიცობაში ცუდათ არიან ნაკვები და ამიტომ გვიან იზრდებიან და ვითარდებიან. თუ ავიღებთ პოლონეთის ჯოგებს, იგი გასულ საუკუნეში ძალიან კარგი ხარისხის ცხენებს იძლეოდა, მაგრამ ძალიან გვიან ვითარდებოდენ (6 — 7 წლისა), იყვნენ გაუგებარნი და უმეცარნი, თუმცა თვინიერნი. ეს იმის შედეგი იყო, რომ მხოლოდ ხმელ საჭმელს აძლევდენ ცხენებს; ქერისა და ხმელი თივის გარდა უნდა მიეცეს ალერდი, იონჯა, სტაფილო, ჭარხალი, ღერღილი, ქატო და სხვა. კარგია მივაჩვიოთ კვიცი პურის ჭამას და შაქრის და მარილის სლექას, რადგან ეს დიდათ საჭიროა ცხენის ორგანიზმისათვის.

გერმანელი ცნობილი მეჯოგე „ოპენჰაიმ"-ი წმინდა წყალს არ აძლევს სასმელად კვიცებს; ისინი ქატოთი სვამენ წყალს, რაც კარგია სისხლის მოძრაობისათვის და ავადმყოფობის ასაცილებლად. კარგია კვიცისათვის ძროხის რძე ან წაქი, მაგრამ ძროხა უნდა ჯანსაღი იყოს, რათა კვიცი არ დაავადმყოფდეს (მაგ. ჭლეჭი ძროხის რძის საშვალებით გადაედება კვიცს). წაქში ღერღილი ან ქერი უნდა ჩაიყაროს; კვიცის მოშორება შეიძლება 5 — 6 თვის; თუ ფაშატი გამხდარია და ხელმეორედ მაკე, 4 თვის შეიძლება მოვაშოროთ ფაშატს კვიცი, ხოლო თუ რომ მსუქანი და კარგად მოვლილია ფაშატი, 7 თვემდე შეიძლება კვიცი დედასთან იყოს. როდესაც გვინდა კვიცის ჩამოშორება დედისაგან, ერთბაშად არ შეიძლება ძუძუს წევის შეწყვეტა; 10 დღის განმავლობაში უნდა თანდათან ჩამოვაშოროთ; პირველი ოთხი დღის განმავლობაში დღეში მხოლოდ სამჯერ უნდა მივცეთ ნება ძუძუს წოვისა; შემდეგი ოთხი დღის განმავლობაში ორჯერ და 2 დღის კი — ერთჯერ; მეათე და მე - 11 დღეს კი სრულებით უნდა ჩამოშორდეს. პირველ ხანაში ძუძუს მოწყვეტილ კვიცს უნდა მიეცეს წყალი ფქვილით შეზავებული ან და ქა-

ტოთი. ყველას სჯობია მარილიან წყალში ქერის ღერღილი ჩავყაროთ და ასეთი საჭმელი მივსცეთ. რა თქმა უნდა, ქერი ნორმალურად უნდა მიეცეს. დედას, რომელსაც კვიცი ჩამოვართვით, არჩევი უნდა დავუკლოთ და მუშაობაში გავუშვათ, რათა ჯიქანი გაუშრეს.

დედის მოშორება კვიცმა არ უნდა იგრძნოს; უდედობა ადამიანმა უნდა შეავსოს; ხშირად უნდა მივიდეს კვიცთან და ეფეროს. მას თავზე აფშარა უნდა ჩავაბათ და თავლაში ისე შევიყვანოთ. იქ მივაბამთ და მიეცემა ქერი; ჭამის დროს მოვეფერებით, ბეჭიდან ჩლიქამდე ხელს ჩამოუსობთ ხოლმე, ჩოთქით მოველაქუცებით და ხის ჩაქუჩით ჩლიქებზე დავურაკუნებთ, რათა მიეჩვიოს; ჭამის დროს მეჯინიბენი ყურადღებას უნდა აქცევდენ, რომ ყოველმა კვიცმა თავის ულუფა შესჭამოს და არა მეზობელი კვიცის. აგრეთვე, რომ კვიცები ჭამისას არ იკბინებოდენ და ავობდენ. დღისით კვიცები ველზე, შეღობილ მიდამოში უნდა დასეირნობდენ და ბალახს სძოვდენ. (რა თქმა უნდა ერთი სქესის).

კვიცი ავი არასოდეს არ იბადება, ხოლო ადამიანი ჰქმნის მას ავად. უცოდინობის გამო ცუდათ ეპყრობა, რაზედაც კვიცს პასუხად კბილები ან და წიხლი აქვს, რომელიც შემდეგ ჩვეულებად იქცევა ხოლმე. თვინიერ ცხენს გააავებთ ცუდი მოპყრობით, ხოლო ავს მოათვინიერებთ ლმობიერებით. რა თქმა უნდა, თუ კვიცი ავობს და თავხედიანობს, უნდა დაისაჯოს, მაგრამ სასჯელი ძალიან მკაცრი არ უნდა იყვეს. დასჯის დროს ადამიანმა გიჟობა არ უნდა გამოიჩინოს და გაუგებრად არ სცემოს. როგორც ზევით ვთქვით, სქესობრივის მიხედვით, კვიცები არიან გაყოფილი და ვაჟებისათვის ცალკეა ე. წ. „პადოკი“ და ფაშატი კვიცებისათვის ცალკე. ასეთი შემოყორილი ადგილი უნდა დიდი იყვეს. კარგია თუ მდინარე მიდის ასეთ ადგილზე; ნიადაგი კირიანი და კარგი ბალახიანი უნდა იყვეს; ადგილობრივ ნოყო, აყალო, გორაკი, ტყე, ჩრდილი და მზე — აი რა უნდა იყვეს ამ „პადოკებში“. აქ უნდა დაითესოს კოინდარი, იონჯა, სამყურა და სხვა ასეთი მცენარეები, რითაც კვიცი თავს შეიქცევს; ქერი შეიძლება ველად მიეცეს; რამდენი ხანი (წელი) უნდა იყვეს ცხენი “პადოკ“ - ში, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რისთვის ვამზადებთ კვიცს. მაკე ფაშატები ან კვიციანები მუდმივ გარედ არიან, გარდა ცივი ზამთრის დღეებისა. კვიცი — ერთი წელიწადი, რადგან შემდეგ უნაგირისათვის და საოღოედ ემზადება, ხოლო ის მეჯოგე, რომელიც ცხენებს ამარაგებს ჯარისათვის, სამ ან და ოთხ წლამდე შეიძლება იყოლიოს გარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენები. ცხენის დაწმენდა (დაკოდვა) დამოკიდებულია მაზე, თუ რისთვის ვამზადებთ ცხენს. საერთოდ კი ითქმის ასე, რომ ადრიანი დაწმენდა უხიფათოა, რადგან ჭანი არ იქნება და დარწმუნებული ვართ მის დაწმენდაში. გვიანი დაწმედა კი მავნებელ გავლენას არ იქონიებს გარეგან გამომეტყველებაში. საჭმლის მიცემა სამჯერ (ქერის) საკმარისია, ხოლო თივა-ბალახის კი დამოკიდებულია დღის სიდიდეზე. სხვა და სხვა პიროვნება სხვა და სხვა გვარად აძლევს საჭმელს. ინგლისელები, როგორც ზევით ვთქვით, ყველაზე უკეთესი ოსტატები არიან ამ საქმისა, რადგან დიდი გამოცდილება აქვთ, მაგრამ აქვთ ოთხი სხვა და სხვა გვარი მეთოდი დ იმის და გვარად აჭმევენ ცხენებს. ასეთი გაყოფა ულუფისა არის დიდი ცხენებისათვის, რომელნიც ძლიერ მუშაობენ, ხოლო სხვა ცხენებისათვის შეგვიძლია ამ გვარად მოვიქცეთ, რა თქმა უნდა, სათანადო პროპორციით:

| | მეთოდი 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| **გირვანქა** | | | | |
| **საჭმელი** | | | | |
| 1. ფქვილი, ქერი, ცერცვი, ღერღილი | 10 | 5 | 5 | 5 |
| 2. თივა ან იონჯა | 10 | 8 | 8 | 7 |
| 3. ბზე, ალერდი | 10 | 10 | 8 | 7 |
| 4. მოხარშული და დასრესილი კართოფილი | — | 5 | — | 5 |
| 5. ჭარხალი | — | 2 | 2 | — |
| 6. ქატო | — | — | 7 | — |
| 7. მოხარშული შვრია | — | — | — | 6 |
| | 30 | 30 | 30 | 30 |

ცხენს არ უნდა მიეცეს საჭმელი, სანამ პირველი ულუფა არ ამოსჭამა ბაგიდან. ცხენის ფიცხლავ სამუშაოდ გაყვანა ჭამის შემდეგ არ არის კარგი; უნდა დაისვენოს ცოტა ხანი ( 1/2 საათი მაინც) ჭამის შემდეგ. ცხენი უნდა კარგად იწმინდებოდეს. წმენდა ცხენის მხოლოდ ჩოთქით შეიძლება, ხოლო ჩოთქის საწმენდათ კი საურავია. ხშირად მეჯინიბე ტალახს აცილებს ცხენს საურავოთი, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაიშვება. ძუა-ფაფარის გაკრეჭა კარგი და სასარგებლო არ არის, არამედ მავნებელია. ფეხი ქაჩაჩამდე იწმინდება ჩოთქით. ქაჩაჩი ჩვარით, ჩლიქი ნაფოტით. ხშირად ჩლიქის საწმენდათ ხმაროობენ ლურსმანს, რომელიც ჩლიქს ავნებს და ამ ზომამდე არ უნდა დავუშვათ. ცხენის სისუფთავე, 30 % ჯანსაღობისა, ხოლო 60 % ჭამა და 10 % ბინა და ადამიანის სხვა და სხვა გვარი მოვლა.

ინგლისელები ამბობენ, რომ „ცხენი საურაოთი სუქდებაო", რაც ნაწილობრივ სიმართლეა, მაგრამ ქართული ანდაზაა — ცხენმა სთქვა, რომ საურაოს ქერი მომეცით, სჯობიაო. — რა თქმა უნდა, აქ არ ვადარებ ქართველებს ინგლისის მცოდნეებთან, ხოლო როგორც ერის დამახასიათებელი თქმა მომყავს. პოლონელები კი სულ სხვა გვარის აზრის არიან და ამბობენ — პატრონის თვალი ცხენს ასუქებსო — (ე. ი. მეჯინიბეს ნუ დაუჯერებთო).

ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, როგორი დებულებაც არ უნდა მივიღოთ, ცხენი არ იქნება **სავარგისი, თუ რომ არ** არის რიგიანად ნაჭმევი, სუფთა, მოვლილი და ლმობიერი და წყალობის თვალით არ უცქერის ამ პატიოსან ცხოველს პატრონი და საერთოდ ადამიანი.

**ვიტალი უგრეხელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მკითხველთადმი

მხედრობის მუშაობა, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული, მუდამ ერის განზომით და მის საზღვრებში სწარმოებს. ამის გამო მას მუდამ სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს და ამ მუშაობის თეორიულ ნაწილსაც კი, ნიადაგათ მუდამ კონკრეტიულ სახელმწიფოს ვითარება უნდა ედოს. გარდა ამისა მხედრობის მუაშობა ეს პირდაპირი ცოცხალი შეხება, გადაშლა, გადმოშლა და შესწავლა არის ერის უძვირფასესი ელემენტის ე. ი. მის, ბრძოლისათვის გამოსადეგ თაობისა — მის ახალგაზრდობის. ამ ელემენტზედ მუშაობა ძლიერ ძნელი და ფაქიზი საქმეა. ეს საქმე მით უფრო ძნელია, რამოდენადაც საზოგადოებას აკლია სახელმწიფოებრივ შეგნებით და განზომით აზროვნების უნარი. მხედრობის მუშაობა თაობიდან თაობამდე შეუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს. სწორეთ ამიტომ, მიუხედავათ ჩამოთვლილ სიძნელეებისა, ჟურნალი „მხედარი“ არ მოერიდა ამ ელემენტების ჩვენთვის ყველაზედ უმტკივნელეს ნაწილთა უშუალო შეხებას ან შესწავლა. „მხედარ“-ში თავიდანვე იქმნა აღნიშნული, რომ მხედრობის მუშაობის ხვავიანობა დამოკიდებულია საზოგადოების სახელმწიფოებრივ მომზადებაზედ. ამ მხრივ ჩვენ კათგათ ვიცნობთ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის ნაკლებს და ამიტომ არა ვსთვლით საჭოროთ საქმის ისეთ საფეხურამდის დაწევას, რომ სპეციალური განმარტებანი უძღვნათ სხვა დონეზედ მდგომ სამდურავებს ან უკმაყოფილებათა გამოხატვას ჩვენი მუშაობის მიმართ.

რაც შეეხება ჩვენი უახლოესი წარსულის ისტორიას — ეს იწერება იმ დონეზედ მდგომ საზოგადოებისათვის, რომელიც ხედავს განსხვავებას ისტორიისა და საისტორიო ნედლი მასალის შუა. ეს იმ ელემენტებისთვისაა საჭირო, რომელნიც პირად მოგონებებიდან თითონ გამოიყვანენ სწორ ხაზს და მივლენ სიმართლემდის. აი ეს იქნება უკვე ისტორია, რომელზედაც დაემყარება ჩვენი ერის მხედრობის მომავალ მოქმედებათა სახე. ამ მასალის ამოწურვის შემდეგ, ისტორიას ჯერ ისევ ჩვენი თაობის განმავლობაში მიეცემა საშუალება განმარტოს შემდეგი კონკრეტიული საკითხები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რა უდიდეს შედეგის მიღწევა შეეძლო საქართველოს მაშინ არსებულ ძალებით?

2. რა ძალების გამოყვანა შეეძლო საქართველოს იმ პირობებში, უკეთეს სახელმწიფოებრივ მომზადების შემთხვევაში?

3. რის მიღწევა შეეძლებოდა საქართველოს ამ პირობებში.

თავის თავათ ცხადია, რომ ამ საკითხების გაშუქებისათვის, სხვა და სხვა მოგონებების ავტორთა „ჩვენებური" ქიშპობა, ვისმეს ბრალდება ან გამართლება, არ წარმოადგენენ აუცილებელ საჭიროებას.

ჩვენ გვაინტერესებენ მხოლოდ საკითხები: „რათ?" და „როგორ მოვიქცეთ მომავალში?"

საკითხი „ვინ?" მხედრობის მომავალ მუშაობისათვის არ წარმოადგენს საჭიროებას. და ამ „პლატონიურ" საკითხის გამოკვლევით არ არის სასურველი რეალურ საქმის დატვირთვა. მოგონებათ ავტორთ კი სწორეთ ეს საკითხი აინტესებეთ (ეს სრულიათ ბუნებრივი მოვლენაა) და ზოგს აშინებთ კიდევაც. ჩვენთვის ეს საკითხი არ არსებობს და მის გარშემო წარმოებული გარდამავალ პოლემიკის ფერხული არ გვაინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხედარი № 21

### სარჩევი:


| | |
|---|---|
| რედაქციისაგან — | 3 |
| **ჯ. ქაზუმ - ბეგი** — 1920 წლის აჯანყება განჯაში | 11 |
| — — საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალა | 23 |
| **ბი — ნა ქუ — ძე** — შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაცია | 61 |
| **ვიტალი უგრეხელიძე** — ცხენი | 80 |
| მკითხველთადმი | 100 |



„მხედარი“-ს მისამართი —

**D. VATCHNADZE**
**10, Passage des Eaux, 10**
**Paris 16.**

Le Gérant: Dommange

(განსაკუთრებით გერმანეთში) 400 დაძველებულ ავიონიდან შესდგებოდა. შემდეგ პოლშეფეკებმა დაიარსეს ე. წ. ოსოავიოხიმის საზოგადოება და თანდათანობით დაანებეს თავი მანქანების ეტაპოვთში ყიდვას. დღეს ამ საზოგადოების ხელმძღვანელობით, საბჭოთა ტერიტორია 1500 მფრინავით - საგფერითაა მოფენილი.

თუ გადავეზდავთ მარტო რუსეთში აშენებულ მანქანების რიცხვს სამხედრო თუ ცივილურ მიზნებისათვის, აღვილათ წარმოვიდგენთ გატარებულ მუშაობის უზარმაზარ განზომვას:

1929 — 1932 წლებში, პირველ ხუთწლედი გეგმის განხორციელებაში რუსეთმა შეძინა:

| | |
|---|---|
| მძიმე მეყუმბრე ავიონი — | 80 |
| ლითონის განმანადგურებელი — | 340 |
| საზვერავი — | 120 |
| სამოსწავლო — | 70 |
| სულ — | 610 |

ამავე დროს საზღვაო ფრენოსნობისათვის შეძენილ იქმნა:

| | |
|---|---|
| მეყუმბრე ჰიდროავიონი — | 63 |
| განმანადგურებელი ავიონი — | 242 |
| საზვერავი — | 86 |
| სამოსწავლო — | 18 |

ამ ხანაში ფრენოსნობის საერთო რაოდენობა 1200 მანქანამდის აღწევს 30. 000 ჯ.კაცით.

1933 წელს დაწყებული მეორე ხუთწლედი გეგმა ითვალისწინებს 1937 წლამდის შემდეგ საჰაერო ძალების შექმნას:

| | |
|---|---|
| მთლათ ლითონიანი საბრძოლო ავიონი — | 5000 |
| ოთხ მანქანიანი მეყუმბრე — | 3000 |
| თადარიგი სხვა და სხვა ნიშნების მანქანების | 20.000 |

რა საშუალებით მოახერხებს რუსეთი ამ გეგმის განხორციელებას, დღეევანდელ გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობაში — ამას მომავალი გვაჩვენებს.

რა ტეხნიკური საშუალებები მოეპოვება რუსეთს ამის განსახორციელებლათ?

დღეს საბჭოთა ტერიტორიაზე მოიპოვება ავიონთა მარტო სხეულის ასაშენებელი 6 ქარხანა, შემდეგ ქალაქებში: მოსკოვში, ლე-



| დანიშნულება | დასახელება | აშენება და ფორმა | მანქანა და სიმძლავრე | გაცვეება | სიგანე | სიგრძე | სიმძიმე ფტვირთოდ | სიმძიმე ტვირთიანად | ადგილობა | შეიარაღება | სიჩქარე: მთელი ძალით | სიჩქარე: მოგზაურობის | ფრენის ავტონომია | სამსახურში შესვლა | მისაღწევი ჭერი | შენი შ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოზვერავე | რ 1 | ხე და სპეც. ტილო ოთხფრთიანი | 1 — ბ. ბ. 5 400 ცხ. ძ. | წყალი | 14 მ. 02 | 9 მ. 24 | 1423 კ. | 2.200 კ. | 2 | 1. წინა მსროლ. ტყვ. მფრ. 2. ბრუნავ კოშკში | 190 კმ-ს | 150 კმ-ს | 4 ს. 30 წ. = 675 კმ. | 1926 წ. | 6.500 მ. | |
| | რ 3 | სულ ლითონიანი ოთხფრთიანი | 1 — ბ. ბ. 3 4/500 ცხ. ძ. | " | 13 მ. 20 | 9 მ. 40 | 1390 კ. | 2.100 კ. | 2 | 2 — წინა მსროლ. ტყვ. მფ. 2. მბრ. კოშკში | 226 კმ-ს | 190 კმ-ს | 3 ს. 30 წ. = 650 კმ. | 1926 წ. | 7.000 მ. | |
| | რ 5 | ხე და ლითონ. ოთხ ფრთიანი | 2 — ბ. ბ. 3 1000/1200 ცხ. ძ. | ჰაერით | 15მ. 50 | 10 მ. 56 | 1915 კ. | 2.500 კ. | 2 | " | 246 კმ-ს | 200 კმ-ს | 5 ს. = 1000 კ. | 1931 | 8.500 მ. | |
| მეყუმბარე | ტ. ბ. 1 | სულ ლითონიანი ორ-ფრთიანი | " | წყ. | 27 მ. 40 | 18 მ. 01 | 4302 კ. | 6.800 კ. | 3 | 3 წყვ. ტყვ. მფრქვ. | 210 კმ-ს | 170 კმ-ს | 6 ს. = 1000 კ. | 1928 | 6.000 მ. | |
| | ტ. ბ. 3 | " | 4 ბ. ე. 3 = 2000/2400 ცხ. ძ. | " | 40 მ. 40 | 26 მ. 48 | 10.000 კ. | 18.000 კ. | 6 | 6 წყ. ტყვ. მფრქ. | 200 კმ-ს | 160 კმ-ს | 10 ს. = 1600 კ. | 1933 | 6000/7000 მ. | |
| დამცემი | ი 3 | ხე და ლითონი 4-ფრთიანი | მ — 17 ბ. ბ. 3 = = 5/600 ცხ. ძ. | " | 11 მ. 01 | 8 მ. 08 | 1010 კ. | 1.660 კ. | 1 | 2 წინა მსრ. ტყვ. მფრქ. | 270/300 კმ-ს | — | 2 ს. 30. | 1929 | 7.000 მ. | |
| | ი 4 | " | მ. — 22 იუპიტერ = 420 ცხ. ძ. | " | 11 მ. 40 | 7 მ. 28 | 865 | 1.310 კ. | 1 | | 295 კმ-ს | — | 3 ს. | 1930 | 8.500 | |
| | ი 5 | 1 — ა. კ. უპიტერ = = 480 ცხ. ძ. | სულ ლითონ. ოთხ ფრთიანი | " | 11 მ. 50 | 7 მ. 30 | 920 | 1.400 კ. | 1 | | 320 კმ-ს | — | 2 ს. 30 წ. | 1932 | დაახლ. 10.000 მ. | |